ავტორის სტილი დაცულია

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ფილოსოფია

გივი ამაღლობელი

პოლიტიკური დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა

ფილოსოფიაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დოქტ. მამუკა დოლიძე

ფილოსოფიის დოქტორი, ასოც. პროფესორი

თბილისი

2022

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: დისკურსი, თამაში, დომინანტური, ლინგვისტური, მანიპულაცია.

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს აკადემიურ თუ საჯარო სივრცეებში. პოლიტიკის შესწავლა მისი ლინგვისტური განზომილების მიხედვით, ამ გაგებით პირველადი მნიშვნელობისაა. ამ კუთხით, არსებითად პოლიტიკა აღიქმება როგორც ენობრივი აქტივობის ერთგვარი ნაირსახეობა, სადაც მთავარი აქცენტი გადატანილია ენაზე დაკვირვებასა და მის ანალიზზე.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ პოლიტიკურ დისკურსს, როგორც ენობრივი თამაშის ერთგვარ ნაირსახეობას. მოცემული კვლევის ფარგლებში ენობრივი თამაშის ცნება აღებულია რიგ ანალიტიკოს ფილოსოფოსთა შესაბამისი ცნებებიდან, ჩასმული რელევანტურ კონტექსტში.

კვლევაში განხილული ძირითადი ცნებებია - პოლიტიკური დისკურსი, ენობრივი თამაში, დომინანტი დისკურსი, დისკურსი და ძალაუფლება.

კვლევის საკითხები: კვლევის ძირითადი საკითხებია:
- (პოლიტიკური) დისკურსისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართება;

- დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა;

- პოლიტიკური დისკურსი, როგორც ლინგვისტური მანიპულაცია;

- იდენტობათა კონსტრუირება შესაბამისი დისკურსების/ნარატივების ფარგლებში და მათი მეშვეობით;

- დაპირისპირება დისკურსებს/იდენტობებს შორის, გამოხატული ენობრივ თამაშებს შორის კონფლიქტში;

სიახლე და აქტუალობა:

მოცემული კვლევის სიახლე და აქტუალობა შესაძლებელია განიმარტოს შემდეგი ფორმით: კვლევის ფარგლებში შევეცდებით მოვახდინოთ ცალკე აღებულ ცნებათა შორის კავშირების გამოვლენა და მათი ენობრივი თამაშისა და პოლიტიკური დისკურსის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა. კერძოდ, ეს სტრატეგია იქნება:

- ფრეიმისა და ენობრივი თამაშის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა;

- იდენტობა - ფერიმი - ენობრივი თამაში - (პოლიტიკური) დისკურსის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა;

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შესაძლებგლობას მოგვცემს ჰოლისტიკურად აღვიქვათ ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განცალკევებული ცნებები.

პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა - მოცემული კვლევა და მისი შედეგები შესაძლებლეს გახდის განხილული ცნებების მისადაგებას რეალურ პოლიტიკურ დისკურსზე. კერძოდ, შესაძლებელი იქნება პოლიტიკური დისკურსის განხილვა, როგორც შემდგარს ისეთი ქვე-ცნებებისგან, როგორიცაა ენობრივი თამაში, დისკურსული სტრატეგიები, ფრეიმი(ნგი), იდენტობა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი - ნაშრომი წარმოადგენს თვისობრივ კვლევას შესაბამისი თეორიული მიდგომების გამოყენებით. ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვის შედეგად შევეცდებით მოვახდინოთ განხილული მასალის სინთეზირება და რელევანტური დასკვნების გამოტანა.

Abstract

Political discourse as a variety of language game

Key words: discourse, game, dominant, linguistic, manipulation.

The analysis of political discourse is attracting more and more attention in academic and public domains. The study of politics according to its linguistic dimension is in this sense of primary importance. In this regard, politics is essentially perceived as a kind of linguistic activity, where the main emphasis is shifted to the observation and analysis of language.

Within the scope of this work, we consider political discourse as a kind of language game. Within the framework of this study, the concept of language game is taken from the relevant concepts of a number of analytical philosophers, fitted in a relevant context.

The main concepts discussed in the research are - political discourse, language game, dominant discourse, discourse and power.

The main research topics are:
- the relationship between (political) discourse and power;
- Discourse as a variety of language game;
- political discourse as linguistic manipulation;
- construction of identities within and through relevant discourses/narratives;
- conflict between discourses/identities, expressed in the conflict between language games;

The novelty and relevance of this study can be explained in the following way: within the scope of the study, we will try to reveal the connections between the concepts taken separately and discuss them in a general context of the concepts of language game and political discourse. Specifically:

- discuss the concepts of frame and language game in the general context;

- identity - frame - language game - examining these concepts in relation with the notion of (political) discourse;

Such an approach to the subject will give us the opportunity to holistically perceive seemingly separate concepts.

Practical and theoretical significance - this study and its results will make it possible to apply the discussed concepts to political discourse in practice. In particular, it will be possible to consider political discourse as consisting of such sub-concepts as language game, discursive strategies, framing, identity.

Research methodology and method - the paper is a qualitative research using appropriate theoretical approaches. As a result of the general literature review, we will try to synthesize the discussed material and draw relevant conclusions.

შინაარსი

აბსტრაქტი III
შესავალი 1
კვლევის აქტუალობა 1
კვლევის საკითხები 1
სიახლე და აქტუალობა 1
პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა 2
კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი 2
თავი 1. დისკურსი 3
ლიტერატურის მიმოხილვა 3
1.1.ფაქტისა და დისკურსის ურთიერთმიმართება 9
1.2.პოლიტიკურ დისკურსთა ტიპები და მათი კლასიფიკაცია 11
1.3.დისკურსების ტიპოლოგია 12
1.4.პირველადი და მეორადი დისკურსები 19
1.5.ენობრივი თამაში 22
1.6.ენობრივი თამაშების სტრუქტურა 31
თავი 2. სოციალურად კონსტრუირებული ლინგვისტური კატეგორიები და ენობრივი თამაშები 44
2.1. ენობრივი თამაშის ერთერთი ფორმა - გენდერულად ნეიტრალური ენა 45
2.2. ფრეიმი 47
2.3. ლაკანის ოთხი დისკურსის თეორია 51
2.4. დენოტაციური თამაში 58
2.5. სახელთა რექტიფიკაცია 58
2.6. მთავარი აღმნიშვნელი (Master signifier) 64
2.7. ცარიელი აღმნიშვნელები პოლიტიკაში 70
2.8. ჭეშმარიტობა-მცდარობა ენაში 75
2.9. ტყუილი/სიცრუე, როგორც ენის მეორეული ფუნქცია 81
2.10. დამახინჯება (გაუკუღმართება) (distortion) 102
თავი 3. ენობრივი თამაში, როგორც ცხოვრების ფორმა 105
3.1. კონგიტური იურისდიქციის დამყარების მაგალითი 113
3.2. ენა, როგორც პერფორმანსი 115
3.3. ცნობიერების მიმართება ყოფიერებასთან 120

3.4. ვიტგენშტაინი: ფაქტიური და ლოგიკური ჭეშმარიტება 136
3.5. დისკურსის ჟანრები 138
3.6. აღმნიშვნელის ნაკლოვანება 141
დასკვნა 148
გამოყენებული ლიტერატურა: 151

.

სქემების ჩამონათვალი

სქემა 1. დისკურსების ტიპოლოგია.....1**Error! Bookmark not defined.**

სქემა 2. ნარატივები და დისკურსები.....15

სქემა 3. დომინანტური და მეორადი (დაქვემდებარებული) დისკურსები 16

სქემა 4: პირველადი (დომინანტი) და მეორადი დისკურსები.....85

შესავალი

კვლევის აქტუალობა

პოლიტიკური დისკურსის ანალიზი სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს აკადემიურ თუ საჯარო სივრცეებში. პოლიტიკის შესწავლა მისი ლინგვისტური განზომილების მიხედვით, ამ გაგებით პირველადი მნიშვნელობისაა. ამ კუთხით, არსებითად პოლიტიკა აღიქმება როგორც ენობრივი აქტივობის ერთგვარი ნაირსახეობა, სადაც მთავარი აქცენტი გადატანილია ენაზე დაკვირვებასა და მის ანალიზზე.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ პოლიტიკურ დისკურსს, როგორც ენობრივი თამაშის ერთგვარ ნაირსახეობას. მოცემული კვლევის ფარგლებში ენობრივი თამაშის ცნება აღებულია რიგ ანალიტიკოს ფილოსოფოსთა შესაბამისი ცნებებიდან, ჩასმული რელევანტურ კონტექსტში.

კვლევაში განხილული ძირითადი ცნებებია - პოლიტიკური დისკურსი, ენობრივი თამაში, დომინანტი დისკურსი, დისკურსი და ძალაუფლება.

კვლევის საკითხები

კვლევის ძირითადი საკითხებია:

- (პოლიტიკური) დისკურსისა და ძალაუფლების ურთიერთმიმართება;
- დისკურსი, როგორც ენობრივი თამაშის ნაირსახეობა;
- პოლიტიკური დისკურსი, როგორც ლინგვისტური მანიპულაცია;
- იდენტობათა კონსტრუირება შესაბამისი დისკურსების/ნარატივების ფარგლებში და მათი მეშვეობით;
- დაპირისპირება დისკურსებს/იდენტობებს შორის, გამოხატული ენობრივ თამაშებს შორის კონფლიქტში;

სიახლე და აქტუალობა

მოცემული კვლევის სიახლე და აქტუალობა შესაძლებელია განიმარტოს შემდეგი ფორმით: კვლევის ფარგლებში შევეცდებით მოვახდინოთ ცალკე აღებულ ცნებათა შორის კავშირების გამოვლენა და მათი ენობრივი თამაშისა და პოლიტიკური დისკურსის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა. კერძოდ, ეს სტრატეგია იქნება:

- ფრეიმისა და ენობრივი თამაშის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა;

- იდენტობა - ფერიმი - ენობრივი თამაში - (პოლიტიკური) დისკურსის ცნებების საერთო კონტექსტში განხილვა;

საკითხისადმი ამგვარი მიდგომა შესაძლებგლობას მოგვცემს ჰოლისტიკურად აღვიქვათ ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განცალკევებული ცნებები.

პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა

მოცემული კვლევა და მისი შედეგები შესაძლებლეს გახდის განხილული ცნებების მისადაგებას რეალურ პოლიტიკურ დისკურსზე. კერძოდ, შესაძლებელი იქნება პოლიტიკური დისკურსის განხილვა, როგორც შემდგარს ისეთი ქვე-ცნებებისგან, როგორიცაა ენობრივი თამაში, დისკურსული სტრატეგიები, ფრეიმი(ნგი), იდენტობა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდი

ნაშრომი წარმოადგენს თვისობრივ კვლევას შესაბამისი თეორიული მიდგომების გამოყენებით. ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვის შედეგად შევეცდებით მოვახდინოთ განხილული მასალის სინთეზირება და რელევანტური დასკვნების გამოტანა.

თავი 1. დისკურსი
ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის საგანზე მსჯელობა უნდა დაიწყოს მისი ზოგადი განმარტებებით. დისკურსი, როგორც საკმაოდ ფართო და კომპლექსური ცნება, მოითხოვს არებულ განმარტებათაგან საერთო დეფინიციის გამოტანას. ქვემოთ მოგვყავს არსებულ ლიტერატურაში მოცემული განმარტებები დისკურსის ცნებისა და ვახდენთ სხვა ძირითადი ცნებების დეფინიციასაც, რომლებიც საერთო კონტექსტში იქნება განხილული.

ზოგადად, იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც: საკომუნიკაციო აქტი, რომელში მონაწილენიც ცდილობენ (დისკურსით) გავლენა მოახდინონ კომუნიკაციაში ჩართულ სუბიექტებზე.

ტერმინი დისკურსი აღნიშნავს მნიშვნელობის წარმომქმნელ რესურსთა შესაძლებლობას შექმნან სოციალური რეალობა, ცოდნის ფორმები და იდენტობა კონკრეტულ სოციალურ კონტექსტებში და ძალაუფლებრივ ურთიერთობებში (Hall 1997: 220).

დისკურსი არის სამეტყველო სისტემის სოციალურად განპირობებული ორგანიზაცია და განსაზღვრული პრინციპები, რომელთა შესაბამისად კლასიფიცირდება და წარმოდგება რეალობა დროის ამა თუ იმ პერიოდებში. იგი არის არა საუბრის აღმნიშვნელი მორიგი სიტყვა, არამედ ისტორიულად მოცემული მატერიალური პრაქტიკა, რომელიც აწარმოებს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს. (მ. ბალაძე,2015)

ასევე, დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა. იგი არის დისკურსულ ,,პრაქტიკებში" განხორციელებული ურთიერთობა. ტერმინი დისკურსი აღნიშნავს აზროვნების ისეთ ფორმალურ სახეს, რომელიც გამოიხატება ენის მეშვეობით; ამასთანავე დისკურსი წარმოადგენს ისეთ სოციალურ ზღვარს, რომელიც ადგენს, თუ რისი თქმაა შესაძლებელი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში. (ს. ომიაძე, 2006)

დისკურსი (როგორც ფილოსოფიისა და სოციალური თეორიის ტერმინი) გულისხმობს იმ დებულებათა ჯგუფს, რომლებიც სტრუქტურაში აქცევს ჩვენ მიერ ამა

თუ იმ საკითხის გააზრებას და განაპირობებს ჩვენს ქმედებას ამგვარი გააზრების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსი არის გარკვეული ცოდნა სამყაროს შესახებ, რომელიც აყალიბებს იმას, თუ როგორ გაიგება სამყარო, მისი წესრიგი. დისკურსის ცნება ცენტრალურია მიშელ ფუკოს თეორიული არგუმენტებისა და მისი მეთოდოლოგიისთვის. დისკურსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ენის გარკვეული ფორმა, საკუთარი წესებით, პირობებითა და ინსტიტუტებით, რომელთა ფარგლებშიც ხდება დისკურსის შექმნა და გავრცელება“. მაგალითად, სამედიცინო დისკურსი მოიცავს მედიცინის სპეციფიკურ ენას, იმ ცოდნას, რომელსაც ის ქმნის და იმ პროფესიულ ინსტიტუტებსა და სოციალურ სივრცეებს, რომელიც მას უკავია. დისკურსი წარმოშობს სუბიექტებსაც: მაგალითად, სამედიცინო დისკურსი სხვა სუბიექტურ პოზიციებს შორის ქმნის ექიმებს, მედდებს/მედძმებს და პაციენტებს. ხელოვნებაც შეიძლება გავიგოთ, როგორც ***დისკურსი, როგორც ცოდნის სპეციალიზებული ფორმა***. (Rose, G.(2007). Visual Methodologies, SAGE) მოყვანილ განმარტებაში ყურადღებას ვუთმობთ დისკურსის განსაზღვრებას, როგორც ***ცოდნის სპეციალიზებული ფორმისა***.

გამომდინარე რეალობიდან, რომ პოლიტიკური თუ სოციალური პრობლემების გაგება გარდაუვალია ენის გაგების გარეშე, დისკურსის ანალიზი შეეხო სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დისკურსის ანალიზს. შესაბამისად ამან გამოიწვია ისეთი დისციპლინების და ტექნიკური ტერმინების წარმოქმნა, როგორიცაა: სამედიცინო დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, ბიზნეს დისკურსი, მედია დისკურსი, იურიდიული დისკურსი, განათლების დისკურსი და სხვა. (ნ. მსახურაძე, 2014)

ზემოთ მოვიყვანეთ დისკურსის ცნების მხოლოდ რამოდენიმე განსაზღვრება. ახლა კი გადავიდეთ დისკურსის, როგორც პრაქტიკული ლინგვისტური აქტივობის სტრუქტურულ ნიშან-თვისებათა აღწერაზე.

საზოგადოებაში არსებობენ დაპირისპირებული დისკურსები მრავალ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, დისკურსები შეიძლება იყოს როგორც შეთანხმებული, ისე კონფლიქტური. დისკურსი არა მხოლოდ ქმნის (ან აღწერს) სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასაფუძნებლად. „(ფუკოს მიხედვით) ცოდნა სხვებზე ძალაუფლების წყაროა,

რამდენადაც დისკურსი გამოიყენება ქცევის გასაკონტროლებლად და სახელმძღვანელოდ. ის, ვინც აკონტროლებს დისკურსს, ფლობს იმის ძალას, რომ განსაზღვროს სხვათა პოზიციები“ (ე. კოდუა, 2004).

შესაბამისად, ერთმანეთთან დაპირისპირებული დისკურსები იბრძვიან საბოლოოდ, რომელიმე კონკრეტული დისკურსი იკავებს დომინანტურ პოზიციას. ეს მოვლენა ცნობილია დისკურსული დომინირების სახელით.

აღნიშნულის ფარგლებში კი სასარგებლო იქნება დისკურსების სახეობათა ზოგადი კლასიფიცირება: დომინანტური დისკურსი - ეს არის დისკურსი, რომელიც სხვა დისკურსებთან შედარებით ფლობს უპირატესობას, ამცირებს ე.წ. დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი დისკურსების შინაარსისა და მიდგომების ალტერნატიულობას. დომინანტური დისკურსი იმათი დისკურსია, ვისაც დომინანტური პოზიცია და მდგომარეობა უჭირავს სოციალურ და პოლიტიკურ იერარქიაში. (http://mediapedia.ge/term/dominant%20discource)

დომინანტური დისკურსი წარმოადგენს შეხედულებათა გადმოცემისა და ქცევის ტიპს ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში - იგი არის გარკვეული ტიპის მეტყველება და შესაბამისი ქცევების ერთობლიობა, რომელიც ყველაზე ფართოდაა გავრცელებული და მიღებული ამა თუ იმ საზოგადოების ფარგლებში. ასეთი სახის დისკურსი ასახავს იმ ჯგუფთა იდეოლოგიას, რომლებიც ფლობენ სხვა ჯგუფებზე მეტ ძალაუფლებას ამა თუ იმ საზოგადოებაში. დომინანტი ჯგუფები აიძულებენ საზოგადოების სხვა წევრებს მიიღონ ქცევისა და ენის ის ტიპი, რომელსაც თავად ისინი განსაზღვრავენ, როგორც სტანდარტს.

დომინანტი დისკურსი ცვალებადია, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში კონრეტული დისკურსების წარმოება ყოველთვის არ ხდება საზოგადოების რომელიმე კონკრეტული ჯგუფისა თუ ინდივიდის მიერ. მაგალითად, ამა თუ იმ რელიგიურმა კონფესიამ შეიძლება დაადგინოს სტანდარტები ლოცვისა და დაკრძალვის რიტუალებისთვის, ხოლო ჯანდაცვის ორგანიზაციამ დაადგინოს სტანდარტები პაციენტების მკურნალობისა და მათთან ინტერაქციის კუთხით. ცვლილებები რომელიმე კონკრეტულ დომინანტურ იდეოლოგიაში ყოველთვის არ ახდენენ გავლენას სხვა დისკურსებზე.

ამასთანავე, პოლიტიკური დისკურსი არა მხოლოდ აღწერითი, არამედ მოქმედებითი დისკურსია რომლის დროსაც ფაქტების შეფასების პარალელურად ხდება მოვლენებზე ლინგვისტური კონტროლის დაწესება. მნიშვნელოვანია ის,თუ რომელი დისკურსი აღმოჩნდება უფრო ქმედითუნარიანი მოვლენების ინტერპრეტირებისა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭების მხრივ. შესაბამისად ასეთი ტიპის დისკურსი იძენს დომინანტი დისკურსის ფორმას.

ხსენებულიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს, რომ პოლიტიკური მსჯელობა არის *ლინგვისტური მანიპულაცია* რომლის მიზანია ფაქტებისათვის (სასურველი) **მნიშვნელობის** მინიჭება და ამით მათზე (ფაქტებზე/პროცესებზე) კონტროლის მოპოვება.

აქვე უნდა გამოიკვეთოს ურთიერთმიმართება **დომინანტ** და **მეორად** დისკურსებს შორის. დომინანტ დისკურსს გააჩნია ენობრივი აქტის (გამოთქმების) მოქმედებებად (გამოთქმა-მოქმედებებად) გადაქცევის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც არადომინანტ (ოპოზიციურ) დისკურსს ნაკლები შესაძლებლობა აქვს გამოთქმების მოქმედებებად გადაქცევისა და იფარგლება დომინანტი დისკურსის ოპონირებით.

ფაქტი ყოველთვის უცვლელია, იცვლება მხოლოდ მისი დისკურსული ინტერპრეტაციები და შესაბამისად - მნიშვნელობაც. არსებითად, პოლიტიკური პრობლემა წარმოადგენს დისკურსულ სხვაობას, ესეიგი, როდესაც ერთიდაიგივე ფაქტს აფასებენ და განიხილავენ სხვადასხვა ენით. თავის მხრივ, დისკურსული განსხვავება ნიშნავს განსხავებული მნიშვნელობის მინიჭებას ფაქტებისადმი.

პოლიტიკური უთანხმოება არსებობს ფაქტებთან დაკავშირებით და მათთან მიმართებაში. თუმცა უთანხმოება წარმოიშვება აგრეთვე თვით მნიშვნელობებთან მიმართებაშიც, ანუ ასეთი სახის უთანხმოება მეორადია და არ არის დაკავშირებული ფაქტობრივ ვითარებასთან. არსებობს ფაქტის მნიშვნელობასთან დაკავშირებული უთანხმოება და თვით მნიშვნელობებთან დაკავშირებული უთანხმოება. (უთანხმოება უთანხმოებასთან დაკავშირებით) ამ დროს სემანტიკური შეუსაბამობა წარმოიქმნება არა პირველადი ფაქტორის, ანუ ფაქტობრივ ვითარებასთან მიმართაბაში, არამედ მნიშვნელობათა ინტერპრეტაციებთან მიმართებაში. ამ დროს წარმოიქმნება

ეგრედწოდებული “მეტადისკურსი” რაც დამახასიათებელია ზოგადად პოლიტიკური დისკურსისათვის. მეტადისკურსი არის მსჯელობის სპეციფიკური ფორმა, რომლის დროსაც მსჯელობა ხდება არა ფაქტობრივ ვითარებასთან მიმართებაში, არამედ თავად დისკურსულ ფორმებთან მიმართებაში. ეს არის “კამათი კამათისთვის”. მსჯელობის (მეტადისკურსის) პროგრესირების პარალელურად ხდება უთანხმოებათა გენერირება.

სახელდების საშუალებით ხდება ფაქტისათვის სახელის მისადაგება რის შედეგადაც პოლიტიკოსი “ეუფლება” ფაქტს, ესე იგი ცდილობს ფაქტობრივ ვითარებაზე დააწესოს ერთგვარი კონტროლი. მას ფაქტობრივ ვითარებაზე კონტროლის დასაწესებლად მხოლოდ ერთი საშუალება გააჩნია: ეს არის ლინგვისტური კონტროლი. სხვა სიტყვებით, იგი ლინგვისტურად მოიცავს ფატობრივ ვითარებას და მისთვის მნიშვნელობის მინიჭების შესაძლებლობას.

მეორადი დისკურსის დროს ხდება ახალი გაუგებრობების გენერირება რომლებსაც არ გააჩნიათ კავშირი ფაქტობრივ ვითარებასთან, რომლის გარშემოც წარმოებს პირველადი დისკურსი. თუკი პირველადი დისკურსის დროს წარმოქმნილი უთანხმოებები ჯერ კიდევ კავშირშია ფაქტობრივ ვითარებასთან, მეორადი, ანუ მეტადისკურსის დროს წარმოქმნილი სემანტიკური შეუსაბამობები უკვე მთლიანად ფიქტიური ხასიათისაა. ისინი მოიცავენ ფსიქო-ლინგვისტური სახის პროექციებს.

დაპირისპირება დისკურსებს შორის არის გამოხატულება განსხვავებულ პოზიციათა შორის არსებული წინააღმდეგობისა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განისაზღვროს ზოგადად პოლიტიკური პრობლემის არსი. თუკი არ არსებობს უთანხმოება ამა თუ იმ ***მოვლენის მნიშვნელობის*** თაობაზე, ესე იგი საკითხი არ არის პოლიტიკური თავისთავად. შესაბამისად, პოლიტიკური პრობლემა არის კონფლიქტი **მოვლენათა მნიშვნელობის შესახებ**. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ფაქტების ინტერპრეტირების (მათთვის მნიშვნელობის მინიჭების) უნარი წარმოადგენს პოლიტიკოსების უმთავრეს საშუალებას.

ლინგვისტური მანიპულაციის მეშვეობით პოლიტიკოსი “ეუფლება” ფაქტს, ესე იგი ცდილობს ფაქტობრივ ვითარებაზე დააწესოს ერთგვარი კონტროლი. ხოლო ფაქტობრივ ვითარებაზე კონტროლის დასაწესებლად მხოლოდ ერთი საშუალება

არსებობს: ეს არის ლინგვისტური კონტროლი. სხვა სიტყვებით - ლინგვისტურად ხდება ფატობრივი ვითარების მოცვა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭება.

ამგვარად, არსებობენ ფაქტები და მათი დისკურსული ინტერპრეტაციები. ერთის მხრივ სახეზეა ობიექტური მოცემულობა (ფაქტები) და მათი სუბიექტური ინტერპრეტაციები პოლიტიკური დისკურსის სახით.

აქ საჭიროა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი პოლიტიკურ აზროვნებასა და პოლიტიკურ დისკურსს შორის. პოლიტიკური აზროვნება შეიძლება განიმარტოს, როგორც კონვენციურ კატეგორიებზე დამყარებული მიზნობრივი აქტი (მ. დოლიძე, 2009). პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს პოლიტიკური აზროვნების შედეგს და მის პროდუქტს. შესაბამისად, პოლიტიკური აზროვნება არის პირველადი დისკურსთან მიმართებაში. აღნიშნული განსაზღვრება ფუნდამენტურია და გათვალისწინებულ უნდა იქნას პოლიტიკურ დისკურსზე მსჯელობისას, ზოგადად, რადგანაც ლინგვისტური აქტივობა არის მენტალური აქტივობის შედეგი და მისგან გამომდინარე.

რადგანაც პოლიტიკური დისკურსი განიმარტა როგორც ***ლინგვისტური მანიპულაცია***, ქვემოთ შევეცდებით დავუკავშიროთ იგი ***ენობრივი თამაშის*** ცნებას და დავამყაროთ ამ ორს შორის შესაბამისი ურთიერთმიმართება.

სასარგებლო იქნება აგრეთვე განისაზღვროს შემდეგი გარემოებაც: რას წარმოადგენს პოლიტიკური დისკურსის (თუ დისკურსების) მიზანს? არის თუ არა ცალკე აღებული (პოლიტიკური) დისკურსი ობიექტური მოცემულობა თუ სუბიექტური? აღნიშნულთან მიმართებაში კვლავ ვუბრუნდებით პოლიტიკური პრობლემის საკითხს და მოგვყავს შემდეგნაირი განმარტება: „უშუალო პოლიტიკური პრობლემა არის ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების სუბიექტური მენტალური განსხვავებებისა და კატეგორიების მიმართება სხვა ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ, რომელთა განზრახვები, ისევე როგორც აღქმის ფორმები, ასევე სრულიად სუბიექტურია“ (ამაღლობელი, 2009). აქედან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური დისკურსი, როგორც სუბიექტური ინტენციონალური აქტის ლინგვისური გამოვლინება, არის სუბიექტური მოცემულობა, ხოლო მისი მთავარი მიზანია ლინგვისტური მანიპულაციების მეშვეობით ფაქტებისთვის სასურველი

მნიშვნელობის მინიჭება და მათზე კონტროლის დამყარება. რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის მიზანს, იგი მდგომარეობს ძალაუფლების მოპოვებასა და მის განხორციელებაში. შესაბამისად, იგი (დისკურსი) არის ძალაუფლების მოპოვებისა და განხორციელების ერთგვარი საშუალება. აქ კი მყარდება პირდაპირი კავშირი დისკურსსა და ძალაუფლების ცნებებს შორის.

მაშასადამე, პოლიტიკური დისკურსი არის დისკურსის ის ნაირსახეობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება.

პოლიტიკური ძალაუფლება მნიშვნელოვანწილად ხორციელდება ენის საშუალებით, როდესაც პოლიტიკოსი ცდილობს რეციპიენტებს გარკვეული მანიპულაციების მეშვეობით (ენობრივი თამაში და სხვა.) თავს მოახვიოს ის შეხედულებები, მოსაზრებები და ქცევის ტიპები, რომლებიც ადრესანტს შეიძლება მიაჩნდეს მცადრად, თუმცა მომგებიანად საკუთარი თავისთვის. (პოლიტიკური აზროვნების/დისკურსის ეს თვისება უფრო დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ).

აქედან გამომდინარე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკა მიეკუთვნება გამოგონილისა და თამაშის რეგისტრს, რამეთუ იგი მოიცავს ირეალურობის ნიშანს.

(В. Маслова, 2008)

აღნიშნულთან მიმართებაში კი უნდა დაისვას ამგვარი სახის ფუნდამენტური კითხვა: არის თუ არა ნებისმიერი მსჯელობა ჭეშმარიტი თავისთავად, ასახავს თუ არა იგი ობიექტურ რეალობას, ანუ არსს, არამედ, არარსებულსა და ფიქციურს? თავიდანვე უნდა დავუშვათ, რომ ნებისმიერი მსჯელობა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი თავისთავად. არსებობენ მსჯელობები რომლებიც სწორად ასახავენ არსს, ისევე როგორც არსებობენ ისეთი მსჯელობები, რომლებიც სრულიად მრუდედ, ან ნაწილობრივ სწორად ასახავენ რეალობას, არსებულს. ამ კონტექსტში კი უნდა დამყარდეს ფაქტსა და დისკურსს შორის შესაბამისი ურთიერთმიმართება.

1.1. ფაქტისა და დისკურსის ურთიერთმიმართება

აღნიშნული ურთიერთმიმართების დამყარების მიზნით მოგვყავს შემდეგი დეფინიცია: „წინადადებანი ლაპარაკობენ სინამდვილის შესახებ, აღწერენ ფაქტებს.

წინადადებებსა და ფაქტებს აქვთ რაღაც იგივეობრივი, კერძოდ ლოგიკური სტრუქტურა, რომლის გამოთქმა ახალი წინადადებებით არ შეიძლება. ეს ლოგიკური სტრუქტურა მჟღავნდება მხოლოდ წინადადებაში, წინადადება ავლენს მას, იგი ახალი წინადადებით არ გამოითქმება. ლოგიკური ჭეშმარიტება ფაქტზე არ არის დამოკიდებული. იგი მუდამ ჭეშმარიტი წინადადებაა, რომელსაც ძალა აქვს საგანთა ყოველი შესაძლებელი მდგომარეობისათვის". ამაზე დაყრდნობით და გამომდინარე, პოლიტიკური ჭეშმარიტება შეიძლება განიმარტოს იმგვარ ლოგიკურ მენტალურ კონსტრუქციად, რომელიც არ არის დამოკიდებული ფაქტზე, აქვს ძალა საგანთა ყოველი შესაძლო მდგომარეობის დადგენისა. მას შეუძლია მოერგოს ნებისმიერ ფაქტს ისე, რომ ეს უკანასკნელი თავად დაიქვემდებაროს და შესაბამისად (დისკურსული) კონტროლი დააწესოს მასზე. სწორედ ფაქტებზე მორგებისა და შემდეგ მათი დაქვემდებარების ეს უნარი წარმოედგენს სუბიექტური, ანუ პოლიტიკური ჭეშმარიტების დამახასიათებელ თვისებას.

აქ თავიდანვე შევეცდებით განვმარტოთ პოლიტიკური აზროვნების ფენომენი. ადამიანის გონების დამოკიდებულებას ობიექტური რეალობის მიმართ აქვს დუალისტური ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ცნობიერებისათვის გარეგანი მოვლენები და საგნები გადაიქცევა პასიურ მოცემულობებად, რომლებიც იყოფა ხელოვნურად შექმნილ დიქტომიებად და დანაწევრებად კატეგორიებად. რეალობისგან ამგვარი განცალკევებით ინდივიდი და მისი პირადული გამოცდილების გარეთ მყოფი ობიექტური რეალობა ერთმანეთისგან დისოცირდებიან და შესაბამისად, დგება ურთიერთმიმართება სუბიექტსა და ობიექტს შორის. ამ ტიპის დუალისტური ურთიერთმიმართება სუბიექტსა და ობიექტს შორის საჭიროებს ერთგვარ ზოგად წესს, რომელიც დაარეგულირებს მათ შორის ინტერაქციებს და გამონახავს სუბიექტის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებას. აქ პოლიტიკური აზროვნება წარმოჩნდება როგორც ამ სახის ინტერაქციათა რეგულატორი. "პოლიტიკურ აზროვნებას აშკარად ინტენციონალური ხასიათი გააჩნია, რაც ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის ცდილობს დაძლიოს საკუთარი ფარგლები, რათა რაიმე უცხოსთან შეხებაში მოვიდეს, რაც მისივე სუბიექტური არსისგან იქნება განსხვავებული" (დოლიძე, 2007). შესაბამისად, იქმნება "სხვაობის" ფენომენი, როგორც

“საკუთარი სუბიექტური არსისგან განსხვავებულისა“. რადგანაც სახეზეა “სხვაობის“ ფენომენი, ინდივიდი საჭიროებს სხვა ინდივიდებს იმისათვის, რათა მოახდინოს საკუთარი ეგზისტენციის გამყარება, აქტუალიზება და ლეგიტიმაცია. აქედან გამომდინარე კი ამგვარი მენტალური სეპარაცია, რომელიც იძენს პოლიტიკური აზროვნების ფორმას, არის ინდივიდუალური თვით-დამკვიდრების საშუალება. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, პოლიტიკური აზროვნება არის კონვენციონალურ კატეგორიებზე დაფუძნებული ინტენციური კოგნიტური აქტი. პოლიტიკური სუბიექტი ახდენს გარეგანი ობიექტებისა და მოვლენების ინტერპრეტირებას სოციალური კონვენციებზე დაყრდნობით და შესაბამისად, მოქმედებს კიდეც მათივე მიხედვით. სხვაგვარად: ინდივიდები მიაწერენ კონკრეტულ მოვლენებს ხელოვნურად შექმნილ კონვენციონალურ კატეგორიებს. ამგვარად მოქცევისას ინდივიდები აყალიბებენ დეტერმინისტულ მიდგომას გარე სამყაროსადმი. ეს დებულება პირდაპირ კავშირშია პოლიტიკური აზროვნების სუბიექტურ არსთან. სხვა სიტყვებით კი: პოლიტიკური ჭეშმარიტება არ ითვალისწინებს ობიექტურ გარემოებას და გამოხატავს ინდივიდის ინტენციებსა და წარმოდგენებს. ხსენებულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ უშუალო პოლიტიკური პრობლემა არის კონკრეტული ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფების სუბიექტური მენტალური წარმოდგენებისა და კატეგორიების მიმართვა სხვა ინდივიდებსა თუ ინდივიდთა ჯგუფებისადმი, რომელთა ინტენციებიც, ისევე როგორც აღქმაც, აგრეთვე სრულიად სუბიექტურია. (G. Amaglobeli, 2009)

1.2. პოლიტიკურ დისკურსთა ტიპები და მათი კლასიფიკაცია

პრაქტიკული შეხედულებებიდან გამომდინარე საჭიროა პოლიტიკურ დისკურსთა სახეობების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია. უკვე არსებული განმარტებებისა და კლასიფიკაციების ერთმანეთთან შედარებით ჩვენი მიზანია პოლიტიკური დისკურსების სქემატური ტიპოლოგიის მოცემა. აუცილებელია ზოგადი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის საწყისი წერტილის შექმნა, რომელიც დამუშავდება მომავალი კვლევების ფარგლებში, რადგანაც დისკურსების ტიპოლოგია მუდმივად განვითარებადი სფეროა (van Dijk, 1997). განსაზღვრებები / ტიპოლოგიები, რომლებიც დღემდე იქნა შემუშავებული, უფრო თეორიული ხასიათისაა და, აქედან

გამომდინარე, სასარგებლო იქნებოდა უფრო ზუსტი მენტალური სურათების შექმნა (სქემატური ფორმით გამოხატული), რაც მოგვცემს საკითხის უკეთესად აღქმის შესაძლებლობას.

დომინანტური დისკურსი (Gee, 1989) წარმოადგენს დისკურსის ტიპს, რომელიც სხვა დისკურსებზე მაღლა დგას, ამცირებს ე.წ. მეორადი და სუბორდინირებული დისკურსების მიდგომების მნიშვნელობასა და ალტერნატიულობას. დომინანტური დისკურსი იმ ჯგუფების დისკურსია, ვისაც სოციალურ და პოლიტიკურ იერარქიაში დომინანტური პოზიცია უკავიათ. დომინანტური დისკურსის მეშვეობით კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ხდება იდეებისა და ქცევის ტიპის ფართო მასებისადმი გადაცემა. ასეთი ტიპის დისკურსი ასახავს იმ ჯგუფების იდეოლოგიას, რომლებიც შედარებით უფრო ძლიერნი არიან, ვიდრე სხვები. დომინანტური ჯგუფები საზოგადოების სხვა წევრებს აიძულებენ მიიღონ ქცევისა და აზროვნება-მეტყველების ის ფორმები, რომლებიც მათ მიერ განსაზღვრულია, როგორც სტანდარტი.

პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც ლინგვისტური მანიპულირების სტრატეგია, რომელიც ემსახურება კონკრეტულ (იდეოლოგიურ) მიზნებს.

1.3. დისკურსების ტიპოლოგია

შევეცადოთ წარმოვიდგინოთ დისკურსების ტიპოლოგიის ზოგადი სქემა. აქ საწყის წერტილად ვიღებთ პოლიტიკური დისკურსის ცნებას და ვყოფთ მას ქვე-ჟანრებად. თუკი ვივარაუდებთ, რომ დისკურსების (ვრცელი) კატეგორია შეიძლება დაყოფილ იქნას სვადასხვა კატეგორიებად (ქვე-ჟანრებად), ზოგადი სქემა შეიძლება შემდეგი სახით გადმოიცეს:

სქემა 1. დისკურსების ტიპოლოგია



როგორც ზემოთ მოცემული სქემადან ჩანს, თითოეული ტიპის დისკურსი იმავე დროს წარმოადგენს საზოგადოების კონკრეტული სეგმენტის / ჯგუფის დისკურსს. აქედან გამომდინარე, თითოეული სეგმენტი (პროფესიული, სოციალურ-ეკონომიკური, გენდერული ნიშნების მიხედვით) ქმნის და აწარმოებს დისკურსებს, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტულად მათთვის. თითოეული სეგმენტის მიერ წარმოებული დისკურსი არის მათივე იდეოლოგიური პოზიციების რეფლექსია. შესაბამისად, ამ მომენტიდან შეიძლება დავამყაროთ კავშირი იდეოლოგიასა (მსოფლმხედველობა) და დისკურსებს შორის, "და რადგანაც ინდივიდები იძენენ, გამოხატავენ და კვლავაწარმოებენ თავიანთ იდეოლოგიებს ძირითადად ტექსტისა თუ მეტყველების მეშვეობით, იდეოლოგიის დისკურსულ-ანალიტიკური შესწავლა ყველაზე რელევანტურ სტრატეგიად გვესახება" (Van Dijk, 2006). რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის ცნებას, იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინტენციონალური აქტი, რომლის მიზანია ყველა ცალკეულ შემთხვევაში გარკვეული მიზნების მიღწევა და ეს მიზნები, როგორც წესი მატერიალურია; სხვა სიტყვებით: ამა თუ იმ (პოლიტიკური) დისკურსის წარმოება ემსახურება საკუთარი ინტერესების არტიკულაცია-დაცვას, ხოლო სხვა(თა) ინტერესების დაკნინება-დეკონსტრუქციას.

შესაბამისად, მყარდება კავშირიც: იდეოლოგია, გამოხატული დისკურსის მეშვეობით, ემსახურება მატერიალურ მიზნებს.

მაგალითისთვის - როდესაც ლგბტ (ან თუნდაც, ფემინისტური) დისკურსი ახდენს გარკვეული უფლებების არქონის არტიკულაციას და პარალელურად ცდილობს წინ აღუდგეს და რიგ შემთხვევებში - მოახდინოს სტატუს ქვოს დეკონსტრუქცია, რომელიც არის იმ სეგმენტების ინტერესთა მანიფესტაცია, რომლის წინააღმდეგაც გამოდიან პირველნი (მოყვანილ შემთხვევაში ლგბტ და ფემინისტური სეგმენტები და მათ მიერ წარმოებული დისკურსები ცდილობენ წინ აღუდგნენ რელიგიურ/პატრიარქალურ დისკურსებს, ისევე როგორც მწვანე დისკურსი ცდილობს შეეწინააღმდეგოს დამყარებული კაპიტალისტური სისტემის დისკურსს).

აქედან ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს დავუკავშიროთ ნარატივის ცნება და ზემოთ მოყვანილი ურთიერთმიმართება იდეოლოგიასა და დისკურსს(ებს) შორის.

იდეოლოგიური საფუძვლების მიხედვით დისკურსები შეიძლება დაიყოს მემარჯვენე-მემარცხენე დისკურსებად, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ კონკრეტული ნარატივების გაგრძელებებს. იდეოლოგიური საფუძვლების მიხედვით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნარატივები: სოციალისტურ/კომუნისტური, კონსერვატიული, ლიბერალურ/დემოკრატიული და ა.შ.

კონკრეტული ნარატივები აწარმოებენ შესაბამის დისკურსებს: ლიბერალურ/დემოკრატიული ნარატივი აწარმოებს მწვანე, ლგბტ, ფემინისტურ დისკურსებს (რომლებიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც "ემანსიპატორული"); კონსერვატორული ნარატივისგან იწარმოება რელიგიური და ნაციონალისტური დისკურსები. ამასთანავე, შეიძლება არსებობდეს ვარიაციები ნარატივებსა და შესაბამის დისკურსებს შორის. მაგალითად, ნაციონალისტური დისკურსი შეიძლება წარმოიშვას როგორც კონსერვატორული, ისევე ლიბერალური ნარატივებისგან. შესაბამისად, შესაძლებელია ვისაუბროთ ორივეზე: კონსერვატორულ და ლიბერალურ ნაციონალისტურ დისკურსებზე.

კავშირი იდეოლოგიებს, ნარატივებსა და დისკურსებს შორის შეიძლება ფორმულირდეს შემდეგი სახით:

სქემა 2. ნარატივები და დისკურსები



მოყვანილი სქემის განმარტვისათვის: არსებობენ კონკრეტული ტიპის ნარატივები რომლებიც წარმოადგენენ ასევე კონკრეტული იდეოლოგიების რეფლექსიებს, აღნიშნული კავშირი კი წარმოშობს შესაბამის დისკურსებს. როგორც აღინიშნა, არსებობენ დომინანტური და მეორადი (დაქვემდებარებული) დისკურსები. გარკვეული სახის დისკურსები ძალაუფლების ბრძოლის შედეგად აღწევენ დომინანტურ პოზიციას. შესაბამისად:

სქემა 3. დომინანტური და მეორადი (დაქვემდებარებული) დისკურსები:



აქ დომინანტური დისკურსები იმორჩილებენ მეორად დისკურსებს, რადგან ისინი ქმნიან სტატუს ქვოს ნებისმიერ საზოგადოებაში არსებული სტრუქტურის ფარგლებში. "დისკურსები ზოგადად ქვე-კატეგორიებად იყოფიან, რომლებიც ასევე განსხვავდებიან იმ წესების მიხედვით, რომლებიც მათ მართავენ“. (Whisnant, 2012).

გარდა ზემოთ მოცემული ტიპოლოგიებისაა, არსებობს სხვა სფეროები, სადაც ხდება დისკურსების კლასიფიკაცია. ეს არის პროფესიული სფეროს კატეგორიზაცია: "ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, გარდაუვალი იქნებოდა პოლიტიკური და სოციალური საკითხების გაგება ენის გაგების გარეშე, დისკურსის ანალიზი ეხება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა დისკურსებს. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ სამედიცინო, პოლიტიკურ, იურიდიულ, საგანმანათლებლო და სხვა სახის დისკურსებზე "(თ. ლომაძე, 2016).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დისკურსები შეიძლება იყოს კონფლიქტური და კოოპერატიული. როდესაც დისკურსები კონფლიქტურია, თითოეული მხარე ცდილობს მაქსიმალურად გაატაროს საკუთარი და მინიმუმამდე დაიყვანოს მეორე მხარის ინტერესები. კოოპერაციის შემთხვევაში კი დისკურსები ცდილობენ საკუთარი ინტერესების გატარებას ურთიერთგაგების გზით.

დისკურსების ტიპოლოგია:

1. ინსტიტუციონალური დისკურსი, რომელიც მოიცავს შემდგომ სახეობებს: პედაგოგიური, სამედიცინო, მეცნიერული, პოლიტიკური, რელიგიური.

2. ყოფითი დისკურსი - ყოველდღიური აქტივობის ფარგლებში წარმოქმნილი. (Кейдер В. Е. 2019)

„კომუნიკაციური კონფლიქტი“ - მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს: 1) კონფლიქტური სიტუაციის მონაწილენი, რომელთა ინტერესებიც ეწინააღმდეგება ერთმანეთს; 2) უთანხმოება (მიზნები, შეხედულებები, პოზიციები); 3) კონფლიქტური სიტუაციის ერთი მონაწილის ლინგვისტური ქმედებები მიმართულია თანამოსაუბრის ქცევის ან მდგომარეობის შეცვლისაკენ; 4) საკუთარი ლინგვისტური ქმედებების მოწინააღმდეგის ენობრივი ქმედებებისადმი დაპირისპირება. (Н.А. Белоус, 2018)

პოლიტიკური დისკურსი - დისკურსის ნაირსახეობა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელება.

აქ შეიძლება დაისვას ფუნდამენტური კითხვა: რატომ არიან დისკურსები ერთმანეთთან კონფლიქტში? (კონფლიქტური დისკურსები) ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება გაეცეს პოლიტიკური კონფლიქტის ცნების მოშველიებით. იგი შეიძლება ამგვარად განისაზღვროს: უშუალო პოლიტიკური პრობლემა არის ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების სუბიექტური მენტალური განსხვავებებისა და კატეგორიების მიმართება სხვა ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ, რომელთა განზრახვები, ისევე როგორც აღქმის ფორმები ასევე სრულიად სუბიექტურია (ამაღლობელი, 2009).

ამ განმარტების თანახმად, როდესაც, მაგალითად, ლგბტ აქტივისტები იყენებენ თავიანთ დისკურსიულ სტრატეგიას (კონკრეტული გენდერულად ნეიტრალური ენის გამოყენებით) კონსერვატიულ ჯგუფებთან კომუნიკაციისას, ისინი ცდილობენ წინ წამოწიონ იდენტობის თავიანთი პროექციები და ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ „ბინარულ გენდერულ“ სტატუს ქვოს (და იმავე დროს ცდილობენ მოახდინონ მისი დეკონსტრუქცია).

იმ დისკურსის ანალიზისას, რომელსაც იყენებს კონკრეტული ინდივიდი, შესაძლებელია მის გენდრეთან, სექსუალობასთან, ეთნიკურობასთან, კლასობრივ

მიკუთვნებულობასთან დაკავშირებით გარკვეული წარმოდგენის შექმნა (Whisnant, 2012).

რაც შეეხება დისკურსიულ სტრატეგიებს, მაგალითად, პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში, როდესაც ქალი პოლიტიკოსები იწყებენ "მამაკაცურად" საუბარს - ეს შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკურ დისკურსიულ სტრატეგიად, რომელსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები გააჩნია (Jones, 2015) . აქ სახეზეა ერთგვარი ენობრივი თამაში, როდესაც ერთი სქესი იყენებს საპირისპირო სქესის მეტყველების ფორმას.

როგორც აღნიშნა, (ამაღლობელი, 2017), თითოეული დისკურსის ტიპი წარმოიშობა და ოპერირებს განსაზღვრული ფრეიმის ფარგლებში. ფრეიმი არის მენტალური სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც აღვიქვამთ და მნიშვნელობას ვანიჭებთ ობიექტურ რეალობას. ფრეიმების მეშვეობით ვახდენთ იმის კონსტრუირებას, რაც განისაზღვრება, როგორც რეალობა. ფრეიმები ახდენენ იდეათა და ცნებათა სტრუქტურირებას, ისინი განსაზღვრავენ ჩვენს აზროვნების ფორმას. უმეტესწილად ფრეიმები ავტომატურად და გაუცნბიერებლად ოპერირებენ (Kaufman, Elliott & Shmueli, 2013). ასევე, ფრეიმინგის ცნება შეიძლება დაუკავშირდეს დისკურიული სტრატეგიების ცნებას. ფრეიმინგი არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაციის წყარო ახდენს და განსაზღვრავს სოციალურ თუ პოლიტიკურ საკითხებს (Nelson, Oxley & Clawson, 1997). შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ იდეოლოგიური მახასიათებლებით განსაზღვრულ ფრეიმებზე და დავუკავშიროთ ისინი დისკურსის ცნებას, რადგანაც თითოეულ კონკრეტულ დისკურსს გააჩნია თავისი ფრეიმი, რომლის ფარგლებშიც იგი ოპერირებს: რელიგიური, ფემინისტური, კონსერვატიული, სოციალისტური, მწვანე ფრეიმები (როგორც კონკრეტული დისკურსთა ტიპების რეფლექსიები). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგ ელემენტებს შორის ურთიერთმიმართების ჩამოყალიბება: იდეოლოგია - დისკურსი - ფრეიმი.

თითოეულ იდეოლოგიას გააჩნია შესაბამისი დისკურსი (და პირიქით) და ისინი (იდეოლიგიები) ექსპილიციტურად იწარმოება და გამოიხატება დისკურსის მეშვეობით. თითოეული პოლიტიკური დისკურსები კი იწარმოება და ოპერირებენ

განსაზღვრული (იდეოლოგიური) ფრეიმების ფარგლებში. შესაბამისად, დისკურსები ასახავენ კონკრეტულ იდეოლოგიურ ჩარჩოებს სპეციფიკური ლინგვისტური სტრატეგიების გამოყენებით. პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც ინტენციური აქტი რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც ჩვეულებრივ მატერიალური ხასიათისაა. სხვა სიტყვებით, კონკრეტული პოლიტიკური დისკურსის წარმოება მიზნად ისახავს განსაზღვრული ინტერესების არტიკულირებას, დაცვას, წინააღმდეგობა/დეკონსტრუქციას.

მნიშვნელოვანია პოლიტიკური დისკურსის ტიპებისა და მათი თავისებურებების ცოდნა მათში ეფექტურად ჩართულობის მიზნით. პოლიტიკური დისკურსების კლასიფიკაცია შესაძლებელია იმ იდეოლოგიების მიხედვით, რომელთა აქტუალიზებასაც ისინი ახდენენ.

თითოეული ჩვენთაგანი ბუნებრივად დავისწავლით მინიმუმ ერთ პირველად დისკურსს სოციალიზაციის პროცესში. ეს არის იდენტობის ჩვენეული ავთენტური განცდა. ამ ეტაპიდან ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ მეორადი დისკურსები ცხოვრების მანძილზე. არსებობს მეორადი დისკურსების ბევრი სახეობა.

დისკურსები არა მხოლოდ აზროვნების, არამედ არსებობის ფორმებიცაა. ჩვენი დისკურსები განსაზღვრავენ ჩვენს სოციალურ მდგომარეობას და გვანიჭებენ (ან გვართმევენ) საზოგადოებრივ სტატუსს.

1.4. პირველადი და მეორადი დისკურსები

პირველადი დისკურსი	**მეორადი დისკურსი**
სახლი	საჯარო სფერო: სკოლა, სამუშაო ადგილი,დაწესებულებები

შეძენილი ბუნებრივად	როგორც წესი, ასწავლიან პირდაპირი ინსტრუქციის მეშვეობით (განსაკუთრებით სკოლებში)
იდენტობის საფუძველი	დაისწავლება მხოლოდ ინკულტურაციის მეშვეობით
გააჩნია რეალობის აღქმისა და გარემომცველებთან ინტერაქციის დატვირთვა	შეიძლება იყოს **დომინანტი** მეორადი დისკურსი, რომელსაც მოაქვს ფული, ძალაუფლება და/ან პრესტიჟი
ხშირ შემთხვევებში მასზე გავლენას ახდენს სოციოეკონომიკური სტატუსი	შეიძლება კონფლიქტში მოდიოდეს პირველად დისკურსთან
მარიგინალიზებული ჯგუფების ადეპტები განიცდიან სირთულეებს პირველადი და მეორადი დისკურსების ერთმანეთთან შეთავსების კუთხით	ინდივიდი ან არის (მეორადი) დისკურსის გამართულად გამომყენებელი, ან საერთოდ არა. არ არსებობს შუალედი.

1) სოციოეკონომიკური სტატუსი: საშუალო კლასის ბავშვები ფლობენ ისეთ პირველად დისკურსებს, რომლებიც ახლოსაა სკოლაში გამოყენებულ დისკურსთან. შესაბამისად, ასეთი მოსწავლეები "სოციალურად წინასწარ არიან შერჩეულნი აკადემიური წარმატებისთვის". საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენელი მოსწავლეები უკეთ ითვისებენ სასკოლო დომინანტ დისკურსებს - სტანდარტულ ენას, ტექსტზე დაფუძნებულ წერით ფორმებს. აკადემიური დისკურსი არაბუნებრივია ყველასათვის, მაგრამ ზოგიერთებისთვის იგი კიდევ უფრო მეტად არაბუნებრივია, ვიდრე სხვებისთვის.
2) შეიძლება ვინმეს ასწავლოთ ლინგვისტიკა, ცოდნის გარკვეული სფერო, მაგრამ ვერ ასწავლით ლინგვისტობას, ანუ დისკურსის გამოყენებას. ამასთანავე, დისკურსის გარეთ მყოფნი ითვისებენ მას მხოლოდ მაშინ, როდესაც დისკურსის შიგნით მყოფნი აძლევენ ამ უკანასკნელთ მისი გამოყენების შესაძლებლობას.
3) კონფლიქტები დისკურსებს შორის: ყოველთვის არსებობს კონფლიქტი ინდივიდის დისკურსებს შორის და ამ წინააღმდეგობამ შეიძლება შეაფერხოს რომელიმე დისკურსის ან ორივე მათგანის ათვისება ინდივიდის მიერ. კონფლიქტი დისკურსებს შორის უფრო მწვავეა იმ მოსწავლეებში, რომელთა კლასობრივი, რასობრივი, და გენდერულ/სექსუალური იდენტობები ტრადიციული სოციალური ძალაუფლებრივი სტრუქტურების გარეთაა. კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას პირველად და მეორად დისკურსებს შორის, თუმცა, ამასთანავე, კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას ორ მეორად დისკურსს შორისაც. მაგალითად, კონფლიქტი ფემინისტურ დისკურსსა და ტრადიციულ ლიტერატურის კრიტიკას შორის.
4) წიგნიერება - მეორადი დისკურსების თავისუფლად კონტროლის უნარი. გაწაფულობამ კონკრეტულ დისკურსში შეიძლება დაგვეხმაროს სხვა დისკურსების პრობლემატური ასპექტების მეტაკოგნიციაში. (L. Wallis, 2015)

ნ. ფერკლაუფს (Fairclough, 2001) ძალაუფლების მქონეთა ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავს მედიცინის მუშაკები, კონკრეტულად ექიმები, რომელთა დისკურსშიც ჩანს

მათი ძალაუფლება, რომელიც გამოხატულია პაციენტების მიმართ. ძალაუფლება ექიმს საშუალებას აძლევს პაციენტი დაიყოლიოს და დაარწმუნოს მაგალითად, წამლის ან მკურნალობის აუცილებლობაში. პაციენტები კი ვალდებულები არიან, დაემორჩილონ და დაუჯერონ „ძალაუფლების მქონე“ ექიმებს. თვით ექიმებს კი აკონტროლებენ ზემდგომი პირები, დაცულია ინსტიტუციონალური იერარქია და ეს ხორციელდება პროფესიული დაუდევრობის დასჯის, დაწინაურების და სხვა ტიპის ღონისძიებების გატარებით სამედიცინო სფეროში. (თ. ლომაძე, 2016)

სამედიცინო დისკურსი, როგორც ერთერთი პირველადი/დომინანტი დისკურსი - მისი მნიშვნელობა კარგად გამოჩდნა პანდემიის პირობებში, როდესაც მან წინა პლანზე წამოიწია როგორც ობიექტური მოცემულობის ინტერპრეტატორმა და ეგზისტენციალური საფთხისას მოქმედების ტიპების მკაცრმა განმსაზღვრელმა. სამედიცინო დარგის სპეციალისტებმა ამგვარ საგანგებო ვითარებაში დაამყარეს დისკურსული დომინანტობა ძალაუფლების მქონე ყველა სხვა ინსტიტუციებთან მიმართებაში (მთავრობა, ეკლესია...), ხოლო ეს უკანასკნელნი კი იძულებულნი გახდნენ ემოქმედათ მათი რეკომენდაციების შესაბამისად.

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობენ ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სამედიცინო სფეროს ექსპერტთა დისკურსს თავიანთი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, შესაბამისი დისკურსული ფორმებით, რაც მათივე ცხოვრების ფორმებითაა განპირობებული.

აქ იგულისხმება რელიგიური დისკურსი და შესაბამისი მენტალობა (რეალობის აღქმა-ინტერპრეტირების სპეციფიკური ფორმა)

სამედიცინო დისკურსი არის ობიექტური დისკურსი, რამდენადაც იგი აღწერს ბიოლოგიურ მოცემულობას (რაც მეცნიერული დისკურსის მთავარი ფუნქცია და მახასიათებელია). მასთან დაპირისპირებული დისკურსები, შესაბამისი ცხოვრების ფორმებით კი სუბიექტური შინაარსიანი არიან, რადგანაც ისინი არ აღწერენ ობიექტურ მოცემულობას, არამედ სუბიექტურ ინტენციებს.

1.5. ენობრივი თამაში

აქედან კი შევეცდებით განვმარტოთ ენობრივი თამაშის ცნება. ჩვენი მსჯელობისთვის სასარგებლო იქნება შემდეგნაირად განისაზღვროს ენობრივი

თამაშები: მათი პირველი მახასიათებელი არის ის, რომ ისინი არ ფლობენ საკუთარ ლეგიტიმაციას და მათი წესები წარმოადგენს შეთანხმების საგანს მოთამაშეთა შორის - ღიად თუ ფარულად. (რომელიც არ ნიშნავს იმას, რომ მოთამაშეები იგონებენ თამაშის წესებს). მეორე არის ის, რომ თუ არ არსებობს წესები, არ არსებობს არც თამაში, რომ უმცირესი ცვლილება რომელიმე წესში იწვევს ცვლილებას მთლიან თამაშში და რომ ისეთი "სვლა" ან გამოთქმა, რომელიც არ აკმაყოფილებს თამაშის წესებს, არ ეკუთვნის იმავე თამაშს, რომელსაც ისინი განსაზღვრავენ. მესამე მახასიათებელი კი ისაა, რომ ყოველი გამოთქმა უნდა იყოს გაგებული როგორც "სვლა" თამაშში.

ამ უკანასკნელ დაკვირვებას მივყვართ პირველ პრინციპამდე, რაც ჩვენი მოსაზრების საფუძვლად გვევლინება: საუბარი არის ბრძოლა, თამაშის გაგებით, ხოლო სამეტყველო აქტები განისაზღვრება, როგორც კონფლიქტური აქტივობები, ზოგადად. ეს არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ თამაშობენ მხოლოდ და მხოლოდ მოგების მიზნით. სვლა შეიძლება განხორციელდეს მისივე გამოგონებით სიამოვნების მიღების მოტივაციით.

არავინ, თუნდაც ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებული ინდივიდი არ არის სრულიად უძლური იმ გზავნილების წინაშე, რომლებიც მისი მისამართით იგზავნება და ადგილს მიუჩენენ მას გამგზავნის, მიმღებისა ან რეფერენტის მიმართ. ინდივიდის მოქნილობა ენობრივი თამაშების ზემოქმედებებთან მიმართებაში დაშვებულია, თუნდაც განსაზღვრული ლიმიტაციის ფარგლებში.

ენობრივი თამაშები წარმოადგენენ იმ საურთიერთო მინიმუმს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ამა თუ იმ კონკრეტულმა საზოგადოებამ იარსებოს. თავად სოციალური კავშირი თავისთავად უკვე არის ენობრივი თამაში. (J. F. Lyotard, 1979)

თავის გამოკვლევებში ლიოტარი ირჩევს ენობრივი თამაშების მეთოდს. მისი მოსაზრებით პოსტმოდერნულობა და მასთან დაკავშირებული განვითარებები მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ენას.

ლიოტარის მიერ განვითარებული ენობრივი თამაშების ცნება აღებულია ვიტგენშტაინისეული ენობრივი თამაშების ცნებიდან. ენობრივი თამაშების თეორია გულისხმობს, რომ გამოთქმათა თითოეული კატეგორია შეიძლება განისაზღვროს იმ

წესების მეშვეობით, რომლებიც ადგენენ მათსავე თვისებებსა და გამოყენებებს. ვიტგენშტაინის მოსაზრებით კი განსხვავებული გამოთქმები მიეკუთვნებიან სხვადასხვა ენობრივ თამაშებს.

ლიოტარი იძლევა გამოთქმათა რამოდენიმე მაგალითს. "დენოტაციური" ისეთი ტიპის გამოთქმაა, რომელიც მიზნად ისახავს ამა თუ იმ საგნის/მოვლენისა თუ რეფერენტის სწორად განსაზღვრას-გადმოცემას, რომელსაც იგი მიმართავს ("თოვლი თეთრია"). "პერფორმატიული" გამოთქმა ისეთი ტიპის გამოთქმაა, რომელიც თავადვე წარმოადგენს ინსტრუქცია/მითითებას, რეკომენდაციას, მოთხოვნასა თუ ბრძანებას ("მომეცი ფული"). (პერფორმატიული გამოთქმა ანუ პერფორმატივი: ერთგვარი ენობრივი აქტიობის ფორმაა, რომელიც გამოთქმა/მოქმედებას წარმოადგენს. (მ. ბიჭაშვილი, 2006). ვიტგენშტაინის, ისევე როგორც ლიოტარის მოსაზრებით, ენობრივი თამაშები ერთმანეთის არათანაზომიერნი არიან და სვლები ერთ ენობრივ თამაშში ვერ გარდაიქმნება სვლებად მეორე ენობრივ თამაშში. მაგალითად, ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ, თუ რა უნდა იყოს (ბრძანებითი) იმაზე დაყრდნობით და იქედან გამომდინარე, თუ რა არის (დენოტაციური).

ლიოტარის მიერ ენობრივი თამაშების არჩევის მიზეზი თავიდანვე პოლიტიკურია და ახლოსაა კავშირთან ცოდნასა და ძალაუფლებას შორის. პოსტმოდერნულობაში ცოდნის სტატუსის ანალიზისას ლიოტარი განიხილავს ცოდნის პოლიტიკურ და ეპისტემოლოგიურ ასპექტებს (ლეგიტიმაცია) და ძირითად სოციალურ კავშირებს - იმ მინიმალურ ურთიერთობას, რაც აუცილებელია ნებისმიერი საზოგადოების არსებობისათვის რომლებსაც იგი განიხილავს როგორც გარკვეულ სვლებს ენობრივ თამაშებში.

ლიოტარი პოსტმოდერნულ საზოგადოებას მოიაზრებს როგორც მრავალფეროვანი და დანაწევრებული **ენობრივი თამაშებისგან შემდგარს**. ამასთანავე, თამაშები მკაცრად (თუმცა, არა ხისტად - თამაშის წესები შეიძლება შეიცვალოს) აკონტროლებენ სვლებს, რომლებსაც მათ შიგნით აქვთ ადგილი ლეგიტიმაციის იმ ნარატივებისადმი მიმართვით, რომლებიც მიღებულია იმ შესაბამისი ინსტიტუციების მიერ, რომლებიც მათვე (ნარატივებს) აწარმოებენ. შესაბამისად, ჯარში ემორჩილებიან ბრძანებებს, ლოცულობენ ეკლესიებში, კითხვებს სვამენ ფილოსოფიაში და ა. შ.

პოსტმოდერნულობაში ცოდნის სტატუსის ანალიზისას ლიოტარი ანსხვავებს ორი სახის ცოდნას - "ნარატიული" ცოდნა და "მეცნიერული" ცოდნა. ნარატიული ცოდნა წარმოდგენილია "პრიმიტიულ" ან "ტრადიციულ" საზოგადოებებში და იგი ემყარება ამბების თხრობას, ზოგ შემთხვევებში გამოხატულია რიტუალის, მუსიკისა და ცეკვის ფორმით. ნარატიულ ცოდნას არ გააჩნია ლეგიტიმაციის ობიექტური წყარო - მისი ლეგიტიმაცია მასშივეა მოცემული, მის "მარადისობაში", როგორც ურყევი ტრადიციისა - იგი გადაიცემა იმ ინდივიდების მიერ, რომლებმაც მოისმინეს იგი (ნარატივი) სხვებისგან და თავის მხრივ გადასცემენ იმავე ნარატივს სხვებს. ამ ტიპის ნარატივის მიმართ კითხვის ნიშნის დასმის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ნარატიულ და მეცნიერულ ცოდნებს შორის განსხვავება ლიოტარის პოსტმოდერნიზმის თეორიაში ცენტრალური საკითხია. მისი აზრით პოსტმოდერნულობის ერთერთი განმსაზღვრელი მახასიათებელია მეცნიერული ცოდნის დომინირება ნარატიულ ცოდნაზე. მენიერული ცოდნის პრაგმატიკა არ იძლევა ნარატიული ცოდნის ლეგიტიმურობის აღიარების საშუალებას, რადგანაც ეს უკანასკნელი არ იზღუდება დენოტაციური დებულებებით. ლიოტარი ხედავს საფრთხეს ამ ტიპის დომინირებაში, რადგანაც მისივე მოსაზრების მიხედვით რეალობა არ შეიძლება მოქცეულ იქნას **დისკურსის ერთ რომელიმე** კონკრეტულ ჟანრში ან მოვლენათა რომელიმე კონკრეტულ რეპრეზენტაციაში და რომ მეცნიერებას გამორჩება ის ასპექტები რეალობისა, რომელსაც მოიხელთებს ნარატიული ცოდნა. სხვა სიტყვებით, ლიოტარი არ მიიჩნევს, რომ მეცნიერებას გააჩნია რაიმე სახის ლეგიტიმაცია იმ კუთხით, რომ ნარატიულ ცოდნაზე საკუთარი უპირატესობა განაცხადოს. ვიტგენშტაინის "ენობრივი თამაშის" ცნება კი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სოციალური სინამდვილე შედგება განსხვავებული ტიპის ენობრივი აქტიობებისაგან რომელთაგანაც თითოეული იმართება მათივე კონტექსტებისათვის შესაფერისი სეპეციფიკური წესებით.

თითოეული ენობრივი აქტიობის წესებზე დამყარებული არსი გულისხმობს იმას, რომ ჭადრაკის მსგავსად თითოეული ენობრივი აქტი (გამონათქვამი) მნიშვნელობას იძენს არა თავისთავად და განცალკევებულად, არამედ მხოლოდ

როგორც ნაწილი ერთი მთლიანი აქტიობისა. სხვა სიტყვებით, ეს არის თითოეული გამონათქვამის ჩასმა ენობრივი თამაშის სტრატეგიულ სისტემაში რომელიც აძლევს იმავე გამონათქვამებს კონკრეტულ მნიშვნელობას, ვიდრე გამონათქვამის ნებისმიერი თანდაყოლილი მნიშვნელობა როგორც ენობრივი ნიშნისა ან გამომთქმელის განზრახვისა (L. Chouliaraki, 2008). როგორც ვიტგენშტაინი ამტკიცებს, ენა წარმოადგენს არა ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ მოვლენას. იგი არა მხოლოდ ახდენს რეალობის რეპრეზენტირებას სიტყვების მეშვეობით (გამოთქმათა რეფერენტული თვისება), არამედ სიტყვების მეშვეობით ქმედებების განხორციელების საშუალებასაც იძლევა (გამოთქმათა პერფორმატიული თვისება). სოსიურის მსგავსად ენობრივი თამაშის მეტაფორას ფილოსოფიურ აზრში შემოაქვს მოსაზრება, რომ მნიშვნელობა, რომელიც შორსაა იმისგან, რომ დააფიქსიროს მყარი კავშირი ადამიანის გონებასა და გარეგან საგნებს შორის, თავად არის არსებითად არამყარი და პირობითი ადამიანური ინტერაქციის ნორმების დადგენის მხრივ.

ხოლო, რადგანაც სოციალური რეალობა შედგება გამოყენების მრავალი განსხვავებული მოდელისაგან, თითოეული მათგანის განსაზღვრა გულისხმობს იმას, რომ ანალიტიკოსს არა მხოლოდ ესმის თითოეული ენობრივი თამაშის წესები, არამედ შეუძლია აგრეთვე ენობრივ თამაშებსა და ლინგვისტური აქტიობის განსხვავებულ და შეუთავსებელ ლოგიკებს შორის ლავირება.

ლიოტარის მეცნიერების დისკურსის “დელეგიტიმიზაცია“ ემყარება მოსაზრებას, რომ არსებობენ იმდენივე შეუთავსებადი ცხოვრების კულტურული ფორმები და სამეცნიერო რაციონალურობები, რამდენი ენობრივი თამაშიც არსებობს და რომ ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ შეუძლებელია მათ შორის რაიმე სახის შედარება ან შეფასება.

ნებისმიერი ტიპის რელატივიზმის წინაღმდეგ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ენობრივი თამაშის სოციალური ურთიერთობები წარმოადგენს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს და რომ ენობრივი თამაშების წესები მეტნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია ძალაუფლების შესაბამის სფეროებში - ისევე როგორც მეცნიერებაში, სადაც ცოდნის გენერირება წარმოადგნეს ერთმანეთთან კონკურენციაში და კონფლიქტში მყოფი პარადიგმების ინტერესთა შორის თამაშს.

რაც შეეხება თამაშის ცნების ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას, შეიძლება მივმართოთ შემდეგირ სახის განმარტებას: თამაშისადმი ადამიანის ლტოლვაში ამოიცნობა მისი სურვილი საკუთარი სულიერი წონასწორობის აღდგენისა, რადგან ეს წონასწორობა გამუდმებით ირღვევა ამა თუ იმ საწყისის მიერ: გრძნობითის თუ ზეგრძნობითის, ხორციელის თუ სულიერის, გონისეულის თუ ვნებისეულის. "თამაში თითქოს ასრულებს რეალობის ერთგვარი რეგულატორისა და კორექტორის ფუნქციას, აძლევს მას რა რაღაც ისეთს, რაც მას (რეალობას) არ ჰყოფნის. თამაშს ბუნებრივ სტიქიაში შეაქვს ორგანიზაციული საწყისი, ხოლო სოციალურ წესრგიში - იმპროვიზაციისა".

ვიტგენშტაინი ამგვარად ადგენს თამაშსა და რაციონალურობას შორის მიმართებას - იგი ცდილობს აზრის ლოგიკური წყობადობის აბსურდულობის გამოაშკარავებას: რაციონალურობა, მიყვანილი ზღვრამდე, უახლოვდება აბსურდს. რაციონალური აზროვნების ფარგლებში, რომელიც ეფუძნება კონცეპტუალურ სქემებს, არ არის თამაშის ადგილი. თამაში შეიცავს ირაციონალურობის ელემენტს, რომელსაც ვერ იხელთებს ლოგიკის ინტელექტუალური შემადგენელი. თამაში ეწინააღმდეგება ერთმნიშვნელოვან/ცალსახა განმარტებებს, რამეთუ მისი არსი არ ექვემდებარება რაციონალიზაციას. (А. Королькова, 2009)

თანამედროვე ლინგვისტები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ენობრივი თამაში უპირველეს ყოვლისა არის ინდივიდის ლინგვოკრეატიულობის გამოხატულება, რაც, როგორც წესი, კავშირშია ენობრივი სისტემის ნორმებისა და წესების შეგნებულად დარღვევასთან (И. Цикушева, 2009). რიგი მკვლევარი ენობრივი თამაშის განსაზღვრისას უფრო შორს მიდის: „ენობრივი თამაში წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდები მანიპულირებენ ენის ფორმებითა და ფუნქციებით საკუთარი თავის და სხვების გამხიარულების მიზნით (Crystal, 1996).

აქვე, გათვალისწინებულ უნდა იქნას თამაშის დუალისტურ-კონფლიქტური თვისებაც: ენობრივი თამაშის შედეგად უნდა შეიქმნას საკუთარი თავის დადებითი, ხოლო სხვისი უარყოფითი იმიჯი. ამგვარად აქტუალიზდება პოლიტიკური კომუნიკაციისთვის დამახასიათებელი ოპოზიციები - „ჩვენ-ისინი", „ჩვენიანი-უცხო"

(А. Алексеев, 2018).

რაც შეეხება ფენომენის მანიპულატიურ ბუნებას, ენობრივი თამაშის მეშვეობით ადვილია ადრესატის ცნობიერების მანიპულირება - გზავნილის ჭეშმარიტი მნიშვნელობის შენიღბვა ან დამახინჯება, ადრესანტისთვის სასურველი მიმართულებით ადრესატის დამოკიდებულებების შეცვლა.

ვიტგენშტაინი უშვებს შესაძლებლობას, რომ ენობრივი თამაშები იცვლებიან და ვითარდებიან. დროთა განმავლობაში იქმნებიან ახალი ენობრივი თამაშები, ხოლო სხვები ძველდება და დავიწყებას ეძლევა. ენობრივი თამაშის მონაწილეებს უნდა ესმოდეთ წარმოთქმულის კულტურული კონტექსტი. თუკი არ არსებობს ამგვარი გაგება, არ არსებობს ენობრივი თამაშიც.

ადამიანური არსებობისთვის თამაშს არაუტილიტარული, ესთეტიკური და არსობრივად მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. პოლიტიკურ დისკურსში კი ენობრივ თამაშს უტილიტარული დატვირთვა გააჩნია - იგი გათვლილია გარკვეული ეფექტის მიღწევაზე, პოლიტიკური დისკურსის წარმოების მიზანი - ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელებაა.

ენობრივი თამაში ეს ყოველთვის ესა თუ ის ცხოვრებისეული ვითარებაა, რომელშიც სიტყვები თამაშობენ. სიტყვები აუცილებლად შეესაბამებიან კონკრეტულ მდგომარეობას, მათ არ გააჩნიათ განყენებული მნიშვნელობა. „საგნის/მოვლენის სახელდებით ჯერ კიდევ არაფერია გაკეთებული. თამაშის ფარგლებს გარეთ მას არანაირი სახელი არ გააჩნია“

ენობრივი თამაში ზოგადად გაიგება როგორც „ენობრივი სტანდარტისა და მეტყველებაში ამავე სტანდარტიდან შეგნებული გადახვევის თანაფარდობა“ (5, c.27), ზოგადი ტერმინი „ენობრივი თამაში“ მოიცავს ყველა იმ აქტს, რომლის ფარგლებშიც მოსაუბრე აგენტი „თამაშობს“ სამეტყველო ფორმებით (А. Коршунова, 2008).

ვიტგენშტეინის მიხედვით სიტყვათშეთანხმება საერთოდ არ შეიძლება იყოს არასწორი იმიტომ, რომ „სწორი“ (როგორც ერთადერთი სწორი, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს/უპირისპირდებოდეს არასწორ ფორმას) სიტყვათშეთანხმება საერთოდ არ არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ენობრივი თამაშების არსებობის შესაძლებლობის დაშვება, როგორც ასეთის.

აღნიშნული ვიტგენშტაინისეული განსაზღვრება ართულებს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ დაშვებას იმაზედ, რომ ნებისმიერი მსჯელობა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი თავისთავად. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვამტკიცოთ, რომ არსებობენ ენობრივი თამაშები, რომლებიც სწორად ასახავენ რეალობას და ისეთებიც, რომლებიც მრუდედ, არასწორად ასახავენ მას.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს პოლიტიკური დისკურსის (და შესაბამისი (პოლიტიკური) ენობრივი თამაშების) ეს აშკარა თავისებურება - ინტერაქციაში ჩართული სუბიექტებისთვის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგეზე დისკურსიული დომინაციის მიღწევა, ხოლო ამგვარ ინტერაქციაში მნიშვნელობას კარგავს შეფასებითი კატეგორია „სწორი-არასწორი“, „მცდარი-ჭეშმარიტი“... სხვა სიტყვებით, ამ ტიპის დაპირისპირებაში, პრინციპში უსარგებლოა ხსენებული დიხოტომიებით ოპერირება. აქ მთავარი/საბოლოო მიზანია მეორე მხარეზე დომინირების მიღწევა, ხოლო მოგება უკვე თავისთავად ნიშნავს „სისწორეს“ და „ჭეშმარიტებას“. მოქმედებს პრინციპი - „მართალია ის, ვინც მოიგებს“. მაგალითისთვის, ლიოტარის მიხედვით „სოციალური კავშირები შედგებიან ენობრივი „სვლებისგან“. - პოლიტიკოსების მიერ გამოთქმული ნებისმიერი მტკიცება თუ კონტრარგუმენტი არის ერთგვარი „სვლა“ (А. Грицанов, 2020)

როდესაც ვსაუბრობთ, ჩვენ ვიცავთ გარკვეულ ძირითად წესებს, რასაც ფილოსოფოსები უწოდებენ "ენობრივ თამაშებს". თითოეულ თამაშს აქვს საკუთარი წესები - მაგრამ პრობლემები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არ არის ნათელი, თუ რომელ თამაშს თამაშობენ.

ამ თამაშში ნომერ პირველი წესი არის (უნდა იყოს) სიმართლის თქმა. თუკი აღნიშნულ წესს დავარღვევთ, მაშინ ჩვენ სამართლიანად დაგვადანაშაულებენ ტყუილში, ან როგორც მინიმუმ, შეცდომაში შეყვანაში. სიმართლის თქმის წესის გარეშე ჩვენი ცხოვრების ბევრი სფერო - ყველგან, რაშიც უპირველესია მტკიცებულება, ფაქტები და რეალობის გაზიარებული აღქმა - შესაძლებელია გამრუდდეს.

თუმცა, აგრეთვე არსებობენ ისეთი ენობრივი თამაშები, რომლებიც არ ეფუძნებიან სიმართლის თქმის პრინციპს. განსხვავებულ ენობრივ თამაშთა წესების

ერთმანეთში აღრევა წარმოადგენს „პოსტ-სიმართლის“ საჯარო დისკურსის კრიზისის გაღრმავების მთავარ ფაქტორს.

როგორ შეგვიძლია ვიცოდეთ, რომელ კონკრეტულ თამაშს თამაშობს მომეტყველე სუბიექტი და გავიგოთ, მართალია თუ არა ის, რასაც იგი ამბობს?

როდესაც ტყუილს ვიღებთ როგორც ჭეშმარიტებას, ეს ნიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში მივიღებთ არასწორ გადაწყვეტილებებს, რასაც მოჰყვება შესაბამისი შედეგები. თუ დავუშვებთ, რომ ტყუილებმა გამოიწვიოს ენასა და რეალობას შორის კავშირის ამგვარი გაწყვეტა, ჩვენ დავკარგავთ ყველაზე მნიშვნელოვან რამეს, რასაც გვაძლევს ენა: სინამდვილის გაგებისა და ცოდნის საერთო ჩარჩოს მეშვეობით სოციალური ცხოვრების მოწყობის უნარს. (N. Enfield, 2018)

ფაქტობრივი ჭეშმარიტება ენობრივ თამაშში - როგორია დისკურსისი მიმართება ობიექტურ რეალობასთან? ასახავს თუ არა იგი რეალობას სწორად?

პოლიტიკურ დისკურსში იკარგება რეალობის სწორად აღქმის უნარი, რადგან მასში ჩართულია ემოციები.

ტყუილი, როგორც ობიექტური მოცემულობის დამახინჯება - შეგნებული თუ გაუცნობიერებელი? ორივე შემთხვევაში რეალობა დამახინჯებულად აღიქმება.

ის მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ენას, შესაძლოა განვითარდნენ ჩვენი პრიმატი წინაპრების სოციალური უნარებიდან და ცოდნიდან. - ცოდნა (მათ შორის სოციალური უნარები) წინ უსწრებს ენას, იგი არსებითად პრე-ლინგვისტური მოცემულობაა. გამოდის, რომ ცნობიერება წინ უსწრებს ენას.

მიჩნეულია, რომ მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ენას, არ წარმოქმნილან ერთბაშად, არამედ დაეფუძნენ უკვე არსებულ კოგნიტურ უნარებს. მაგალითისთვის, ნეიმეიერი[1], პინკერი და ბლუმი [2] ვარაუდობენ, რომ თავისი წარმოქმნის პროცესში „გრამატიკამ გამოიყენა კონცეპტუალიზაციის უკვე არსებული მექანიზმები“ (R. Seyfarth, Dorothy L. Cheney and Thore J. Bergman, 2005).

ენის მეშვეობით რეალობის აღქმის რელატივისტურობა

ლინგვისტური რელატივიზმი - არ არსებობს ჭეშმარიტება ლინგვისტური ფორმულირების მიღმა.

… მხოლოდ ენობრივ თამაშში ჩართულებს შეუძლიათ მნიშვნელობის ფლობა. ეს ნიშნავს, რომ მნიშვნელობები ენობრივ თამაშებში ფუნქციონირებენ დახურულ სისტემებში, რის საფუძველზეც მნიშვნელობა განისაზღვრება მოთამაშეებს შორის კონსენსუსის შედეგად და არა იმავე ენობრივი თამაშის გარეთ არსებულ ამა თუ იმ მოცემულობასთან შესაბამისობით.

თუკი მნიშვნელობა/საზრისის წარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივი თამაშების შიგნით (და ენის გამოყენების მეშვეობით), მაშინ ერთი კონკრეტული ენა უნდა იქნას შედარებული სხვა ენებს და არასოდეს სხვა რამეს. (Michael K. Mauws and Nelson Phillips, 1995).

ამდენად, ენობრივი თამაში წარმოადგენს რეფერენციის დახურულ სისტემას. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც საზრისი წარმოქმნილ და მოცემულია ენობრივ თამაშებში, სახეზეა მრავალი ცვლადი. პირველ შემთხვევაში, როდესაც მოცემულია ენობრივ თამაშში ჩართული მოთამაშეების მხრიდან გაზიარებული საზრისი, იგი საჭიროებს განსაზღვრულ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც იწარმოება ის კონკრეტული თამაში. გარდა ამისა, თუკი ენობრივ თამაშში ჩართულები იზიარებენ საერთო მნიშვნელობებს, სად წყდება კონტექსტის მათეული გამოცდილებები და სად იწყება დახურული ენობრივი თამაშები (კონტექსტისგან დამოუკიდებლად ნათამაშები?) - კონტექსტის გავლენა ენობრივ თამაშზე.

1.6. ენობრივი თამაშების სტრუქტურა

როდესაც ენობრივ თამაშებში გამოხატული ერთი და იგივე ფენომენის განსხვავებული ინტერპრეტაციები წარმოიშობა, ასევე წარმოიშობა რომელიმე კონკრეტული ცოდნის ჭეშმარიტების მტკიცების შესაძლებლობის პრობლემაც.

თუ ეს არგუმენტი სწორია, მაშინ სიმართლე და მცდარობა, და მათთან ერთად თავად სინამდვილე დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვფიქრობთ, ჩვენს თვალსაზრისზე. თუ ეს ასეა, გამოდის რომ რეალიზმი არასწორია და ჩვენ უნდა მივიღოთ ანტირეალიზმი. (Kirk 1999:99.)

აქ მეცნიერული დისკურსის საკითხი პრობლემურია იმ გაგებით, თუ რისი ცოდნაა შესაძლებელი, მიუხედავად კულტურული კონტექსტებისა. მეცნიერული გაზომვადობის სიზუსტე რელევანტურია მხოლოდ კონკრეტული სამეცნიერო წრის

მიერ იმავე გაზომვადობის პრინციპების გათავისება-მიღების მხრივ, მათ მიერ ნაწარმოები კონკრეტული ენობრივი თამაშის ფარგლებში (Kirk, 1999:101). ეს ნიშნავს, რომ ნაწარმოები ენობრივი თამაში ითამაშება ფართო კულტურულ კონტექსტში, რომლის ფარგლებშიც მეცნიერება გადაიქცევა გარკვეულ კულტურულ პრაქტიკად, რომლის მიერაც ხორციელდება ესა თუ ის კონკრეტული ენობრივი თამაში.

თუკი მეცნიერული დისკურსი უნდა გავიგოთ, როგორც ერთგვარი ენობრივი თამაში, გამოდის რომ, მეცნიერულ ძალისხმევაზე კულტურული ლიმიტაციების ზეგავლენა აგრეთვე განაპირობებს იმასაც, რომ ის, რაც წარმოჩნდება როგორც რეალობა, რეალურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მიიჩნევა ასეთად კონკრეტული ჯგუფის ურთიერთშეთანხმებით (Kirk, 1999:101).

შესაბამისად, თუკი მეცნიერება სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ენობრივი თამაში, ჩვენ ვეფლობით რელატივიზმის ჭაობში. გამოდის რომ, ჩვენ ვერაფერი გვეცოდინება რეალობის შესახებ, რადგან ყველა მნიშვნელობა-საზრისი კონსტრუირდება კონკრეტულ ენობრივ თამაშში ჩართულთა მიერ.

ენობრივი თამაშები არ არსებობენ ან ფუნქციონირებენ განსაზღვრული მიზეზის, კონტექსტისა და კომპონენტების გარეშე. იმისათვის, რომ ენობრივმა თამაშმა იფუნქციონიროს, აუცილებელია მისი მოთამაშეთა არსებობა. ამასთანავე, საჭიროა მათ მიერ გარკვეული კონტექსტის დაფუძნებაც (Kirk, 1999:102). ენობრივი თამაში საფუძველშივე გულისხმობს იმ რეალობის არსებობას, რომელიც აღემატება თავად თამაშის აქტს, რომელშიც მოთამაშენი წარმოადგენენ მხოლოდ მის კომპონენტს (Kirk, 1999:102). აღნიშნული კონტექსტი მოიცავს წარმოებული თამაშის ლიმიტაციებს, მოთამაშეთა შორის გაზიარებულ მნიშვნელობათა ერთობლიობას და იმ საზრისებს, რომლებსაც შეესაბამებიან აღნიშნული მნიშვნელობები.

ის ფაქტი, რომ ენობრივი თამაშის განხორციელება შესაძლებელი ხდება, გულისხმობს, რომ ის რეალობა, რომელსაც იგი მოიაზრებს, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ენობრივი თამაშები. არსებობენ მოთამაშენი, კონტექსტები და საზრისები, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია ენობრივ თამაშში ჩართულებისთვის. მეტიც, განსხვავებული ენობრივი თამაშების არსებობა გულისხმობს მრავალშრიან და არა ენობრივი თამაშის ფარგლებში დადგენილი კონსენსუსით ლიმიტირებულ

რეალობას. ენობრივი თამაშები გულისმხობს იმ მრავალფეროვანი რეალობის არსებობას, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენენ და არა პირიქით.

კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც იწარმოება ენობრივი თამაშები (რეალობა, რომელსაც ისინი აღწერენ), შეიძლება სწორად იქნას აღქმული სიმბოლოების გარეშე. მთლიანობაში ენას ვერ დავიყვანთ სიმბოლურ კონგიტურ რეპრეზენტაციათა სისტემამდე, თუმცა, რასაკვირველია ენა იყენებს მათ (სიმბოლოებს) სიტყვების სახით, რომლებიც აღნიშნავენ სინამდვილის განზომილებებს, რაც თავისთავად მეტია, ვიდრე თავად სიმბოლოები. პირობითი ენობრივი თამაში კი, რომლისთვისაც მნიშვნელობა-საზრისების გენერირება მხოლოდ მოთამაშეებით შემოისაზღვრება და მათ მიეწერება, ენას მიიჩნევს დახურულ სისტემად, რაც არის პრობლემატური საკითხი, შესაბამისად.

ადამიანური გამოცდილება, როგორც ენობრივი თამაშების მონაწილისა, სადაც მნიშვნელობები ნაწილობრივ კონსტრუირდებიან, მაინც თამაშის გარეთაა მიმართული (C.D. Scott, 2011).

„ენობრივი თამაში“ არის წესების ერთობლიობა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვილაპარაკოთ, ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ სხვადასხვა სიტუაციებში“ (Koppl and Langlois, 1994, p. 82).

ენობრივი თამაშების ჩარჩო არ შეესაბამება სინამდვილეს; იგი არის სასარგებლო. მის სარგებლიანობას მნიშვნელოვანწილად შეადგენს ობიექტური და სუბიექტური მნიშვნელობების ერთ თანმიმდევრულ ჩარჩოს ფარგლებში გაერთიანება (R. Koppl, 2002).

“ლინგვისტური შემობრუნების“ მთავარი წინამძღვარი - ენის მეშვეობით სოციალური რეალობის განშუალებულობა, გაზიარებულია კულტურის ანალიზის სხვა მნიშვნელოვანი მიდგომით, ყოველდღიუპრორი რეალობის ფენომენოლოგიური ანალიზით. ფენომენოლოგიაც უსვამს ხაზს მნიშვნელობის როლს სოციალური რეალობისა და ურთიერთობების კონსტრუირებაში. მაშინ, როდესაც ფილოსოფიური ფენომენოლგია მიიჩნევს, რომ გარეშე რეალობას ქმნის ადამიანური ცნობიერება და შესაბამისად, იგი პრე-ლინგვისტურია ადამიანური ქცევის გაგების მხრივ, სოციოლოგიური ფენომენოლოგია მიიჩნევს, რომ ადამიანური ინტერაქცია ახდენს

რეალობის კონსტრუირებას, როგორც ყველა სოციალური აქტორის საერთო მახასიათებელი.

ლინგვისტური პერფორმატივობის ცნება ემყარება იმ ძირითად მოსაზრებას, რომ ენას გააჩნია არა მხოლოდ რეალობის რეპრეზენტაციის, არამედ რეალბაზე მოქმედების უნარი, რასაც კონკრეტული ზეგავლენა აქვს ინდივიდებზე. ენა აქ ასრულებს კულტურული იდენტობის ფუნქციას - მაგალითად, გენდერული ან ეთნიკური იდენტობებისა - სპეციფიკურ ინტერაქციებში სამეტყველო აქტების გამოყენებითა და გამოთქმათა რეგულირების მეშვეობით.

პოსტ-სტრუქტურალისტური პერსპექტივიდან მთავარი კრიტიკა ფენომენოლოგიური ანალიზისა შემდეგში მდგომარეობს: მას (ფენომენოლოგიურ ანალიზს) სოციალური რეალობა დაჰყავს მისივე მოთამაშეთა ენობრივ რეპრეზენტაციებამდე; ბოდრიარის მოსაზრებით ფენომენოლოგიური სწავლება არის "სუბიექტივისტური ხედვის ნათელი გამოვლინება". სოციალური ინტერაქციის სუბიექტურ განზომილებაზე ხაზგასმით ფენომენოლოგია უგულვებელყოფს სოციალური რეალობის ისტორიულ და სტრუქტურულ ასპექტებს, რომლებიც შეიძლება ზემოქმედებდნენ სოციალურ აქტორებზე, მაგრამ იგივე აქტორები შეიძლება პირდაპირ ვერ აღიქვამდნენ მას (ზემოქმედებას).

ეს იმიტომ, რომ ფენომენოლოგიას გააჩნია ერთგვარი "ინდივიდუალისტური" გაგება მნიშვნელობისა, რომელიც განსაზღვრავს ენას, როგორც რესურსს, რომელსაც ინდივიდი ფლობს და იყენებს მას საკუთარი სურვილის/შეხედულებების მიხედვით. განსხვავებით იმ მოსაზრებისაგან, რომ ენა წარმოადგენს ისტორიულ რესურსს რომელიც ადგილს უჩენს სოციალურ აქტორებს ძალაუფლების ამა თუ იმ სოციალურ კონტექსტში, ფენომენოლოგიის მიხედვით ენა არის ისეთი რამ, რომელსაც ენობრივი კომუნიკაციის მონაწილეები იყენებენ საკუთარი მიზნებისა და (ზე)გავლენისთვის - თუმცა ყოველთვის ერთობლივად და ყოველთვის ურთიერთქმედებაში. შესაბამისად, სოციალური რეალობა არ წარმოადგენს სტრუქტურულად წინამორბედს/პირველადს ინდივიდთან მიმართებაში, არამედ იგი გამუდმებით კვლავ-წარმოიქმნება ენობრივ კომუნიკაციაში მონაწილის კონკრეტული თვალთახედვიდან. ფენომენოლოგიაში სოციუმი აგებულია უფრო ეგოცენტრულად, ვიდრე სოციალურად (ჰაბერმასი).

“ლინგვისტური შემობრუნების“ მსგავსად ჰერმენევტიკაც ამტკიცებს, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა “სოციალური“ მანამ, სანამ ამავე ცნებას არ გამოვხატავთ ჩვენსავე ენაში.

აქ სოციალური, პოლიტიკური და თვით ეკონომიკური რეალობები აღიქმება, როგორც ენით გაშუალებული ადამიანური გამოცდილებების შემადგენელნი.

თუკი გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ არსებითად ენა ნაგულისხმებია ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, მაშინ ვერ მივიჩნევთ მას როგორც უბრალო საშუალებას “ყველაფერ“ იმის გამოსახატად, “რაც არის“, რადგანაც ყველაფერი, რაც არის, შეიძლება არ/ვერ იქნას ასახული. ამასთანავე ენა არის ძალაუფლების განხორციელების საშუალებაც და იგი თავისთავად წარმოადგენს დაპირისპირებულ მსოფლმხედველობათა ურთიერთშეხების ასპარეზს.

აღნიშნული მიდგომა, მაგალითად, განიხილავს თავად მეცნიერებას, როგორც ენობრივი თამაშის სახეობას, რომელიც თავადვე ქმნის თავისი შესწავლის ობიექტებს სპეციფიკური ლინგვისტური პრაქტიების მეშვეობით. ამგვარად სოციალური კონსტრუქციონიზმი არა მარტო კრიტიკულად უდგება რაციონალურობის ფორმებს, რისი მეშვეობითაც იწარმოება მეცნიერული ცოდნა, არამედ, მას ამავე დროს გადააქვს სოციალური კვლევის ფოკუსი ადამიანის ქცევის შესწავლაზე, როგორც არსებითად ლინგვისტური აქტიობისა.

მათი ძირითადი არგუმენტია ის, რომ ლინგვისტური განსხვავება ამავე დროს არის განსხვავება სოციალურ ჯგუფებსა და კულტურებს შორის და რომ ამ სახის განსხვავება კონსოლიდირებულია ბრძოლის ისტორიულ პროცესში და იგი არ არის უბრალოდ ტრადიციის ის შემადგენელი, რომლის გადალახვაც დიალოგის მეშვეობითაა შესაძლებელი.

პოსტ-სტრუქტურალიზმისთვის არ არსებობს მნიშვნელობა ძალაუფლებრივი პოზიციის გარეშე, რომელიც განაცხადებს იმავე მნიშვნელობას.

ნეო-მარქსისტებისა და ფრანკფურტის სკოლის მიხედვით კი ენა და ძალაუფლება ორგანიზებულია ბატონობის ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების გარშემო და შესაბამისად, ცვლილებებს ამ სტრუქტურებში მოყვება ძალაუფლებრივი ურთიერთობებისაგან თავისუფალი კომუნიკაცია. გრამსჩის

ტერმინი “ჰეგემონია“ ხაზს უსვამს ენას, როგორც “საერთო აზრის“ კონსტრუირების ინსტრუმენტს.

"...ადამიანთა შორის შეთანხმება წყვეტს იმას, თუ რა არის მცდარი და რა მართალი“ (Wittgenstein, Philosophical Investigations, para. 241) - ეს არის ის, რასაც ადამიანები ამტკიცებენ - რა არის ტყუილი და რა მართალი და ისინი ამაზე თანხმდებიან იმ *ენაში,* რომელსაც ისინი იყენებენ. ეს არ არის თანხმობა მოსაზრებებში, არამედ ეს არის თანხმობა ცხოვრების ფორმაში.

მაგრამ, რამდენი სახის წინადადება არსებობს, ზოგადად? მაგალითად, მტკიცება, კითხვა თუ ბრძანება? - არსებობს მათი უთვალავი რაოდენობა: უთვალავი განსხვავებული ფორმის გამოყენება იმისა, რასაც ჩვენ ვეძახით „სიმბოლოებს“, „სიტყვებს“, „წინადადებებს“ და ეს სიმრავლე არ არის რაღაც ფიქსირებული, მოცემული ერთხელ და სამუდამოდ და ყველასათვის, არამედ იქმნებიან ენის ახალი ტიპები, ახალი ენობრივი თამაშები, თუ შეიძლება ასე ვთქვათ და სხვები კი მივიწყებას ეძლევა და უქმნდებიან (Wittgenstein, Philosophical Investigations, para. 241). აქ ტერმინი „ენობრივი თამაში“ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მეტყველება არის გარკვეული აქტივობის ნაწილი ან ცხოვრების/არსებობის ფორმა.

არსებითად, ცხოვრების ფორმები წარმოადგენს ცოდნის ინსტრუმენტებს, რომლებიც მოიცავს ესთეტიკურ, რელიგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებს.

ა. ადლერის „ცხოვრების სტილის“ ცნება, სხვაგვარად ცნობილი როგორც „წამყვანი ფიქცია“. ადლერის მიხედვით ინდივიდის ცხოვრების სტილი არის ფიქცია, თუმცა ეს ფიქცია აუცილებელია არსებობისთვის. როგორც წესი, ფიქციები გაუცნობიერებელია ინდივიდების მიერ, რაც გულისხმობს, რომ ისინი შეიძლება ასეთად დარჩნენ მთელი ცხოვრების მანძილზე (ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწილი 2. თბილისი, 1971, გვ. 79).

ოსვალდ შპენგლერი) აღნიშნავს, რომ ინდივიდი აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების ფორმას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას დაუპირისპირდება ცხოვრების სხვა ფორმა, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსხვავდება საკუთარისგან. (Jesús Padilla Gálvez and Margit Gaffal, 2011).

სამეტყველო აქტები შედარებულია ცხოვრების ფორმებთან. სხვადასხვა ენობრივი დონეები შეესაბამება ცხოვრების განსხვავებულ და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმებს.

ცხოვრების ფორმები, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულია სამეტყველო აქტებით. როგორც ასეთი, ადამიანი ინფორმაციას გადმოსცემს დისკურსის მეშვეობით.

სიცოცხლის ფორმები (და შესაბამისად - ენობრივი თამაშები) კონფლიქტური ხასიათისაა? (ნიშნავს - ისინი ერთმანეთს დომინაციისთვის ებრძვიან).

ვიტგენშტაინი აქ ადგენს მნიშვნელოვან კავშირს ენის გამოყენების აქტივობას, ცხოვრების ფორმასა და ენობრივ თამაშებს შორის. "თამაშსა" და "მეტყველება-ენას" შორის ურთიერთმიმართება მიუთითებს ენობრივი თამაშებისა და ენის აქტიურ ბუნებაზე. როდესაც ჩვენ ვმეტყველებთ, ჩვენ ვააქტიურებთ, ვაცოცხლებთ მას (ენას). მეტყველებისას ენა გარდაიქცევა აქტივობად. მეტყველების ეს აქტივობა ხორცს ასხამს ცხოვრების ფორმას ჩვენივე ლინგვისტური ქცევის მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, უფრო სწორი იქნება იმის მტკიცება, რომ "ენობრივი თამაშები არიან ცხოვრების ფორმის ნაწილები". ენობრივი თამაშები წარმოადგენენ ცხოვრების ფორმის შემადგენელ ელემენტებს და ქმნიან ჩვენი ცხოვრების ფორმის ტოტალობას. ენობრივი თამაშების აქტიური ბუნება გაგებულ უნდა იქნას ნებისმიერი შესაძლებელი კომბინაციის ფარგლებში, რაც ქმნის ცხოვრების ფორმის ტოტალობას/სინამდვილეს.

ცხოვრების ფორმა კი, თავის მხრივ არის ცნება, რომელიც აუცილებლად უკავშირდება კულტურის, მსოფლაღქმისა და ენის ცნებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ამა თუ იმ ენობრივი თამაშის ფუნქციონირების ფორმა მხოლოდ გარედან, როგორც აღქმის მეთოდი-საშუალება, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ კულტურული (კონტექსტის) და რომელიც არ ეფუძნება უნივერსალურ რაციონალურობას. თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ენობრივი თამაშის ანალოგია უნდა იქნას დაყვანილი კულტურულ რელატივიზმამდე.

იმ ვარაუდით, რომ ჩვენ ვფლობთ ამა თუ იმ კონკრეტულ ენას, ჩვენ მაინც ვერ გავუგებდით იმ ენაზე მოსაუბრე ადამიანებს, რადგან არ გვეცოდინებოდა იმ სიტყვათა მნიშვნელობა, რომლებსაც ისინი წარმოსთქვამენ და შესაბამისად, არ გვეცოდინებოდა რა სახის ცხოვრების ფორმა, რა ტიპის ენობრივი თამაშები და რა წესები ახდენენ მათი მეტყველების სტრუქტურის ფორმირებას კომუნიკაციისას.

თუმცა, ენებსა და ენობრივ თამაშებს არა მხოლოდ სამეტყველო/წერითი ფორმა გააჩნია, რაც მჭიდროდაა შერწყმული ცხოვრების ფორმასთან. ამ სამ ცნებას შორის კავშირი შეიძლება დანახულ იქნას აგრეთვე არა-ლინგვისტურ ფორმაშიც. ქცევის ტიპი, როგორც ენობრივი თამაშის ერთერთი სახეობა და აგრეთვე როგორც აქტივობის ტიპი, თავისთავად წარმოადგენს ცხოვრების სპეციფიკური ფორმის დასტურს.

ვიტგენშტაინის მტკიცებით, თუკი ჩვენ შევძელით ამა თუ იმ ცხოვრების ფორმის გაგება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მანამდე გვქონდა იმ ენობრივი თამაშების, ქცევის ტიპებისა და პრაქტიკების გაგების შესაძლებლობა, რომლებიც მისი ნაწილია და ყოველდღიურ გამოყენებაშია. რამდენადაც ენობრივი თამაშები შერწყმულია ცხოვრების ფორმასთან, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ თუკი გავიგეთ კონკრეტული ცხოვრების ფორმა, ჩვენ იქამდე უკვე გვქონდა გაგებული ის, თუ როგორ უნდა გვეთამაშა (ენობრივი) თამაში და მისი წესები.

"... ენობრივი თამაშის წარმოდგენა ნიშნავს ცხოვრების ფორმის წარმოდგენას". ამ გაგებით ენა არა მხოლოდ ინტელექტუალური აღქმის ობიექტია - როგორც ცხოვრების ფორმა ის არის ბუნებრივი აქტივობა, როგორც, ვთქვათ, სმა ან სიარული და შესაბამისად, როგორც პროცესი, იგი არ არის სტატიკური მოცემულობა.

შეიძლება თუ არა ითქვას, რომ არსებობს იმდენი შესაძლო ცხოვრების ფორმა, რამდენიც ენობრივი თამაში? (C. Beristain, 2009)

ვიტგენშტაინის მიხედვით მნიშვნელობები არ უნდა იქნას მიწერილი უშუალოდ სიტყვებს, არამედ გამოყენების იმ განსხვავებულ ფორმებს, რომლებშიც ისინი მოიაზრება.

ვიტგენშტაინის მიხედვით ენა და არსებობა განუყოფელ ერთიანობას ქმნიან. არსებობა წარმოქმნის ენის საფუძველს. ენა ასახავს ცხოვრების ყველა ასპექტს - მენტალურს, მორალურ-ეთიკურსა და რელიგიურს.

მისი მიხედვით ენა არის ენობრივი თამაშების სისტემა და ენაში განხორციელებული აქტივობების სისტემა. იგი მოიცავს ყველაფერს, დაწყებული ყველაზე პრიმიტიული ენით და ყველაზე კომპლექსურის ჩათვლით. იგი არ არის სიმბოლოთა მხოლოდ ერთი სისტემა, არამედ აღიქმება როგორც შემდგარი მრავალი ენობრივი თამაშისაგან. იგი არის ლინგვისტური აქტივობების მთელი ქსელი, ე.ი., ლინგვისტური პრაქტიკებისა, რომლებსაც ადამიანები ახორციელებენ ერთმანეთთან კომუნიკაციისას. შესაბამისად, თითოეული ენობრივი თამაში არის ერთგვარი აქტივობა, ცხოვრების კონკრეტული ფორმა.

ამდენად, თითოეული ენობრივი თამაში არის აქტივობა, ცხოვრების კონკრეტული ფორმა. ამა თუ იმ ენაზე საუბარი წარმოადგენს კონკრეტული აქტივობის ნაწილს ან/და ცხოვრების ფორმას. ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ ფორმაზე საუბარი იმავდროულად ნიშნავს კონკრეტულ ლინგვისტურ აქტივობაზე საუბარს. თითოეული ენობრივი თამაში არის ერთგვარი აქტივობა, "ცხოვრების ფორმა" რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანების ცხოვრებასთან, როგორც ენობრივი არსებებისა. ასე რომ, ენა აქ არ განიხილება ვიწრო ლოგიკური თვალსაზრისით, არამედ როგორც ადამიანის ყოფიერებასთან მჭიდროდ შერწყმული ფენომენი. ყოველი ენობრივი თამაში არის ცხოვრების კონკრეტული ფორმისა და ადამიანური აქტივობის გამოხატულება.

ენობრივი თამაშები, როგორც ისინი აღიწერება ზემოთ, შედგება გარკვეული აქტივობებისაგან, ანუ განზრახვა, იმედის ქონა, სიმულირება, დაჯერება-რწმენა და ა.შ., რაც თავის მხრივ მოიცავს ორივეს - ენის გამოყენებასა და გონებრივ აქტივობას (აზროვნებას, ფიქრს). ესე იგი, ენობრივი თამაშები შედგება როგორც ლონგვისტური, ასევე არა-ლინგვისტური აქტივობებისაგან. ეს ნიშნავს, რომ ენობრივი თამაშები წარმოადგენენ აზრების ან/და გრძნობების გამოხატულებებს და ასევე სიტყვების გამოყენებას სწორ კონტექსტში. სხვა სიტყვებით, ენობრივი თამაშები გვაჩვენებენ, თუ როგორ ფუნქციონირებენ სიტყვები კონტექსტებში და როგორ გამოხატავენ ისინი მოსაუბრის აზრებსა და გრძნობებს.

ენობრივი თამაშები და ცხოვრების ფორმები არიან ერთი და იგივე რეალობის სხვადასხვა სახეები. (C. Beristain, 2009)

სვლები ენობრივ თამაშებში (მოცემულ ენაში შესრულებული კონკრეტული ქმედებები).

მაგალითისთვის, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლებრივი აქტების ინტერპრეტაცია, უმარტივესი გაგებით წარმოადგენს ენობრივ თამაშს - მნიშვნელობათა მინიჭების წესებით წარმართულ ქმედებას. კონკრეტული კანონის კონკრეტული ინტერპრეტაცია, რომელიც შედგება არგუმენტთა განსაზღვრული ერთობლიობისგან, იქნება მსვლელობათა სერიები სამართლებრივი აქტების ინტერპრეტირების ენობრივ თამაშში. მათი ინტერპრეტირება, როგორც კანონებისა ვარაუდობს უფლებების, მოვალეობების, შესაძლებლობების, პასუხისმგებლობების, ქმედების და სხვა ცნებებს, რაც ქმნის ამ კონკრეტული ენობრივი თამაშის გრამატიკას.

"წესის" ვიტგენშტაინისეული ცნება, მაგალითად, გულისხმობს, რომ წესები არსებითად კონცეპტუალურია თავისი ბუნებით და რომ ისინი არ არიან (და ვერც იქნებიან) წინასწარი შეთანხმების ან განხილვის საგანი. მათზე არ არსებობს შეთანხმება იმ გაგებით, რომ არავის შეუძლია უარყოს ენობრივი თამაშის წესები: ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელი იქნებოდა იმ კონკრეტულ ენობრივ თამაშში მონაწილეობა; აქ საქმე არ ეხება არჩევანს და არც წესები განიხილება წინასწარ.

მოთხრობის, პოემისა თუ სამეცნიერო სტატიის წერა - ეს ენობრივი თამაშის ერთგვარი სახეებია, ისევე როგორც ენობრივი თამაშია მოთხრობის, პოემისა თუ სამეცნიერო სტატიის წაკითხვაც.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ენობრივ თამაშებს გააჩნია მკაფიოდ ფორმულირებული წესები, რომელთა დასწავლა შესაძლებელია თამაშში უშუალოდ ჩართვამდე, როგორც წესი ასე არ ხდება ენობრივი თამაშების უმეტეს შემთხვევაში. უმეტესწილად, ჩვენ პროცესის პარალელურად ვეცნობით კონკრეტულ ენობრივ თამაშებში შესრულებულ ქმედებებს: სწორედ ამ ტიპის ქმედებებს უწოდებს ვიტგენშტაინი "სვლებს". (N. Xanthos, 2020)

თავის ადრეულ პოზიტივისტურ ნაშრომში ვიტგენშტაინი წინადადებებს განიხილავდა, როგორც რეალობის ხატებს. მოგვიანებით კი იგი იმ მოსაზრებამდე მივიდა, რომ სინამდვილეში ენა არის თამაშების სერია, რომელთაგანაც თითოეულს საკუთარი წესები გააჩნია.

მისი აზრით ფილოსოფიური პრობლემები მომდინარეობენ არა ობიექტური რეალობიდან, არამედ თავად ენიდან. ჩვენი ცნებები განსაზღვრავენ ჩვენს გამოცდილებას, რომელსაც აღვიქვამთ მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების მეშვეობით.

ლიოტარმა აღნიშნული აზრი კიდევ უფრო გააფართოვა და აღნიშნა, რომ ნებისმიერი სახის გამოთქმაც კი შეიძლება განსაზღვრულ იქნას თავისი წესების მეშვეობით.

წესებს არ გააჩნიათ საკუთარი ლეგიტიმიზაცია. ისინი არიან მოთამაშეთა შორის შეთანხმების საგანი (რომლებიც შეიძლება იყოს ან არ იყოს ნათლად განსაზღვრული).

ერთერთი გზა, რომლის მიხედვითაც ვიტგენშტაინის ენობრივი თამაშები ოპერირებს არის, მაგალითად, როდესაც მეცნიერები ცდილობენ მოიპოვონ აღიარება იმ თეორიების მეშვეობით, რომლებსაც ან მხარს უჭერენ, ან თავად შეიმუშავებენ.

შესაბამისად, თამაშები მოქმედებენ სამენიერო წრეებში, სადაც წესები გულისხმობს იმას, რომ მეცნიერს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების დაცვა, არამედ იმის ჩვენებაც, რომ საპირისპირო იდეები ყალბია.

ამის არცთუ ისე სასურველი პერსპექტივაა ის დებულება, რომ მეცნიერება არა იმდენად მეცნიერულ-ობიექტური ფენომენია, რამდენადაც უფრო ლინგვისტურად და სოციალურად განპირობებული რამ.

დერიდა: დისკურსი არის ნებისმიერი სამეტყველო სიტუაციის შესაძლებლობის მდგომარეობა, რადგანაც იგი არის ღია კვაზი სტრუქტურა, რომელიც იძლევა ყველა ენობრივი ნიშნის უსასრულო კომბინაციებში მობილურობის შესაძლებლობას. შესაბამისად, იგი ყოველთვის დაუსრულებელია, რადგანაც ნიშნები გამუდმებით ცვლიან თავიანთ მიმართებებს სხვა ნიშნებთან ერთი კონტექსტიდან მეორეზე გადასვლის პროცესში.

დეკონსტრუქცია არის ანალიტიკური პროცესი რომელიც მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, რომ ნებისმიერი აზრობრივი სისტემა წარმოიშობა დისკურსში და შესაბამისად, ისინი წარმოადგენენ არამყარ კონსტრუქციებს და არა აბსოლუტურ ჭეშმარიტებებს. მთავარი დეკონსტრუქციული პრაქტიკა მდგომარეობს ტექსტთა

დისკურსიული ელემენტების ანალიზში იმ მიზნით, რომ ვაჩვენოთ თუ როგორ ხდება ტექსტებში ერთი კონკრეტული მნიშვნელობისათვის უპირატესობის მინიჭება სხვა მნიშვნელობათა ხარჯზე, რითიც ხდება მნიშვნელობათა სპეციფიურ რეჟიმთა კონსტრუირება (L. Chouliaraki, 2008).

თავი 2. სოციალურად კონსტრუირებული ლინგვისტური კატეგორიები და ენობრივი თამაშები

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ სოციალურად კონსტრუირებული ცნებები - შესაბამისი ფრეიმებთან და დისკურსებთან კავშირში.

მაგალითისთვის, გენდერულად ნეიტრალური (პირის) ნაცვალსახელები შეიძლება მოაზრებულ იქნას, როგორც ხელოვნურად კონსტრუირებული ლინგვისტური კატეგორია და შესაბამისად - კონსტრუირებული სოციალური კატეგორია - ყოველივე ეს შესაძლებელია სპეციფიკური ლინგვისტური სტრატეგიის დანერგვა-განხორციელების მეშვეობით - განსაზღვრული ნარატივის/დისკურსის აქტუალიზება - შესაბამისი ენობრივი თამაშების მეშვეობით.

იდენტობის (ბიოლოგიური ფენომენი) აქტუალიზება ქა ხდება შესაბამისი ფრეიმების მეშვეობით, ხოლო ეს ყველაფერი გამოხატული ლინგვისტურად (შესაბამისი ენობრივი თამაშის მეშვეობით). აქვე უნდა დაისვას შემდეგი სახის კითხვა: აისახება/გადმოიცემა თუ არა ობიექტურად (ბიოლოგიური) იდენტობა ენის მეშვეობით (ლინგვისტურად)? თუკი ლინგვისტური განზომილება წარმოადგენს ბიოლოგიური მოცემულობის ზედნაშენ პროდუქტს, მაშინ რა უნდა იქნას მოაზრებული ხელოვნურად შექმნილ კატეგორიებად? როგორ იწარმოებიან ხელოვნურად შექმნილი სოციალური კატეგორიები (ენის მეშვეობით)?

მაგალითად, არის თუ არა გენდერულად ნეიტრალური პირის ნაცვალსახელები ხელოვნურად (სოციალურად) კონსტრუირებული ლინგვვისტური კატეგორია? არსებობენ ენები, რომლებში გამოიყოფა სქესი, როგორც ცალკე გრამატიკული კატეგორია მაშინ, როდესაც სხვა ენებში სქესი, როგორც გრამატიკული კატეგორია არ არსებობს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იმ ენებში, რომლებშიც ცალკე არ გამოიყოფა გრამატიკული სქესის კატეგორია, არ არსებობს ის ბიოლოგიური მოცემულობა, რომელსაც ისინი (ნეიტრალური გენდერული ნაცვალსახელები უნდა აღნიშნავდნენ?)

ბიოლოგიური მოცემულობა არსებობს იმისდა მიუხედავად, გამოიყენება თუ არა ამა თუ იმ ენაში - ჯერ გრამატიკული სქესის კატეგორია, შემდეგ კი ხელოვნურად შექმნილი ნეიტრალური გენდერული ნაცვალსახელები. გამოდის, რომ ბიოლოგიური მოცემულობა განსაზღვრავს მისსავე ლინგვისტურ გამოვლინებას. რამდენად სწორად

აისახება ბიოლოგიური მოცემულობა ენაში და მის მიერ, რამეთუ, სხვადასხვა ენაში განსხვავებულადაა გამოხატული (ბიოლოგიური) იდენტობა?

არის თუ არა სქესობრივი იდენტობის აღმნიშვნელი ხელოვნურად შექმნილი ნაცვალსახელები (როგორც ლინგვისტური კატეგორია) შესაბამისი ენობრივი თამაშის სახე?

ჩვენის აზრით, გენდერულად ნეიტრალური ნაცვალსახელები არის ნათელი მაგალითი სპეციფიკური ენობრივი თამაშისა, რომელიც აქტუალობას იძენს კონკრეტულ ენობრივ-კულტურულ სივრცეებში. მაგალითად, გენდერულად ნეიტრალური ნაცვალსახელების გამოყენება შეუძლებელია ქართულ ენობრივ სივრცეში, რადგან ქართულ ენაში არ არსებობს გრამატიკული სქესი შესაბამისი ნაცვალსახელებით (He-She), შესაბამისად, შეუძლებელია ქართულ ენობრივ სივრცეში ამგვარი (გენდერულად ნეიტრალური) ენობრივი თამაშით ოპერირება.

2.1. ენობრივი თამაშის ერთერთი ფორმა - გენდერულად ნეიტრალური ენა

მასში იგულისხმება ეგრედწოდებული „ფემინისტური ენობრივი რეფორმა“ და გენდერულად ნეიტრალური პირის ნაცვალსახელების გამოყენება დისკურსში. მაგალითისთვის, „ნაცვალსახელებით თამაში“ წარმოადგენს საუბარში ვინმეს სექსუალური ორიენტაციის შენიღბვის სტრატეგიას. ასეთ სტრატეგიას როგორც წესი მიმართავენ მაშინ, როდესაც საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებას პიროვნებაზე შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა (მაგალითად, სამსახურის დაკარგვა), ამ დროს კი ნაცვალსახელებით თამაში წარმოჩნდება, როგორც შენიღბვის აუცილებელი აქტი. ამ შემთხვევაში არ ხდება პიროვნების სქესის პირდაპირი მითითება და ცდილობენ არ გამოიყენონ მესამე პირის სქესის მიმანიშნებელი ნაცვალსახელები (she, he). თუმცა, ხშირ შემთხვევაში სქესის შენიღბვამ და ამგვარი სტრატეგიების გამოყენებამ შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს და ამის საწინააღმდეგოდ იგი (სქესი/ორიენტაცია) ცხადი გახადოს.

პოლიტიკური დისკურსი - იდენტობის ასახვა - შესაბამისი ფრეიმებით - ყველაფერი როგორც ენობრივი თამაში.

გენდერული იდენტობების კონსტრუირება შესაბამისი დისკურსების/ნარატივების ფარგლებში და მათი მეშვეობით.

დასავლეთში ერთერთი უმთავარესი სოციალურ/პოლიტიკური პრობლემა - გენდერული იდენტობების კონფლიქტი შესაბამისი ენობრივი თამაშების ინტერაქციით.

დაპირისპირება დისკურსებს შორის - იდენტობებს შორის - კონფლიქტი ენობრივ თამაშებს შორის.

ქალი პოლიტიკოსების მიერ „კაცური„ საუბრის სტილი - ჰილარი კლინტონი - შესაბამისი ლინგვისტური სტრატეგია (ენობრივი თამაში):

რაც შეეხება დისკურსიული სტრატეგიების ცნებას პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში, მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ ქალი პოლიტიკოსების მიერ საუბრის „მამაკაცური“ სტილის გათავისება - ეს ერთგვარი ლინგვისტური აქტი შეიძლება ჩაითვალოს სპეციფიკურ დისკურსიულ სტრატეგიად გარკვეული (პოლიტიკური) მიზნების მისაღწევად (J. Jones, 2015). აქ საქმე გვაქვს ერთგვარ ენობრივ თამაშთან, როდესაც ერთი სქესი იყენებს საპირისპირო სქესის მეტყველების ფორმას.

პოლიტიკური აზროვნებისთვის დამახასიათებელია ცნებების ხელოვნური გენერირება.

მაგ. გენდერი – ხელოვნურად შექმნილი კონცეპტი.

ჩვენ შეგვიძლია სახელები მივუსადაგოთ საგნებს მაგრამ აკრძალული გვაქვს საგნები მივუსადაგოთ უკვე არსებულ სახელებს. (ადამიანმა) იცის, რომ სახელის ფლობა საკმარისია, რათა ფლობდე საგანს, რადგანაც სახელის დაუფლება აკმაყოფილებს მას.

ენის პერფორმატიულობის ნიშან-თვისება შეიძლება განვიხილოთ ფორმალურ-სპეციალიზებული დისკურსების კონტექსტშიც. მაგალითისთვის, ავიღოთ გამოთქმა-მოქმედება და აღწერითი წინადადებები. ცნობილია, რომ ფაქტებს შესწევთ უნარი გააბათილონ, გააუქმონ იურისპუდენციაში ხმარებული ესა თუ ის გამოთქმა-მოქმედება. “ეს საათი ჩემია” შეიძლება იყოს როგორც აღწრითი, ისე გამოთქმა-მოქმედებითიც. უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: რა პირობებში გამოდგებიან

აღწერითი გამოთქმები გამოთქმა-მოქმედებების საფუძვლად? ამ მხრივ, აღწერითი გამოთქმები - ახდენენ ფაქტის კონსტატაციას. გამოთქმა მოქმედებების შემთხვევაში კი ლინგვისტური აქტის მეშვეობით ხდება საგნის ან მოვლენის დაუფლება და მათზე კონტროლის დამყარება. მოქმედებითი დისკურსი-რომლის დროსაც ფაქტებსა და საგნებზე მყარდება კონტროლი.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განისაზღვროს როგორც ენობრივი მანიპულაცია, რომლის მიზანია მოვლენებისათვის მნიშვნელობის მიწერის (მინიჭებით) მეშვეობით მათზე კონტროლის მოპოვება.

აქვე უნდა მოხდეს დომინანტ და მეორად (დაქვემდებარებულ) დისკურსებს შორის განსხვავების დადგენა. ამ მხრივ საგულისხმოა ის, რომ დომინანტ დისკურსს გააჩნია ენობრივი ქმედების (გამოთქმების) მოქმედებებად (გამოთქმა-მოქმედებებად) გადაქცევის შესაძლებლობა, მაშინ როდესაც ოპოზიციურ (არადომინანტ) დისკურსს ნაკლები შესაძლებლობა აქვს გამოთქმების მოქმედებებად გადაწცევისა და იფარგლება დომინანტი დისკურსის ოპონირებით.

თუკი არ არსებობს უთანხმოება ამა თუ იმ მოვლენის მნიშვნელობის თაობაზე, ესე იგი საკითხი არ არის პოლიტიკური თავისთავად. შესაბამისად; პოლიტიკური პრობლემა არის კონფლიქტი მოვლენების მნიშვნელობის შესახებ.

ვიტგენშტაინი ხაზს უსვამს იმას, რომ არ არსებობს ამგვარი ენობრივი თამაშების ლიმიტირებული რაოდენობა ენაში, ზოგადად. არსებობენ იმდენივე ენობრივი თამაშები, რამდენიც ადამიანური აქტივობების სახეები. შესაბამისად, არსებობს მრავალი სახეობა ენობრივი თამაშებისა.

2.2. ფრეიმი

ამა თუ იმ თამაშის ფრეიმი - კონგიტურ კატეგორიათა ერთობლიობა, რაც აუცილებლად ასოცირდება იმავე თამაშთან და განსაზღვრავენ მას სოციალურ კონტექსტთან მიმართებაში.

ფრეიმი არის მენტალური სტრუქტურა რომლის მეშვეობითაც აღვიქვამთ და მნიშვნელობას ვანიჭებთ ობიექტურ რეალობას. მათი მეშვეობით ხდება რეალობის კონსტრუირება. ფრეიმები ახდენენ იდეათა და ცნებათა სტრუქტურირებას, განსაზღვრავს აზროვნების სტილს. უმეტესწილად ფრეიმები ავტომატურად და გაუცნობიერებლად მოქმედებენ. (K. Severinson, 1983)

ასევე, ფრეიმი არის პროცესი, როდესაც კომუნიკაციის წყარო გასაზღვრავს და ახდენს (პოლიტიკური) საკითხების კონსტრუირებას (Nelson, Oxley, & Clawson, 1997).

მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების განსაზღვრა ნებისმიერი ტიპის პოლიტიკური დისკურსის ანალიზისას:

- ფრეიმული განსხვავებები დისკურსებს შორის
- როგორ ხორციელდება ფრეიმინგი პოლიტიკურ დისკურსებში?

მეტანარატივი:

მოცემული საფეხურიდან ზემოხსენებულ ცნებებს ვაკავშირებთ მეტანარატივის ცნებასთან. მეტანარატივი შეიძლება ამგვარად განიმარტოს - იგი არის დისკურსის სახეობა, რომელიც ახდენს ყველა დანარჩენი დისკურსების აღწერასა და შეფასებას და იძლევა პოლიტიკურ და ეთიკურ გადაწყვეტილებებს ერთხელ და სამუდამოდ, ყველასათვის (ტოტალიზაციისა და შეჯამების ფორმა).

აქედან კი უნდა დავაკავშიროთ მეტანარატივისა და ენობრივი თამაშების კონცეპტებიც. მეტანარატივების დომინაცია უნდა შეიცვალოს პოლიტიკური დისკურსის ისეთი გაგებით, სადაც იგი განიხილება როგორც ლოკალური ნარატივებისა და არათანაზომიერი ენობრივი თამაშების შეჯიბრება - შეჯიბრება, რომელიც მიმართულია არა საბოლოო გადაწყვეტილებებისადმი, არამედ ახალი და კრეატიული ფორმულერებებისადმი.

მეტანარატივებმა დაკარგეს ჰეგემონია. საჭიროა მცირე და ლოკალური პირველადი ნარატივების აქტუალიზება; პოლიტიკური ლეგიტიმაცია პოსტმოდერნულობაში ყოველთვის ხორციელდება ამ ტიპის განსხვავებული ჟანრის დისკურსებში და არასოდეს დგას მათზე "ზემოთ". ლიოტარის მიხედვით პოლიტიკური ლეგიტიმაცია წარმოადგენს "უწყვეტ და რთულ დებატებს მხარეთა

შორის, რომლებიც ხშირად რადიკალურად განსხვავებულ ფორმულირებებს იძლევიან, ეს არის მოსაზრებათა და მსჯელობათა თავისუფალი ასპარეზი. ნებისმიერი სახის გამოთქმა ამგვარ დებატებში აღიქმება არა როგორც არგუმენტი, არამედ როგორც "სვლები" და "საპირისპირო სვლები" ამა თუ იმ კონკრეტული ტიპის დისკურსის ფარგლებში; ისინი წარმოადგენენ არა კონკრეტულ პირნციპებზე დამყარებულს დასკვნებს, არამედ ტაქტიკურ სვლებს ენობრივი თამაშის ფარგლებში.

ნორმატიული დებულებები ყოველთვის ჩასმულია ზოგადად გამოყენებადი წესების ჩარჩოში: ეს წესები სპეციფიურია თითოეული ცოდნის სახეობისთვის და "სვლები" რომლებიც სასარგებლოდ ითვლება ერთ დისკურსში, შეიძლება არ იქნას გაგებული იმავე მნიშვნელობით სხვებში, გარდა შემთხვევითი თანხვედრისა მნიშვნელობებში. არ არსებობს ლეგიტიმაციის რომელიმე კონკრეტული დისკურსი, განსხვავებულ გამოთქმათა არანაირი საერთო საზომი; პოსტმოდერნულობაში იქნება დისკურსთა პლურალიზმი, სადაც არცერთი არ ფლობს "მეტა" სტატუსს თუ უპირატესობას სხვებზე.

"საუბარი" - ლიოტარის მიხედვით ნიშნავს "ბრძოლას"; კომუნიკაცია არის აქტიობა, რომელშიც "კითხვები, მოთხოვნები, მტკიცებები და ნარატივები ქაოტურადაა ჩართული ენობრივ ბატალიაში. ბატალია განზასღვრულ წესებს ემორჩილება, თუმცა, წესები იძლევიან გამოთქმათა ვარიაციების ფართო შესაძლებლობას. "პოლიტიკური დისკურსი არის მოძრაობათა და გამოთქმათა არამყარი და დაუსრულებელი სერიები, მანიპულატორთა შორის არსებითად კონფლიქტური ურთიერთმიმართება კომუნიკაციურ პოცესში". ასეთი ტიპის კამათი გულისხმობს მრავალი განსხვავებული სახის დებულებებსა და ენობრივ თამაშებს: ერთსადაიმავე დისკუსიაში მონაწილე ერთვება, იცვლის პოზიციას ერთი ენობრივი თამაშიდან მეორეზე გადასვლისას, კითხვითი პოზიციიდან გადადის დირექტივებზე და ასე შემდეგ.

"ყოველივე ამის მიზანია არა რომელიმე კონკრეტული დისკურსისათვის უპირატესობის მინიჭება სხვებთან შედარებით, არამედ, არსებითად მცირე ნარატივების მაქსიმალურად აქტივიზაცია" - სხვადასხვა ტიპის დისკურსების დაუფლება და რაც ყველაზე მთავარია - ახალი სვლების მოფიქრება უკვე დადგენილ

დისკურსიულ პრაქტიკებში. “პროგრესი“ პოლიტიკურ კამათში, თუკი საერთოდ შეიძლება ასეთი რამ არსებობდეს, მდგომარეობს არა “ძლიერ“ დასკვნებში ან კონსენსუსის გენერირებაში, არამედ არსებითად კონსენსუსის დარღვევასა და პოლიტიკური პრაქტიკების დესტაბილიზაციაში. კონსენსუსის მიღწევისაგან განსხვავებით, რაც უფრო ახლებურია ჩვენი სვლა, მით უფრო ნაკლებად გამოიწვევს იგი თანხმობას, სწორედ იმიტომ, რომ იგი ცვლის იმ თამაშის წესებს, რომელსაც ეფუძნებოდა კონსენსუსი.

პოლიტიკური პროგრესი გულისხმობს ძველ თამაშებში ახალი სვლების გამოგონებას, არსებული წესების დახვეწასა და მოდიფიკაციას, ან ახალი თამაშების გამოგონებას.

რეალობა ზოგჯერ სასიკვდილოდ სერიოზული ხდება ხოლმე. იმის უარყოფა, რომ ენათა (ენობრივი) თამაშები ზოგჯერ შეიძლება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში გადაიზარდოს, უბრალოდ ცინიკურია. (G. Yancy, 2002)

ჰაბერმასი განსაზღვრავს სამ პრინციპს, რომლებიც გულისხმობენ ჰეგემონიის გაუქმებას და უზრუნველყოფენ დომინაციისგან თავისუფალ კომუნიკაციას:

1. თითოეულ სუბიექტს, რომელსაც გააჩნია საუბრისა და მოქმედების შესაბამისი კომპეტენცია, უნდა მიეცეს დისკურსში ჩართვის შესაძლებლობა.

2. (a) ყველას შეუძლია კითხვები დასვას ნებისმიერ მტკიცებასთან მიმართებაში.

(b) ყველას შეუძლია დისკურსში ნებისმიერი მტკიცებების წარდგენა.

(c) ყველას შეუძლია გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულებები, სურვილები და საჭიროებანი.

3. არცერთ მოსაუბრეს არ შეიძლება ჩამოერთვას მოსაზრებათა გამოთქმის უფლება შინაგანი თუ გარეგანი იძულებით. (P. Fairfield, 1994)

დერიდა: რადგანაც (სოციალური) განსხვავებები წარმოადგენს სისტემურ კატგორიას რომელიც წარმოიშობა ენაში - თავად საზოგადოებაც “ენის მსგავსადაა“ სტრუქტურირებული. (L. Chouliaraki, 2008).

თითოეულ დისკურსს თავისი ენობრივი თამაში გააჩნია და ოპერირებს შესაბამის ფრეიმში.

ლინგვისტური ფრეიმი არის კოგნიტური ფრეიმის გაგრძელება, მისი გამოვლინება.

მაგალითისთვის, როგორც ზემოთ უკვე ნაჩვენებ იქნა დისკურსთა კლასიფიკაციისას, შეიძლება გამოვყოთ მწვანე დისკურსი - მისთვის დამახასიათებელი ენობრივი თამაშით, ლგბტ დისკურსი - მისივე ენობრივი თამაშით, რელიგიური დისკურსი - კონკრეტული ენობრივი თამაშის ტიპით, ხოლო თითოეული მათგანი უნგა განვიხილოთ შესაბამისი (კოგნიტური) ფრეიმების ფარგლებში.

2.3. ლაკანის ოთხი დისკურსის თეორია

აქ კი სასარგებლო იქნება მსჯელობაში შემოვიტანოთ ჟაკ ლაკანის მიერ ფორმულირებული ოთხი დისკურსის თეორია. ზოგადი კონტურებით, ლაკანი გამოყოფს ოთხ ძირითად დისკურსს თავისი მახასიათებლებით. ესენია:

1. **ბატონის დისკურსი (the discourse of the master)**: განსაზღვრავს და წარმართავს დისკურსს ყველასათვის და მათ მაგიერ. იგი ასახავს ბრძოლას დომინანტობისთვის. ეს არის მთავარი დისკურსი რომლისგანაც წარმოიქმნება დანარჩენი სამი. აქ დომინანტურ პოზიციას იკავებს მთავარი განმსაზღვრელი (the master signifier, S1), რომელიც წარმოადგენს სუბიექტს ($) ყველა დანარჩენი განმსაზღვრელისთვის. ტოტალიზაციის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებლობისთვისაა განწირული. აღნიშნული დისკურსი ნიღბავს სუბიექტის დაყოფას. იგი ახდენს ბატონისა და მსახურის დიალექტიკის სტრუქტურის ილუსტრირებას. ბატონი (The master, S1) წარმოადგენს აგენტს, რომელიც აღძრავს მსახურს (slave, S2) მოქმედებისკენ: შედეგად წარმოიქმნება ნამატი (პროდუქტი), რომლის მისაკუთრებისთვისაც იბრძვის ბატონი.

ბატონს უნდა დაემორჩილონ - არა იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ვიქნებით კარგად იმ შემთხვევაში, თუკი ასე მოვიქცევით, არამედ იმიტომ, რომ ის (ბატონი) ასე ამბობს. მის ძალაუფლებას არ გააჩნია არანაირი საფუძველი, დასაბუთებულობა: ის უბრალოდ არის... ბატონმა არ უნდა აჩვენოს სისუსტე და შესაბამისად, იგი ნიღბავს იმ ფაქტს, რომ

ისევე როგორც ყველა, ისიც ენის პროდუქტია (ენობრივი არსება/being of language): ცნობიერსა და არაცნობიერს შორის დაყოფა, რაც თან სდევს აღმნიშვნელის ფუნქციონირებას, ინიღბება ბატონის დისკურსში.

2. **უნივერსიტეტის დისკურსი (the discourse of the university):** ცოდნა წარმოადგენს დომინანტ ფაქტორს, თუმცა სუბიექტს არ გააჩნია იძულების ძალა. "ობიექტური" ცოდნის გენერაცია, უმეტეს შემთხვევებში შეუმჩნევლად ემსახურება მის გარეთ მყოფ ბატონის დისკურსს. აქ დომინანტი პოზიცია უჭირავს ცოდნას (savoir). გაბატონებისაკენ მიდრეკილება თავს იჩენს ნეიტრალური ცოდნის გენერაციის მცდელობაში, რაც ნიშნავს სხვაზე (ის, ვისაც გადაეცემა ცოდნა) დომინირებას. მაშინ, როდესაც ბატონისთვის ცოდნას არ აქვს მნიშვნელობა, უნივერსიტეტის დისკურსისთვის იგი პირველადი მნიშვნელობისაა. უნივერსიტეტის დისკურსი ახდენს ბატონის ნება-სურვილის გარკვეული სახით ლეგიტიმაციასა და რაციონალიზაციას. იგი მხარს უჭერს პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურას მიუხედავად ობიექტურობაზე ნებისმიერი პრეტენზიისა.
3. **ისტერიულის დისკურსი (the discourse of the hysteric):** ცოდნას არ გააჩნია იძულების/ეფექტურობის ძალა. იგი ეწინააღმდეგება გაბატონებულ (ბატონის) დისკურსს. ამ სახის დისკურსი არ წარმოადგენს უბრალოდ იმას, "რაც გამოითქმის ისტერიულის მიერ", არამედ იგი შეიძლება იყოს გარკვეული ტიპის არტიკულაცია, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერი საგნის/საკითხის აქტუალიზაცია. დაყოფილი სუბიექტი ($), სიმპტომი - იჭერს ცენტრალურ პოზიციას. ეს დისკურსი მიანიშნებს გარკვეული სახის ცოდნაზე.

ისტერიული მიმართავს ბატონს და ითხოვს მისგან თავის მოთხოვნებზე ყურადღების გამახვილებას. ისტერიულის დისკურსი წარმოადგენს უნივერსიტეტის დისკურსის სრულიად საპირისპიროს. ლაკანი საბოლოოდ აიგივებს მეცნიერების დისკურსს ისტერიასთან: ისტერიული ცდილობს აიძულოს ბატონი, რომელიც შეიძლება იყოს პარტნიორი, მასწავლებელი ან ნებისმიერი სხვა და მიიყვანოს იგი იმ დონემდე, როდესაც იგი (ბატონი) აღიარებს საკუთარი ცოდნის უკმარისობას.

4. **ანალიტიკოსის დისკურსი (the discourse of the analyst):** ეს არის გაბატონებული ბატონის დისკურსის შეგნებული დეკონსტრუქცია. ამ სახის დისკურსი იწარმოება იმავე ფორმით, როგორც ფროიდი ახდენდა ისტერიული პაციენტების დისკურსის ინტერპრეტაციულ ცვლილებას. აგენტის (ანალიტიკოსის) პოზიციას განსაზღვრავს (objet a): ისტერიულის შეუსრულებელი სურვილი(ები), როდესაც ანალიტიკოსი ხდება ისტერიულის სურვილის მიზეზი. აღნიშნული დისკურსი წარმოადგენს ბატონის დისკურსის საწინააღმდეგო დისკურსს.

როგორც ანალიტიკურ სიტუაციაში ჩვეულებისამებრ ხდება ხოლმე, მთავარი განმსაზღვრელი აქ წარმოჩნდება როგორც საბოლოო წერტილი დისკურსში, რაიმე ტერმინი, სიტყვა ან ფრაზა, რომელიც ასრულებს/ამთავრებს პაციენტის რომელიმე კონკრეტულ ასოციაციას. მაშინ, როდესაც ანალიტიკოსი აწარმოებს ანალიტიკურ დისკურსს, მისი ობიექტი კვლავ ისტერიული დისკურსის ფარგლებში ოპერირებს. ანალიტიკოსი, იმ ფაქტზე მინიშნებით, რომ ისტერიული არ არის თავისივე დისკურსის გამგებელ-განმსაზღვრელი, წარმოაჩენს ისტერიულს, როგორც დაყოფილს ცნობიერად მომეტყველე სუბიექტსა და სხვა სუბიექტს შორის, რომელიც ასევე, პირველის პარალელურად, მეტყველებს ერთსადა იმავე სუბიექტში.

დისკურსები, რომლებიც საბოლოო ჯამში ახდენენ ჩვენი სუბიექტურობის შეგრძნების ფორმირებას, როგორც წესი წარმოადგენენ ამა თუ იმ ტიპის ბატონის დისკურსებს, მაგალითად ისეთები, როგორიცაა ეკლესიის დისკურსი (რომელიც, თავის მხრივ წარმოადგენს პარტიარქალური დისკურსის მაგალითს), პატრიარქალური, ნაციონალისტური, სოციალისტური და ა. შ.

ხსენებული დისკურსების საპირისპიროდ "უნივერსიტეტის დისკურსი" (ან/და ცოდნა) წარმოადგენს ისეთი ტიპის დისკურსს, რომელიც სუბიექტს აყენებს დომინანტ პოზიციაში ცოდნის გენერირებისა და მისი გადაცემის კონტექსტში სოციალური ურთიერთობების სტრუქტურირების კუთხით, როდესაც სუბიექტი აიძულებს სხვა აგენტებს გააცნობიერონ თავიანთი ცოდნის უკმარისობა. თუმცა, როგორც ლაკანი მიუთითებს, რეალობაში უნივერსიტეტის დისკურსი წარმოადგენს მსახურის დისკურსს ბატონთან მიმართებაში, რადგანაც უნივერსიტეტი უმეტეს შემთხვევაში

ემსახურება დროის კონკრეტულ მონაკვეთში გაბატონებულ დისკურსს. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში ბატონის/გაბატონებულ დისკურსს წარმოადგენდა ეკლესიის დისკურსი, XIX საუკუნეში ეს იყო ნაციონალიზმის პოლიტიკური დისკურსი, დღესდღეობით კი ესაა ნეოლიბერალური კაპიტალიზმის ბატონის დისკურსი, რომელსაც ემსახურება უნივერსიტეტის დისკურსი.

მიუხედავად იმისა, რომ ლაკანი აიგივებდა უნივერსიტეტის დისკურსს მეცნიერულთან, მოგვიანებით მან მეცნიერული დისკურსი "ისტერიულის დისკურსად" განსაზღვრა. ისტერიულის დისკურსი ეჭვის ქვეშ აყენებს გაბატონებული დისკურსის ძალაუფლებას ზუსტად ისე, როგორც ფროიდის ისტერიული პაციენტები (ამ შემთხვევაში ტერმინის კლინიკური გაგებით) ეწინააღმდეგებოდნენ ვიქტორიანული ეპოქის პატრიარქალურ დისკურსს გამოხატულს ისეთ სიმპტომებში, როგორიცაა მაგალითად, სხეულის ფრიგიდულობა. შესაბამისად, "ისტერიულის დისკურსი" შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი ტიპის დისკურსი, რომელსაც ეჭვი შეაქვს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, გენდერულ, მეცნიერულ თუ რაიმე სხვა სახის სტატუს ქვოში.

თითოეული დისკურსის ფარგლებში იკვეთება ოთხი პოზიცია:

აგენტი (Agent) = ის, ვინც წარმართავს დისკურსს.

სხვა (Other) = ის, რისი/ვისი მისამართითაც წარიმართება დისკურსი.

პროდუქტი (Product) = ის, რაც იქმნება დისკურსის შედეგად.

სიმართლე (Truth) = ის, რისი გამოხატვაც იყო ჩაფიქრებული დისკურსის მეშვეობით,

და ოთხი ცვლადი, რომელიც მოიცავს ხსენებულ პოზიციებს:

S1 = the master signifier (მთავარი გამომხატველი, აღმნიშვნელი)

S2 = knowledge (le savoir) (ცოდნა)

$ = the subject (barred) (სუბიექტი)

a = the objet petit a or surplus-jouissance (ნამეტი, ნაშთი).

ლაკანისეული ბატონის დისკურსის გაგება - მომეტყველე აგენტი არის დახელოვნებული ხელსაყრელი მომენტების გამოყენებაში რათა აღძრას სხვები ისეთი

ქმედებისკენ, რაც სწორადაა (მი)მართული. ბატონის ფუნქციაა აღმნიშვნელთა ქაოტური და თავისუფალი მოძრაობის გაერთიანება ერთი მთავარი აღმნიშვნელის ქვეშ რაც მათ სტრუქტურირებულსა და ადვილად გასაგებს ხდის.

ზემოთქმულის კონტექსტში შევეცადოთ ქართული (პოლიტიკური) დისკურსების ტიპოლოგიას. მაგალითისთვის, რელიგიური ნარატივის წარმოებისა და ინტერპრეტაცის ფუნქცია საქართველოში გამოკვეთილად ეკლესიის პრეროგატივაა; პოლიტიკური ლიდერები კი მხოლოდ ადასტურებენ/ეთანხმებიან აღნიშნულ ნარატივს (როგორც მმართველი ძალა, ასევე ოპოზიციური). ამის საპირისპიროდ კი რელიგიური დისკურსი უფლებას იტოვებს საკუთარი პოზიცია გამოხატოს სეკულარულ-პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც რელიგიურ დისკურსს უწევს სხვა ტიპის დისკურსებთან ინტერაქცია, იგი იძენს ისტერიულის დისკურსის ნიშნებს, მაგალითად, ბიომეტრიული ბარათების წინააღმდეგ აქციების შემთხვევაში, როდესაც, თუკი დისკურსების ლაკანისეულ ტიპოლოგიას მივმართავთ - ისტერიული მიმართავს ბატონს (სახელმწიფოს/ხელისუფლებას) და ითხოვს მისგან თავის მოთხოვნებზე ყურადღების გამახვილებას. აქ დისკურსებს შორის სახეზეა ვარიაციები დომინანტურობის ფაქტორში.

ასევე, შეიმჩნევა რელიგიური ნარატივის შესვლა მედიცინის სფეროში. ისეთი საკითხების განმარტებასა და შესაბამისად - რეგულაციაზე, როგორიცაა აბორტი, შობადობა, სუროგაცია, - დემოგრაფიული საკითხი ზოგადად - პრეტენზია აქვს რელიგიურ ნარატივს.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკურსული განსხვავებები ამასთანავე მსოფლმხედველობრივ განსხვავებებს წარმოაჩენენ და ასახავენ.

რაც შეეხება ისტერიულის დისკურსს ქართული პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში - თუ კი ლაკანისეულ ცნებას გამოვიყენებთ, როგორც მისი განსაზღვრის სტანდარტს - მას უნდა წარმოადგენდნენ ნებისმიერი ტიპის უმცირესობების მიერ ნაწარმოები დისკურსული პრაქტიკები (ლგბტ საზოგადოება, სხვადასხვა რელიგიური დენომინაციები...), თუმცაღა, მაგალითად, ლგბტ თემის მიერ წარმოებული დისკურსი უფრო ნაკლებად შეიძლება ჩაითვალოს ისტერიულად პოლიტიკურ-სეკულარულ თუ

რელიგიურ სეგმენტებთან მიმართებაში, რადგანაც, როგორც ჩანს, ისინი კარგად იცნობენ იდენტობის თანამედროვე, პოსტმოდერნულ ცნებებს და შესაბამისი ტერმინოლოგიით მეტყველებენ. სხვა სიტყვებით, ისინი ფლობენ მათ მიერ წარმოებულ დისკურსს და შესაბამისად, მათი დისკურსი გვევლინება არა იმდენად ისტერიულის, არამედ უფრო ანალიტიკოსის დისკურსად. რაც შეეხება იმ დისკურსს, რომელიც მათ უპირისპირდება (ტრადიციულ/კონსერვატიულ/რელიგიური), მეტადრე იგი უფრო წარმოჩნდება ისტერიულის პოზიციაში, რადგანაც მისი ადეპტების განმარტებით სწორედ მათზე ახდენენ ზეწოლას არატრადიციული ორიენტაციის მქონე ჯგუფები და ცდილობენ მათი იდენტობის დეკონსტრუქციას (მაგ: "ქართველობის წართმევას" ან ტრადიციული სექსუალობის "შეცვლას").

ლაკანი გამოყოფდა ასევე მე-5 ტიპის დისკურსსაც - ეს არის **კაპიტალისტის დისკურსი,** რომელიც წარმოადგენს იგივე ბატონის დისკურსის ნიმუშს, რომელიც იკავებს ისტერიულის პოზიციას იმ მიზნით, რათა შექმნას იმის ***წარმოდგენა,*** თითქოს იგი დგას იმათ მხარეს, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან ბატონის დისკურსს, სინამდვილეში კი იგი ფარულად იცავს და ატარებს ბატონის ინტერესებს. ამის კარგი მაგალითია უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიების (რომლებიც წარმოადგენენ ბატონის დისკურსიული კომპლექსის ნაწილს) მიერ დაკავებული პოზიცია, რომელიც თითქმის არ განსხვავდება ისტერიულის პოზიციისაგან (აქტივისტები, რომლებიც გამოხატავენ პროტესტს ნავთობმომპოვებელი კომპანიების მიერ გარემოსადმი მიყენებული ზიანის წინააღმდეგ), როდესაც საქმე ეხება გარემოს დაცვის საკითხს, რადგან კომპანიები არწმუნებენ აქტივისტებს, თითქოს არავინ ზრუნავს ეკოსისტემებზე იმაზე მეტად, ვიდრე თავად ისინი. ამიტომაც უწოდებს ლაკანი ამ ტიპის მეხუთე დისკურსს - "ჭკვიანურ დისკურსს" - იგი ინიღბება ისტერიულის დისკურსის საფარქვეშ, მაგრამ სინამდვილეში ფარულად უწყობს ხელს კაპიტალისტი ბატონის ინტერესების გატარებას.

ქართულ დისკურსიულ სივრცეში კაპიტალისტის დისკურსის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ბანკირებისა და მსხვილი ფინანსური ინსტიტუციების მმართველთა დისკურსული პრაქტიკები. მაგალითად, ცნობილი ფიგურები, რომლებიც მოსახლეობის ფინანსურად დაზარალებულ ნაწილს ურჩევენ აიყვანონ ფინანსური

მრჩევლები, სანამ ეს უკანასკნელნი (დაზარალებულნი) მიიღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს კრედიტების აღებასთან დაკავშირებით და სხვა მისთანანი.

ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით ქართულ დისკურსულ სივრცეში შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახი დისკურსები: ნაციონალისტური (მასტერ ნარატივი), რელიგიური (მასტერ ნარატივი), ხელისუფლების (ფორმალურ/ინსტიტუციონალური) დისკურსი, უმცირესობათა დისკურსი(ები), ინტელექტუალური, ექსპერტული დისკურსები. ჩამთვლილ დისკურსთაგან ზოგიერთს გააჩნია ყოვლისმომცველობის, შესაბამისად დომინაციის პრეტენზია (ნაციონალისტური, რელიგიური, ხელისუფლების), ზოგი კი (ჯერჯერობით) საკუთარი უფლებების აღიარებისთვისა და აქტუალიზებისთვის იბრძვის (ლგბტ). ჩამოთვლილთაგან ბოლო ორი ტიპის დისკურსი (ინტელექტუალური, ექსპერტული) კი უბრალოდ აღწერითი ფუნქციით ისაზღვრება.

დისკურსებს შორის კონფლიქტის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას ბოლო მოვლენები - სასულიერო პირები იძულებულნი არიან პასუხები გასცენ სამართალწარმოების პროცესში კითხვებს - რელიგიური დისკურსი გადადის ლეგალურ/სამართლებრივ დისკურსში (ერთი ენობრივი თამაში ურთიერთქმედებს მეორე ენობრივ თამაშთან). ეს არის შემთხვევა, როდესაც ერთ დომინანტ დისკურსს უწევს მეორე დომინანტი დისკურსის ფარგლებში ოპერირება.

ზემომოყვანილი მაგალითები შეიძლება თეორიულად ასე განიმარტოს: "პოლიტიკური დისკურსი არის სვლათა და გამოთქმათა არამყარი და დაუსრულებელი სერიები, მანიპულატორთა შორის არსებითად კონფლიქტური ურთიერთმიმართება კომუნიკაციურ პოცესში". ასეთი ტიპის კამათი გულისხმობს მრავალი განსხვავებული სახის დებულებებსა და ენობრივ თამაშებს: ერთსადაიმავე დისკუსიაში მონაწილე ერთვება, იცვლის პოზიციას ერთი ენობრივი თამაშიდან მეორეზე გადასვლისას, კითხვითი პოზიციიდან გადადის დირექტივებზე და ასე შემდეგ.

რაც შეეხება (ენობრივი) თამაშის ცნებას, ლიოტარი განასხვავებს სამი სახის თამაშს, ესენია:

2.4. დენოტაციური თამაში

აქ აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა არის ჭეშმარიტი და რა ყალბი. ეს ორდინალური მეცნიერული თამაშია, სადაც უმთავრესია ფაქტები.

დენოტაციური მნიშვნელობა მარტივია და ერთი მნიშვნელობით, ხოლო კონოტაციური მნიშვნელობა კომპლექსური, ღრმა და ინდივიდუალიზირებული.

ინსტრუქციული თამაში

აქ აქცენტი კეთდება ცუდზე და კარგზე, სამართლიანზე და უსამართლოზე. იგი გულისხმობს ღირებულებებზე აპელირებას რომლებიც უფრო სოციალურად განპირობებულია, ვიდრე დენოტაციური ფაქტები.

ტექნიკური თამაში

აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა არის ეფექტური და რა - არაეფექტური. იგი შედარებით უფრო ფაქტობრივია, თუმცა შეიძლება ღირებულებებიც იყოს ჩართული.

ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდთა ყოველდღიურ მეტყველებას. უნდა მოხდეს მეტყველებაში გამოყენებული ცალკეული ენობრივი თამაშების გამოვლენა, რომლებასაც შეიძლება თავად მომეტყველე სუბიექტები ვერც კი ამჩნევდნენ.

მეცნიერთან არგუმენტირებისას უნდა იქნას გამოყენებული დენოტაციური თამაში. აქცენტი უნდა გაკეთდეს ფაქტებზე, ჭეშმარიტებასა და სიყალბეზე (თავიდან უნდა იქნას აცილებული ემოციონალური არგუმენტები და კარგი/ცუდის ღირებულებითი კატეგორიები) (Lyotard, J-F., 1984).

2.5. სახელთა რექტიფიკაცია

“თუ მეტყველება არასწორია, მაშინ ის, რაც ითქმის, არ არის ის, რაც იგულისხმება,

თუკი არ ითქმის ის, რაც იგულისხმება, მაშინ ის, რაც უნდა შესრულდეს, რჩება შეუსრულებელი. ამიტომაც მეტყველება არ უნდა იყოს თვითნებური. ეს არის უმთავრესი“

From The Analects of Confucius, Book 13, Verse 3

(James R. Ware, translated in 1980.)

მოცემულ ნაწილში განიხილება ჩინურ ფილოსოფიურ ტრადიციაში აქტუალური (პოლიტიკის) ენის გამართვის ცნება, რომელიც დაკავშირებული იქნება თანამედროვე დასავლურ აზროვნებაში აქტუალურ (მთავარი) აღმნიშვნელის საკითხთან. აღნიშნული ცნებები მორგებულია პოლიტიკური დისკურსის ცნებას, ზოგადად. ამასთანავე, შევეცდებით განხილულ ცნებებს მივუსადაგოთ პრაქტიკული მაგალითები ქართული პოლიტიკური დისკურსიდან.

ფორმალიზებული ენის პოლიტიკურად გამოყენება

ჩინურ ტრადიციაში ენის „სისწორე“ ყოველთვის მიიჩნეოდა მორალური ავტორიტეტის, ოფიციალური ლეგიტიმურობისა და პოლიტიკური სტაბილურობის წყაროდ. პოლიტიკის ენას ყოველთვის გააჩნდა ნიშანდობლივი ინსტრუმენტული დატვირთა, რადგან მისი (ენის) კონტროლი იყო ორთოდოქსული სახელმწიფო იდეოლოგიის გამოხატვისა და გადაცემის ყველაზე შესაფერისი გზა. ფორმალიზებული ენა ასევე ემსახურებოდა ჩინელი ინტელექტუალების გამომხატველობის დიაპაზონის სტანდარტიზაციას.

ძველი ჩინეთიდან მოყოლებული, ენა ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს შესაძლო სიმბოლური წყობისა და **სასურველი სოციო-პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში**.

(კონფუციანური ტრადიციის ფარგლებში) სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ეფუძნება საგნებისთვის/მოვლენებისთვის სწორი სახელების დარქმევისა და შესაბამისად მოქმედების აქსიომატურ პრინციპს. ესაა მისი (კონფუცის) პოლიტიკური თეორიის ერთერთი ფუნდამენტური ცნება. მისი მოსაზრებით, ოპტიმალური მმართველობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ყველა მოვალეობა სრულდება შესაბამისად დადგენილი სახელების მიხედვით - როდესაც კონფუცის ჰკითხეს: „რას ნიშნავს მმართველობა?“ - მან ერთმნიშვნელოვნად უპასუხა: „მართვა ნიშნავს სახელების გამართვას/დაზუსტებას“ (*zhengzhi*, *zhengye*政者，正也).

აქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სტრატეგიაა სწორი მაგალითით გაძღოლა. კონფუცი ამტკიცებდა, რომ მმართველი, რომელსაც შეეძლო „სახელთა გამართვა“, შეძლებდა ასევე მართულთათვის ნათელი მისაბაძი მაგალითის მიცემასაც. როდესაც მმართველის მოქმედებები შეესაბამება მისივე სიტყვებით განსაზღვრულ სტანდარტებს, იგი ახორციელებს მართებულ სოციალურ ქცევას.

მაგალითად, მაო ძედუნის მმართველობის პერიოდში „სწორი სახელების“ თეორია სრულად იქნა განხორციელებული ვერტიკალური პროპაგანდის მექანიზმების მეშვეობით. **სასურველი რეალობის რეპრეზენტირების** ლოგოცენტრული მოდელი სრულად იქნა დანერგილი მომეტყველისა და მსმენელის მიერ გაზიარებული ზოგადი წესებისა და კონვენციების დადგენის მეშვეობით.

ინდივიდებს მოეთხოვებოდათ შესაბამისი ლინგვისტური ქცევისა და მეტალინგვისტური აქტების განხორციელება. ეს იყო სახელებსა (*ming*) და სასურველ რეალობას (*shi*) შორის გამოთქმების (*yan*) მეშვეობით „ჰარმონიაზე“ დაფუძნებული ფორმალური კორექტულობის კრიტერიუმი. მომეტყველე იყენებს ენას, როგორც რეალობის სოციო-პოლიტიკური კონსტრუირების ინსტრუმენტს და მიმართავს მსმენელის მოქმედებას სანქცირებული ქცევისაკენ. (M. Marinelli, 2009)

კლასიკური ჩინური ფილოსოფოსები არ იყვნენ დაინტერესებულნი ენის სემანტიკით. მათ უფრო მეტად აინტერესებდათ ენის პრაგმატიკა. სემანტიკური ჭეშმარიტების (და მცდარობის) ნაცვლად ისინი ინტერესდებოდნენ პრაგმატული დამტკიცებადობით და შესაბამისობით - საზოგადოების მიერ დისკურსის/მსჯელობის გათავისების ხარისხით.

კლასიკური ჩინელი ფილოსოფოსების მიხედვით ენა ადგენს/განსაზღვრავს მისაღები ქცევის ფორმებს საზოგადოებაში. ენა ახდენს იმის რეგულირებას, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს სოციალურ კონტექსტში. კლასიკური პერიოდის ჩინელი ფილოსოფოსები ***ენას განმარტავდნენ როგორც საშუალებას, რომელიც წარმართავს სოციალურ ქცევას საზოგადოებრივი ჰარმონიის მიღწევის მიზნით.***

ენის რეგულატორული ფუნქციის მთავარ შემადგენელს წარმოადგენს სახელები (მინგ). სახელების მეშვეობით დგინდება **ში (ეს)** და **ფეი (არა ეს)** დიხოტომია.

რომელი სახელები (მინგ) უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სოციალური ურთიერთქმედებები და როგორ დავარეგულიროთ ეს ურთიერთქმედებები მათივე (სახელების) საშუალებით - ეს გახლდათ კლასიკური პერიოდის ჩინელი ფილოსოფოსების მთავარი კითხვები.

ენაში წარმართვის ფუნდამენტური შეპირისპირებულობებია **wu** (**არყოფნა/არარსი**) და **you** (**ყოფნა, არსი**). **Wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**) ასახავს ყველაფერ იმას, რაც არ არის და რაც არის. ამ განსხვავებიდან გამომდინარე ისინი წარმოშობენ **shi–fei** (**ეს/არა ეს**) დიხოტომიას. თუმცა, როგორ უნდა განასხვაოს **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**) შეპირისპირებულობამ ის, რაც არ არის და რაც არის? როგორ შეიძლება ეს ორი შეპირისპირებულობა მუდმივად იქნას ერთმანეთისგან განსხვავებული ისე, რომ ამ განსხვავების მეშვეობით მივიღოთ სოციალური ჰარმონია/წესრიგი? რადგან „ყველაფერი" მიეკუთვნება **you** (**არსი**-ს) განსხვავებას, შეუძლებელია დადგენილ იქნას მუდმივი ზღვარი **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**)-ს შორის, რამეთუ, არარსებული არც არის. შესაბამისად, რთულია მუდმივად ამგვარი განსხვავების დადგენა: **shi–fei** (**ეს/არა ეს**) და სოციალური ინტერაქციების **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**)-ს დიხოტომიებზე დაყრდნობით წარმოება.

მიუხედავად ამისა, **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**) ერთად წარმოიქმნებიან ენაში. შესაბამისად ენა, რომელიც ეფუძნება ამგვარ (**wu/არარსი** და **you/არსი**) განსხვავებებს, ხდება გაუგებრობების წყარო. აქ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ენაში არსებულის და არარსებულის ასახვის დიხოტომია.

იქედან გამომდინარე, რომ შეუძლებელია დადგინდეს **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**)-ს შორის განსხვავება, ენაში მოცემული ზღვარი წარმოადგენს კონვენციურ-პირობითს. რაც შეეხება განსხვავებების კონვენციურ ბუნებას, ისინი შეიძლება შეიცვალონ დროთა განმავლობაში, ასე რომ, **wu** (**არარსი**) და **you** (**არსი**) განსხვავება ვერ იქნება ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული. (K. Tanaka, 2004)

ჩინურ მიდგომაში ენის უნიფორმულობა განსაზღვრავს რეალობის სტაბილურობასაც, რაც არის *ენის მიერ რეალობის დეტერმინირების უნარი.* სხვა სიტყვებით, თუ სწორია მეტყველება, სტაბილური იქნება (სოციალური) რეალობაც.

დასავლური კონცეფცია: ენის პერფორმატიულობის უნარი.

ენის ფილოსოფიაში და სამეტყველო აქტების თეორიაში პერფორმატიული გამოთქმები წარმოადგენს წინადადებებს, რომლებიც არა მხოლოდ აღწერენ მოცემულ სინამდვილეს, არამედ ცვლიან კიდეც იმ სოციალურ რეალობას, რომელსაც ისინი აღწერენ.

ასევე, ჩინურ ენის ფილოსოფიაში არსებობს ლაოძისეული შეხედულებები ენის გამოყენების სისწორესთან დაკავშირებით, რომელიც ერთგვარად უპირისპირდება კონფუცისეულ ლოგოცენტრიზმს:

- **კონფუცის სწორი მეტყველება - „სახელების გამართვა“**
- **ლაოძის ენის ლიმიტი**

ლაოძი: სახელი რომ გვებოძა - სახელი არ იქნებოდა უცვლელი.

კონფუცის მიაჩნდა, რომ მისი დროებისთვის აუცილებელი იყო საგნებისთვის სახელების დარქმევა. მას სურდა, რომ ადამიანი ყოფილიყო კაცთმოყვარე და ეწოდებინათ ამისთვის კაცთმოყვარეობა, ადამიანს აღესრულებინა თავისი მოვალეობა მშობლებისადმი და ეწოდებინათ ამისთვის მოვალეობა, ადამიანი ყოფილიყო ერთგული თავისი ხელმწიფისა და ეწოდებინათ ამისთვის ერთგულება. ლაო-ძი კი სხვაგვარად ფიქრობდა: „ოდეს დიადი წესრიგი დამყარდა: ყოველს თავისი სახელი ეწოდა. სახელებმა დასაზღვრეს საგანთა საზღვრები. ვინცა შედგა და შეიცო საგანთა საზღვრები: საფრთხისაგან დაიხსნა თავი“.

ლაო-ძი თვლიდა, რომ თუკი ადამიანებმა უწყიან, რომ ისინი კაცთმოყვარენი, მოწიწებულნი და ერთგულნი არიან და აღნიშნავენ კიდეც ამას, ეს იმას ნიშნავს, რომ არსი გამქრალა და მხოლოდღა მისი აჩრდილი დარჩენილა. ყველა რომ ნამდვილად კაცთმოყვარე, მოწიწებული და ერთგული იყოს, არავინ განსჯიდა ამ ცნებათა შინაარსს და არც არავის დასჭირდებოდა მათი ხსენება. ყველა რომ სათნო იყოს, მანკიერებათა სახელწოდებებიც არ ამოტივტივდებოდა ადამიანის გონებაში.

აღნიშნული დებულება ამჟღავნებს მსგავსებას (სოციალურ) ცნებათა ხელოვნურად კონსტრუირებულობის მოსაზრებასთან - „იყო დრო, როცა “კაცთმოყვარეობისა” და “სამართლიანობის” ცნებებს არ ერქვათ თავიანთი სახელები. როცა უწოდეს ამ ცნებებს თავიანთი სახელები და კაცთა შეგნებაში გამოაცალკევეს ისინი, წარმოიშვა მათი საპირისპირო ცნებებიც: “კაცთმოძულეობა” და

“უსამართლობა”. როცა ჯერ კიდევ სრული თანხმობა და მორჩილება სუფევდა, მოწიწება და სიყვარული არ ყოფილა არაჩვეულებრივი მოვლენა“.

კონფუცი ამტკიცებდა, რომ ენის სწორად გამოყენება აუცილებელია საზოგადოებაში წესრიგისა და ჰარმონიისთვის და რომ ის პირობები, რომლითაც ენა სწორად გამოიყენება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს სახელები/ცნებები (ming) საგნებს, მოვლენებსა და ქმედებებს. **თუმცა, სახელების/ცნებების სწორად გამოყენება არ არის უბრალოდ ადამიანური გამოცდილებებისგან დამოუკიდებელი და მასზე ადრე არსებული მოვლენების სახელდება.** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონფუცი ენას განიხილავდა, როგორც არა უბრალოდ აღწერითი, არამედ ფუნდამენტურად პერფორმატიული ფუნქციის მქონე ფენომენს. **საგნებისთვის სახელების მინიჭება არ წარმოადგენს სინამდვილის აღწერის საკითხს, არამედ იგი გულისხმობს მასზე (სინამდვილეზე) ისეთ ზემოქმედებას, რაც იწვევს ურთიერთქმედებისა და ქმნადობა/არსობის გარკვეული ფორმების განხორციელებას.**

ენის ამ პერფორმატიული ასპექტის გაგება გვეხმარება იმის გაგებაშიც, თუ რატომ თვლიდა კონფუცი, რომ საზოგადოების მოწყობა სახელების/ცნებების გამართვით უნდა დაიწყოს. (Stanford Encyclopedia of Philosophy, 2016)

ხუნ-ძი საზოგადოებაში არსებულ უწესრიგობას მიაწერს გარკვეულ ენობრივ კონდიციას, რომელსაც იგი უკავშირებს ისეთ უარყოფით ფენომენებს, როგორიცაა „სახელთა დაყოფა“, „ახალი სახელების წარმოქმნა“ და „არსებული სახელების აღრევა“. ხუნ-ძის მიხედვით ადამიანის მიერ სინამდვილის (*shi* 實) გაგებისა და მასზე შეთანხმების უნარი დამოკიდებულია ენაში გამოყენებული სახელების/ცნებების (*ming* 名 - რომელიც მოიცავს კატეგორიებსა და განსაზღვრებებს) შესაბამისობაზე. როდესაც ცდილობენ სინამდვილის (საგანი/მოვლენა, ურთიერთმიმართება) განსაზღვრას განსხვავებული ცნებებით, ირღვევა კავშირი სახელებსა (*ming* 名) და რეალობას (*shi* 實) შორის, რასაც შედეგად მოჰყვება ქაოსი და დაბნეულობა. (Language in Classical Chinese Philosophy, The Internet Encyclopedia of Philosophy)

აღსანიშნავია ისიც, რომ (პოლიტიკურ) ცნებათა დაზუსტების კონფუციანურ (ლინგვისტურ) სტრატეგიას დღესაც მიმართავს ჩინეთის მმართველი პარტია.

მაგალითისთვის, ჩინეთის ლიდერ ქსი ჟიპინგის მმართველობის პერიოდში სოციალურმა მეცნიერებებმა განიცადეს პოლიტიკური რექტიფიკაციის პროცესი. ჩინეთის ხელისუფლების მხირდან ინტელიგენციის გაკონტროლების პოლიტიკის ფარგლებში მოხდა ფოკუსირება რიგი მეცნიერებების (მათ შორის: სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია და ეთნიკური კვლევები) პოლიტიკური კორექტულობის პრინციპის მიხედვით რეგულირებაზე.

მმართველ პარტია შიშობდა, რომ დაკარგა კონტროლი ნარატივზე და მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტების აუდიტორიებში წარმოიშვა ზედმეტად ბევრი კრიტიკული ხმა. ცალკეულ მეცნიერებზე გარკვეული სანქციების დაწესება გახდა კონტროლის გაცილებით უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილი.

მაგალითად, ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული ფონდი უპირატესობას ანიჭებს ისეთ კვლევებს, რომლებიც ეხება პარტიის ლიდერს, მარქსიზმსა და კომუნისტური პარტიის ისტორიას. ყოველივე ეს წარმოადგენს დისკურსის გაკონტროლების მცდელობას. განიხილება მხოლოდ ის თემატიკა, რომლის განხილვაც სურს პარტიასა და მის ლიდერს.

პარტიის ხელმძღვანელობა და უნივერსიტეტები „იყენებენ ინსტრუმენტებს, რომლებიც ცნობილია, როგორც რექტიფიკაციის მოძრაობის შემადგენელი სტრატეგიები. ხშირ შემთხვევებში, რექტიფიკაცია გულისხმობს მთელი ჯგუფების გამოვლენას და მათ გაგზავნას ხელახალი განსწავლის მიზნზით. (Y. Sharma. 2019)

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ენის რექტიფიკაციის ხსენებული სტრატეგია ტოტალიტარული რეჟიმების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებული შეხედულებების მქონე ინდივიდების რეპრესიის მიზნით.

2.6. მთავარი აღმნიშვნელი (Master signifier)

მოცემულ ნაწილში განვიხილოთ მთავარი აღმნიშვნელის ცნება იდეოლოგიურ-ძალაუფლებრივ პრიზმაში. ზოგადად, იგი შეიძლება განისაზღვროს მთავარ იდეად, იდეოლოგიურ საფუძვლად, პოლიტიკური ქცევის დასაბუთებად. მოვიყვანოთ ლიტერატურაში მოცემული განსაზღვრებები.

„მთავარი აღმნიშვნელები“ განსაზღვრავენ და ზღუდავენ ცნებების მნიშვნელობებს და ამასთანავე ისინი შეიცავენ იდეოლოგიურ შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს საზოგადოებამ. მთავარი აღმნიშვნელები არამტკიცებადი, თუმცა ქცევის წარმმართავი და გამმართლებელი იდეებია. იგი არის სუბლიმირებულ იდეათა ერთობლიობა. მთავარი აღმნიშვნელის ფუნქციაა მნიშვნელობათა უნიფიცირება და საერთო, ყოვლის მომცველი და განმსაზღვრელი საბოლოო იდეის გამოყვანა.

აღმნიშვნელის ნაკლოვანება

აღმნიშვნელი არ იძლევა სინამდვილის ახსნის პრინციპს არამედ გვაწვდის უთვალავ ურთიერთმიმართებას ასევე სხვა აღმნიშვნელებთან. იგი ვერ აფიქსირებს გარკვეულ მნიშვნელობას და ცნებიდან ცნებაზე გადასვლით ხდება ახალი კავშირების დადგენა. მეტიც, კონკრეტული აღმნიშვნელი, თავის მხრივ განსაზღვულია სხვა აღმნიშვნელების მიერ, ყველა სხვა აღმნიშვნელებთან მისი ურთიერთმიმართების მეშვეობით (D. Hook; S. Vanheule. 2016).

- “რისთვის მისცემდით საკუთარ სიცოცხლეს?
- “შვილებისთვის” “ეკლესიისთვის” “ჩემი ქვეყნისთვის” “მეცნიერებისთვის” “კაცობრიობისთვის” და ა.შ. – **მთავარი აღმნიშვნელი/მთავარი იდეა**

აქ აღმნიშვნელი ამეტებს იმას, რასაც აღნიშნავს და ამით ასრულებს განსხვავებულ დისკურსულ ფუნქციას: ავლებს ხაზს, წერტილს უსვამს შეუსაბამო ინტერპრეტაციების ჯაჭვს მთავარი აღმნიშვნელის დაფუძნებით.

ამგვარად, ასეთი ტიპის პასუხები ახდენენ (მნიშვნელობა-ღირებულების) დროებით ფიქსაციას, აფუძნებენ მათ. კომუნიკაციის მონაწილენი მიმართავენ მთავარ აღმნიშვნელებს როგორც საბოლოო სიტყვას მნიშვნელობათა ურთიერთგაცვლის პროცესში, რომლებიც ამყარებენ, ხსნიან და ამართლებენ გადაცემულ გზავნილში მოცემულ მტკიცებებს. გზავნილის მიმღებნი კი თავის მხრივ იმავე სახით რეაგირებენ

მთავარ აღმნიშვნელებზე. მაშინ, როდესაც ის სხვა ცნებები და ღირებულებები, რომლებსაც ისინი აღიარებენ, შეიძლება გადაიხედოს და მათთან მიმართებაში დაისვას კითხვები, მთავარი აღმნიშვნელები მიიღება თავისთავად, ყოველგვარი რეინტერპრეტირების გარეშე. არავინ კამათობს მთავარი აღმნიშვნელების მნიშვნელობების თაობაზე - ისინი თავისთავადი, აბსოლუტური ღირებულებებია. (M. Bracher, 1994).

ამგვარ აღმნიშვნელებს ენიჭებათ გაცილებით მეტი ღირებულება სხვა აღმნიშვნელებთან შედარებით. ისინი იძლევიან მნიშვნელობათა და ღირებულებათა უმაღლეს სტანდარტს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსები ახდენენ მთავარი აღმნიშვნელის ფიქსირება-აქტუალიზებას ფორმალური დისკურსის ფარგლებში. ამასთანავე, ისინი მანიპულირებენ მთავარი აღმნიშვნელებით კონკრეტული (პოლიტიკური) სარგებლის მიღების მიზნით.

დომინანტური დისკურსი იყენებს მთავარ (ჰეგემონურ) აღმნიშვნელებს, რითიც მოიპოვებს უპირატესობას სხვა ტიპის დისკურსებზე. იგივე შეიძლება ითქვას ენობრივ თამაშებზეც - ყოველ დომინანტ დისკურსს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ენობრივი თამაში, რომელიც ახდენს მთავარი აღმნიშვნელის არტიკულაციას, რითიც აღწევს დისკურსიულ დომინანტობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს არსებული მთავარი აღმნიშვნელების იდენტიფიცირება ამა თუ იმ დისკურსულ ველში.

იდეოლოგიურ ასპექტში მთავარი აღმნიშვნელების დატვირთვა ის გახლავთ, რომ მათ შეუძლიათ განსხვავებული მოსაზრებების გაერთიანება და მათ შორის შეხების წერტილის პოვნა, რომლებიც სხვაგვარად ერთმანეთთან დაპირისპირებულ მდგომარეობაში არიან. (D. Hook, S. Vanheule, 2016)

მთავარი აღმნიშვნელები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალონ. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ ტოტალიტარულ/დემოკრატიულ მთავარ აღმნიშვნელებზე და კონფლიქტზე მათ შორის (ძველსა და ახალს შორის).

მთავარი აღმნიშვნელები შეიძლება გამოვლენილ იქნან ძირითადი ღირებულებების მიხედვით, სადაც ღირებულება/იდეალი ასევე წარმოადგენს მთავარ აღმნიშვნელსაც (და პირიქით).

- თავისუფლება, მშვიდობა, თანასწორობა, ღმერთი/რწმენა, კეთილდღეობა, სამართლიანობა, ღირსება, მორჩილება, ჭეშმარიტება...

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ მთავარი აღმნიშვნელებით სხვებზე ოსტატურად ოპერირებენ ისინი, ვინც ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას. აქედან გამომდინარე, მთავარი აღმნიშვნელის ცნება განხილულ უნდა იქნას დომინანტი დისკურსის კონტექსტში. „ბატონის დისკურსი ხელს უწყობს გათვითცნობიერების ამაღლებას, სინთეზირებას და თვითეკვივალენტურობას მთავარი აღმნიშვნელების დომინირების დაფუძნებით. ამ პოზიციას გააჩნია სუბიექტი, რომელიც მეტყველებს დომინაციის პოზიციიდან, რომელიც ახშობს ყველა იმ მნიშვნელობას, რომელიც არ შეესაბამება მთავარი აღმნიშვნელის დომინანტურობას (Bracher, 1997). ბატონის დისკურსი ყველაზე ინტენსიურადაა გამოყენებული პოლიტიკასა და კულტურაში, სადაც იგი ცდილობს ჩაახშოს წინააღმდეგობა, გავლენა მოახდინოს სოციალურ ცხოვრებაზე „მთავარი აღმნიშვნელების“ დაფუძნების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ და პოლიტიკურ დღის წესრიგს (ibid.).

მთავარი აღმნიშვნელისა და ბატონის დისკურსით მომეტყველე აგენტის იდენტიფიცირება შესაძლებელია იმის გამოვლენით, თუ როგორ ახდენს გზავნილზე რეაგირებას აგენტი და ობიექტი. აგენტი იყენებს მთავარ აღმნიშვნელს საკუთარი პოზიციების განმტკიცების მიზნით, რამეთუ მთავარი აღმნიშვნელი აქ წარმოადგენს „ბოლო სიტყვას, საბოლოო ინსტანციას, რომელიც აფიქსირებს, ხსნის და ამართლებს ძირითად იდეას“. ბატონის დისკურსის ფარგლებში ობიექტი იქცევა მთავარი აღმნიშვნელის ძალაუფლების შესაბამისად და არ ეწინააღმდეგება მის ავტორიტეტს, იღებს რა ბრმად მას, როგორც უმაღლეს ღირებულებას.

პოლიტიკურ პერსპექტივაში ბატონის დისკურსი წარმოადგენს მეტყველების იმ ფორმას, რომელიც ამყარებს ტირანიულ/დომინანტ იდეოლოგიებს, ახდენს რა

მნიშვნელობის ფიქსირებას მატოტალიზირებელი რიტორიკის მეშვეობით (Bracher, 1993). ბატონის დისკურსი არის პოლიტიკური და ტოტალიტარული ფენომენის სიმბოლური იარაღი, რამეთუ იდეოლოგიური ინტერპელაცია ოპერირებს მთავარი აღმნიშვნელების სხვებზე თავზე მოხვევით. იგი ახდენს მნიშვნელობების ლინგვისტურად მონოპოლიზებას, რის შედეგადაც იხშობა ალტერნატიული დისკურსების სიცოცხლისუნარიანობა.

ამგვარი მდგომარეობიდან თავის დაღწევა შესაძლებელია ახალი მთავარი აღმნიშვნელების გენერირებით, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ/პოლიტიკურ ცვლილებებს. ამისათვის საჭიროა არსებულ მთავარ აღმნიშვნელებში მოცემული იდეოლოგიური მოტივებისა და შეუსაბამობების გამოვლენა და მათი ერთგვარი დეკონსტრუქცია. ბატონის დისკურსის დეკონსტრუქციას ახორციელებს ანალიტიკოსის დისკურსი, თუმცა, ხშირად ჯერ აუცილებელია ისტერიულის დისკურსის წარმოება იმისთვის, რომ მოხდეს ანალიტიკოსის დისკურსზე გადასვლა.

სოციალურ/პოლიტიკური ცვლილებების მიღწევის კუთხით წარუმატებლობის მიზეზი მდგომარეობს ისტერიულის მიერ საკუთარი მთავარი აღმნიშვნელების გენერირების ნაცვლად სხვების მიერ თავს მოხვეული მთავარი აღმნიშვნელების მიღება-გათავისებაში. აღნიშნულის კონტექსტში მთავარ სტრატეგიად ისახება ენაში სოციალურად და ფსიქოლოგიურად რეალიზებული ტირანიის დაძლევა.

მაშინ, როდესაც აღნიშნული პროცესი არ ათავისუფლებს სუბიექტს მთავარი აღმნიშვნელების ზეგავლენისგან, იგი იმავდროულად წარმოქმნის ახალ მთავარ აღმნიშვნელს მისივე სურვილის შესაბამისად (ibid). შედეგად წარმოიქმნება ნაკლებად შემზღუდველი აღმნიშვნელი, რომელიც შედარებით ნაკლებად აბსოლუტური და რიგიდულია სუბიექტის იდენტობის ჩამოყალიბების კუთხით. შესაბამისად, ანალიტიკოსის დისკურსი ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებას იდეოლოგიური ინტერპელაციის მორღვევით და სუბიექტის მიერ იმის გაცნობიერებით, თუ როგორ ახდენს იდეოლოგიური დისკურსი მის გაუცხოებას მისივე სურვილებისგან.

პარკერის მიხედვით (Parker, 2005) სუბიექტები, რომლებიც ითავისებენ მთავარ აღმნიშვნელებს, ახდენენ საკუთარი ავტორიტეტის გამყარებას თავიანთი პოზიციების უწყვეტი განმეორების მეშვეობით და არა რაციონალური არგუმენტირებით. ამგვარი აღმნიშვნელების იდენტიფიცირებისთვის პარკერის მიხედვით საჭიროა ტექსტში/მსჯელობაში იმგვარი მომენტების დაფიქსირება, „სადაც ირღვევა რაციონალური მსჯელობა-არგუმენტაციის ფასადი“. ტექსტში ავტორიტეტის მტკიცება და ალტერნატიული აღმნიშვნელების ჩახშობა მთავარ აღმნიშვნელებზე აპელირებით წარმოადგენს დომინირების პოზიციას, რომელსაც იკავებს მომეტყველე სუბიექტი კონკრეტულ აღმნიშვნელებთან იდენტიფიცირებისას.

თითოეულ დისკურსში მოცემულია ძირითადი იდეალები და მათივე მთავარი აღმნიშვნელები, მაგალითად ისეთები, როგორიცაა ღმერთი, სამშობლო, ერი, იდეოლოგია და ა.შ. როდესაც დისკურსის მწარმოებელი და წარმმართავი (ბატონის დისკურსი) ახდენს ამ იდეალების გენერირებას. ამგვარ იდეალებს იმდენად დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა გააჩნიათ, რომ მათი მიმღები ინდივიდი მზად არის მათთვის საკუთარი სიცოცხლის გასაწირადაც კი.

მთავარი აღმნიშვნელები წარმოადგენს იმ დომინანტ ფაქტორს, რაც მნიშვნელობით ტვირთავს სიგნიფიკაციის პროცესს, მაგალითად, ისეთებს, როგორიცაა მასკულინობა, ფემინურობა, ღმერთი, დემოკრატია და ა.შ. თითოეული ამათგანი წარმოადგენს მთავარ აღმნიშვნელს, რომლებიც გასაგებს ხდიან ენაში გადმოცემულ გზავნილებს. ამასთანავე, მთავარი აღმნიშვნელი არის ინდივიდის მიერ თვითიდენტიფიკაციის საშუალება.

ისინი, ვინც ახორციელებს ძალაუფლებას სხვებზე, იმყოფებიან იმ პოზიციაზე, რომელშიც ისინი ყოველთვის ახდენენ იდენტიფიცირებას ამა თუ იმ მთავარ აღმნიშვნელთან. (E. Stanizai, 2018)

მთავარი აღმნიშვნელის პარალელურად ლიტერატურაში მოცემულია ცარიელი აღმნიშვნელის ცნებაც (empty signifier). ამის მიხედვით, არსებობენ დისფუნქციური მთავარი აღმნიშვნელებიც.

2.7. ცარიელი აღმნიშვნელები პოლიტიკაში

ცარიელი აღმნიშვნელი: აღმნიშვნელი ბუნდოვანი, ერთობ ცვლადი, არასპეციფიკური ან არარსებული აღნიშნულით. ამგვარ აღმნიშვნელებს გააჩნიათ განსხვავებული მნიშვნელობები: ისინი შეიძლება აღნიშნავდნენ მრავალ ან თუნდაც ნებისმიერ აღნიშნულს; ისინი შეიძლება აღნიშნავდნენ ყველაფერ იმას, რისი აღნიშვნაც სურთ მათ განმმარტებლებს. ისინი, ვინც ადასტურებენ ამგვარი აღმნიშვნელების არსებობას, ამტკიცებენ იმასაც, რომ არსებობს რადიკალური განცალკევება აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის. აქ სახეზე გვაქვს აღმნიშვნელი კონკრეტული აღნიშნულის გარეშე. ეს არის აღმნიშვნელი, რომელიც მეტადრე ახდენს მნიშვნელობის აბსორბირებას, ვიდრე მის გამყარებას. (D. Chandler, 2021)

ამასთანავე, ცარიელი აღმნიშვნელი შორდება მის განსაზღვრულ მნიშვნელობას. სანაცვლოდ იგი იძლევა იმგვარ ცარიელ სივრცეს, რომელიც შეიძლება შევსებულ იქნას უნივერსალური მნიშვნელობებით. მაგალითისთვის, შეიცავს თუ არა "თავისუფლების" ცარიელი აღმნიშვნელი მონების ფლობის თავისუფლებას თუ მონად არყოფნის თავისუფლებას?

ჰეგემონური დაპირისპირება გულისხმობს რომელიმე აღმნიშვნელის (თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ა.შ.) მიერ ცალკეულ ელემენტთა სერიების უფრო ფართო კონტექსტში არტიკულირებას. (Joseph T. Rebello, 2008)

არის თუ არა ზემოთგანხილული ჩინური სახელთა რექტიფიკაცია ცარიელ აღმნიშვნელთა მთავარ აღმნიშვნელებად გარდაქცევის მცდელობა, სადაც ერთი კონკრეტული (მთავარი) აღმნიშვნელი ამყარებს ჰეგემონიას მეორად (free floating) აღმნიშვნელებზე?

მნიშვნელობათა ცვლილების პროცესში რიგი (პოლიტიკური) მეტაფორები კარგავენ სემანტიკურ დატვირთვას და გარდაიქცევიან მკვდარ მეტაფორებად (მნიშვნელობისგან დაცლილი აღმნიშვნელები), რამეთუ: „სიტყვები შეიძლება მოწყდნენ მნიშვნელობის თავდაპირველ წყაროებს და გადაიქცნენ ცარიელ

აღმნიშვნელებად, მკვდარ მეტაფორებად და ცუდ ხატებად, რაც განსაკუთრებით საზიანოა ფილოსოფიური დისკურსისთვის, რომელიც აბსტრაქციებით ოპერირებს.

თუნდაც ყველაზე ღრმა მნიშვნელობის მქონე სიმბოლოებიც კი, რამდენად კარგად ადაპტირებულიც არ უნდა იყვნენ ისინი, ხშირად კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას რამოდენიმე თაობის შემდეგ. ეს არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან ეს ელის ნებისმიერ ენასა და ნებისმიერ ინსტიტუციას, რომელიც ოპერირებს პირობითი ნიშნებით, თუკი არ ხდება ამ ნიშნების ხშირი შედარება-შეპირისპირება მათივე საგნებთან, აქტიური მოხმარების მეშვეობით და ამგვარად, მნიშვნელობის შენარჩუნებით. (J. Herder, 2018)

ცარიელმა აღმნიშვნელმა შეიძლება მნიშვნელობა და შესაბამისად - დატვირთვა შესძინოს ამა თუ იმ პოლიტიკურ პროცესსა თუ სოციო-ეკონომიკურ პროგრამას. აღნიშნული ცნება შესაძლებელს ხდის ერთის მხრივ იმის გაგებას, თუ როგორ იძენენ პოლიტიკურ მნიშვნელობას ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები და მეორეს მხრივ, როგორ ახდენს მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირებები ცალკეული ცნებების განსაზღვრას, რითიც ისინი კონკრეტულ აქტუალობას სძენენ სოციალურ პროცესებს. შესაბამისად, პოლიტიკური იდენტობების კონსტრუირება უკავშირდება ცარიელი აღმნიშვნელის ცნებას.

„ყოველი დისკურსი იწარმოება როგორც დისკურსიული ველის დომინაციის მცდელობა, მნიშვნელობათა ჯაჭვის განვრცობის მეშვეობით, რომლებიც ნაწილობრივ ახდენენ მნიშვნელობათა ფიქსირებას“ (Laclau/Mouffe 1985: 112). დისკურსი, რომელიც გახდა ჰეგემონური, არის ის დისკურსი, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა ინდივიდთა უმრავლესობის ცნობიერების დაკავების კუთხით.

ცარიელი აღმნიშვნელი წარმოიშობა პოლიტიკური პროცესის ფარგლებში. „საზოგადოება ახდენს ცარიელ აღმნიშვნელთა მთელი ლექსიკონის გენერირებას, რომელთა დროებითი აღნიშნულები წარმოადგენს პოლიტიკური კონკურენციის შედეგს“ (Laclau 1996b: 35).

ცარიელი აღმნიშვნელები არიან თავისთავად პოლიტიკური იმ გაგებით, რომ ისინი ღიაა განსხვავებული და ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობებისთვის მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცდილობენ ორგანიზაციის მთლიანობის მოხელთებას. მთლიანობაზე ხაზგასმა უარყოფს განცალკევებებსა და დაძაბულობებს, რაც ახასიათებს საზოგადოებრივ ერთობებს და ამგვარად, ცარიელი აღმნიშვნელები შეადგენს „ჰეგემონიის“ წინაპირობას, სადაც აღმნიშვნელი ცდილობს „ყველა სახის განსხვავებათა პირწმინდად გაუქმებას“ (Laclau, 1996: 38). ცარიელ აღმნიშვნელთა ცვალებადი გამოყენება ასახავს ერთმანეთთან დაპირისპირებულ ჰეგემონიურ პროექტებს, იმას, რასაც გამშჩი უწოდებდა „ჰეგემონიურ დაპირისპირებებს“ მნიშვნელობათა შექმნის პროცესში. განსხვავებული მნიშვნელობები გამოვლინდება, აქტივირდება და გარდაიქმნება პოლიტიკის სფეროში ცარიელი აღმნიშვნელების შეყვანის პარალელურად.

მეორადი აღმნიშვნელების მთავარ აღმნიშვნელებად გარდაქცევის პროცესი არსებითად წარმოადგენს პირველობისთვის კონკურენციას, სადაც დომინანტმა აღმნიშვნელმა უნდა შეითვისოს სხვა აღმნიშვნელთა კონოტაციები და გარდაქმნას მათი ინდივიდუალურობები უნივერსალურობად.

ცარიელი და მთავარი აღმნიშვნელები წარმოადგენენ ურთიერთსაპირისპიროთა ერთობას. პირველი ხაზს უსვამს სიცარიელესა და განზოგადებას, მეორე კი დომინაციასა და კონკრეტულობას.

კლასიკურ რიტორიკაში ის ფიგურალური ტერმინი, რომლის ჩანაცვლებაც შეუძლებელია ზუსტი შესატყვისით, იწოდებოდა კატაქრეზად. თუ ცარიელი აღმნიშვნელი წარმოიქმნება ისეთი საგნის/მოვლენის სახელდების მიზნით, რომელიც ერთდროულად შეუძლებელიც და აუცილებელიცაა, ჰეგემონური ოპერირება იქნება მთლიანად კატაქრეზული.

განათლების ერთერთი ძირითადი ფუნქციაა ცარიელი აღმნიშვნელების გენერირება, რომლებიც გამოყენებულია იდენტობის კონსტრუირების მიზნით. ეს პროცესი ხორციელდება გარკვეული კოგნიტური პრაქტიკების მეშვეობით, როდესაც

რიტუალური განმეორებებით ხდება კონკრეტული ტერმინების სისტემატური განცალკევება მათივე ცდისეული მნიშვნელობებისგან. ცარიელი აღმნიშვნელების ამგვარი დეკონტექსტუალიზაციით, აბსტრაგირებით და რე-კონტექსტუალიზაციით მათი მნიშვნელობა საბოლოოდ ზედმეტად კომპლექსური, არაერთმნიშვნელოვანი და რთულად გასაგები ხდება. სწავლების პროცესში ხდება მთავარი კატეგორიების („კულტურა“, „ნაცია“, „დემოკრატია“, „მეცნიერება“...) ცირკულირება, რომელთა განსაზღვრება და გაგება შეუძლებელია. (T. Szkudlarek, 2011)

როგორაა შესაძლებელი „კარგი“ და „ცუდი“ (ცარიელი) აღმნიშვნელების ერთმანეთისგან გამოყოფა? შეგვიძლია თუ არა შევაფასოთ ისინი ამგვარი კატეგორიებით?

ეკოს მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „კარგი“ აღმნიშვნელები მოდიან შესაბამისობაში მეტაფორის შიდა სტრუქტურასთან. თუმცა ეს წმინდა სახის ტექნიკური „სიკარგეა“. აქ საჭიროა რაიმე სახის ეთიკური კრიტერიუმი, რასაც პრაგმატული დატვირთვა ექნება. ცარიელი აღმნიშვნელები უნდა შემოწმდეს მათივე შედეგების მიხედვით. აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ განსხვავებული აღმნიშვნელები, როგორც კატექტური საშუალებები, რომლებსაც შემოაქვთ „შეუძლებელი ერთობა“ ჩვენს ჰეტეროგენულ სურვილებში, თუმცა, როგორც ვიცით, ნებისმიერი იდენტობა განმასხვავებელია, რაც ნიშნავს, რომ იგი გულისხმობს ექსკლუზიასა და განსხვავებულობას. რატომ ვახდენთ ექსკლუზირებას ერთობის პროცესში? მიუხედავად იმისა, რომ გააზრებული გვაქვს, რომ ვიღაც აუცილებლად უნდა იქნას ექსკლუზირებული გაერთიანების პროცესში, კითხვა „ვინ“ წარმოადგენს გარდაუვალ ეთიკურ განზომილებას: იგი გარკვეულ სახეს აძლევს ექსკლუზირებულთ. (D. Chandler, 2021)

- ყოველი რეალური აღმნიშვნელი, როგორც ასეთი, არის აღმნიშვნელი, რომელიც არაფერს არ აღნიშნავს. რაც უფრო მეტად აღნიშნავს იგი არაფერს, მით უფრო რთულია მისი დარღვევა“

„ტრანსცენდენტალური აღნიშნული“ არის დერიდას მიერ შემოღებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ საგნის მნიშვნელობის შინაარსი არსებობს

წმინდად ცნობიერებაში. იგი გულისხმობს „მნიშვნელობებს“, რომლებიც არსებობენ გამოცდილების წინარე-პრედიკატულ საფეხურზე.

„არსებობს სისტემაში ისეთი მიჯნა, სადაც უკვე შეუძლებელია აღმნიშვნელის შეცვლა მისივე აღნიშნულით ისე, რომ ამის შედეგად ვერცერთი აღმნიშვნელი ვერ შეიცვლება მარტივად და წმინდად“ (Derrida, Of Grammatology)

იმისთვის, რომ მოხდეს ტრანსცენდენტალური აღნიშნულის დეკონსტრუქცია, საჭიროა ენის გათავისუფლება „მნიშვნელობის ტელეოლოგიისგან“ იმის ჩვენებით, რომ სინტაქსი არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სემანტიკას დაქვემდებარებული რამ.

დეკონსტრუქცია გულისხმობს, რომ სისტემაში ცენტრალური - თავდაპირველი ან ტრანსცენდენტალური აღნიშნული არასოდესაა აბსოლუტურად მოცემული განსხვავებათა სისტემის გარეთ. ტრანსცენდენტალური აღნიშნულის არარსებობა უსასრულოდ აფართოვებს სიგნიფიკაციის მასშტაბებს (Lewis; Writing and Difference 354).

ჭეშმარიტება არსებითი კონცეპტია მხოლოდ ენის კონტექსტში: „ენის წარმოშობის შედეგად წარმოიქმნა აგრეთვე ჭეშმარიტება/სიმართლის კონცეპტიც“ (Ecrits 172). რასაც აქ ლაკანი გულისხმობდა ისაა, რომ სიმართლე არ არის ისეთი რამ, რაც მოცემულია ნიშანში, არამედ ის, რაც შექმნილია მეტყველების მიერ და მის შედეგად - „არ არსებობს არც ჭეშმარიტი და არც ყალბი მეტყველებამდე“. მაშინ, როდესაც მეტყველება ხსნის სინამდვილის განზომილებას, იგი იმასთანავე ხსნის მცდარობის განზომილებასაც. სინამდვილე მჭიდროდაა გადახლართული მცდარობასთან, რამეთუ მას (მცდარობას) შეუძლია მომეტყველე სუბიექტის სურვილების შესახებ ხშირად მეტი რამ გვითხრას, ვიდრე გულწრფელმა განცხადებებმა.

დერიდას მიხედვით „სინამდვილე/ჭეშმარიტება წარმოადგენს ურთიერთმიმართებას ენობრივ კონცეპტუალურ კონსტრუქტებსა და ენის მიღმა არსებულ სხვაობას (otherness) შორის. სინამდვილე არის ერთგვარი ნორმატიული

იდეალი, რაც წარმართავს ენის გამოყენებას, მაგრამ რომელსაც ვერასოდეს მოვიხელთებთ სრულად და აღვიქვამთ, როგორც არსებულს.

ლაკანი შემდეგნაირად ავლენს (მომეტყველე) სუბიექტის იდიოტიზმს: „სუბიექტი, რომელიც ბუნებრივად წარმოადგენს იდიოტს, რომლის გაგებაც შეუძლებელია ენის ზოგადი წესების მეშვეობით“

ლაკანის დასკვნით, მიუხედავად იმისა, რომ გაუცხოება ვრცელდება ადამიანური არსებობის ყველა ასპექტზე, სწორედ ენაა ის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის სრული და საფუძვლიანი გაუცხოება (Li Tang, 2011).

2.8. ჭეშმარიტობა-მცდარობა ენაში

რაც შეეხება ჭეშმარიტობა-მცდარობის დიხოტომიას ენის კონტექსტში, აქ შეიძლება ამგვარად დაისვას კითხვა: არის თუ არა მცდარობა ენაში თანდაყოლილი და ბუნებრივად დეტერმინირებული რამ, თუ იგი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სპეციფიკური ლინგვისტური სტრატეგია, რასაც კონკრეტული ევოლუციური სარგებელი მოაქვს მომეტყველე აგენტისთვის? (და ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივად დეტერმინირებული ფენომენს წარმოადგენდეს). ამ კუთხით, განვიხილავთ ტყუილის ფენომენს, როგორც ერთგვარ ევოლუციურ სტრატეგიას, აღებულს პოლიტიკური ქცევის (დისკურსის) კონტექსტში.

ამ კონტექსტში ტყუილი განიმარტება, როგორც ენის ორდინალური ფუნქცია. უპირველეს ყოვლისა, ტყუილის ფენომენი განიხილება, როგორც ორდინალური ლინგვისტური ქცევა, რომელსაც მომეტყველე ინდივიდისთვის კონკრეტული ფუნქცია გააჩნია. რიგ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნული ფუნქცია მიჩნეულია ერთგვარ ევოლუციურ სტრატეგიად, რომელიც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მომეტყველე ინდივიდს.

ზოგადად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ენის მიერ სოციალური რეალობის კონსტრუირების უნარი და აღნიშნულ პროცესში ტყუილის ფუნქციონალური დატვირთვა. რამდენადაც ენას გააჩნია სისწორის

იდენტიფიცირებისა და მისი შესაბამის კონტექსტში ჩასმის უნარი, მას შეუძლია (ახალი) სოციალური რეალობების შექმნაც. სწორედ ასევე ტყუილს, რამდენადაც იგი ეფუძნება წარმოსახვას, შეუძლია წარმოშვას ილუზიები როგორც ინდივიდში, ასევე სხვებშიც, რაც, როგორც წესი, მეტადრე დესტრუქციული ხასიათისაა. (C. Drummond, 2020)

ამასთანავე, ილუზიები შეიძლება იყოს: ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური, სოციალური. (ილუზია: "ცდომილება" სინამდვილის დამახინჯებულად, მცდარად აღქმა გრძნობათა მცდარობის შედეგად.) აქ ხდება განსხვავება ილუზიასა და დელუზიას შორის: *ილუზია არის აღქმითი დარღვევა, ხოლო დელუზია (ბოდვა) არის რწმენითი დარღვევა.*

საკითხი: როგორია ენის როლი ფსიქოლოგიურ-სოციალური ილუზიების გენერირებაში და კონკრეტულად კი, რა დატვირთვა აქვს ამ მხრივ ტყუილებს, როგორც (გარკვეულ) ენობრივ სტრატეგიებს?

მსჯელობას ვაგრძელებთ ტყუილის განმარტებით: ნებისმიერი მტკიცება (A), რომელიც არის შეგნებულად მცდარი (B) და წარმოითქმება მოტყუების (C) მიზნით.

- ტყუილი არის გარკვეული მტკიცება
- ტყუილი არის შეგნებული სიმცდარე
- მისი დანიშნულებაა შეცდომაში შეყვანა
- შეცდომაში შეყვანის განზრახვა წარმოადგენს ტყუილისთვის აუცილებელ ელემენტს. მცდარი დებულება შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე არ არის ტყუილი (ცდომილება, წამოცდომა).

ზოგადად, ტყუილის ფუნქციაცაა სოციალური ბენეფიტების მიღება, რაც გულისხმობს კონფლიქტურ გარემოებებში სხვათა ექსპლუატირების უნარს.

ტყუილის მეშვეობით თავს არიდებენ სინამდვილეს, ართულებენ მის გადმოცემას, აზვიადებენ გარკვეულ ფაქტებს და ეჭვქვეშ აყენებენ სხვებს. სოციალური ქცევის კონტექსტში განასხვავებენ პრო და ანტი-სოციალურ ტყუილებს. შესაბამისად, ყველა სახის ტყუილი არ განისაზღვრება, როგორც ანტისოციალური ქმედება. პრო-

სოციალური ტყუილების მიზანი არ არის სხვა ინდივიდებისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენება. (Levine & Schweitzer, 2015; Talwar & Crossman, 2011). სხვა სახის ტყუილებმა კი შეიძლება გამოიწვიონ სხვადასხვა დონის სოციალური დანაკარგები. (Vrij, 2008). ტყუილის დროს მატყუარა დამახინჯებულად წარმოაჩენს რაიმეს (ფაქტს) იმ მიზნით, რომ მოიპოვოს გარკვეული უპირატესობა, რასაც ვერ მოიპოვებდა სხვა შემთხვევში.

სხვადასხვა ორგანიზმები მანიპულაციას (ტყუილს) იყენებენ თავდაცვით სტრატეგიად საკუთარი სარგებლისთვის რესურსების მოპოვებისა და გენების გავრცელების მიზნით.

შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ევოლუციის რომელ მონაკვეთში ჩამოუყალიბდა ჰომო საპიენსს, როგორც სახეობას ტყუილის უნარი. თუმცა, შესაძლებელია დავუშვათ, რომ ენის წარმოშობამ თავისი სინტაქსური და კომპოზიციური თვისებებით შესაძლებელი გახადა აღნიშნული უნარის მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბებაც. კონტრფაქტუალური ლოგიკით აზროვნება შეიძლება ქმნიდეს მანიპულაციისა და ტყუილის საფუძველს ადამიანში, ზოგადად. კონტრფაქტუალური აზროვნება ფოკუსირებას ახდენს იმ ფაქტებზე, რომლებიც არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ დროს ლოკალიზდება ტვინის ის სეგმენტები, რომლებიც პასუხისმგებელია შემაკავებელ კონტროლსა და ოპერატიულ მეხსიერებაზე (Briazu, Walsh, Deeprose, & Ganis, 2017). ტყუილებსა და მანიპულაციასთან დაკავშირებული მექანიზმები გარკვეულ კორელაციაშია ონტოგენეტიკურ განვითარებასთან (Debey, Schryver, Logan, Suchotzki, & Verschuere, 2015). იგივე კავშირი ნათლად ფიქსირდება ფრონტალური ფუნქციების დარღვევების მქონე პაციენტებში, რიგი დეგენერაციული დაავადებების ჩათვლით (Abe, 2009).

ტყუილმა შესაძლოა ხელი შეუწყო ენის სოფისტიკაციას (Dor, 2017). ვინაიდან მოსალოდნელი იყო ინდივიდებს შორის კოოპერირება, ეფექტური კომუნიკაციის კონტექსტში სხვათა განზრახვების შეფასებამ ადაპტაციური მნიშვნელობა შეიძინა. მეტი ლინგვისტური რეკურსია გახდა განსხვავებული პერსპექტივების უკეთ კოორდინირების მრავალფუნქციური საშუალება, რომელმაც გარკვეული საკომუნიკაციო უპირატესობა მიანიჭა იმ ინდივიდებს, რომლებიც მეტად იყვნენ

გაწაფული ტყუილში, ისევე როგორც მათ, რომლებსაც უკეთ შეეძლოთ ტყუილების გამოცნობა.

ენას გააჩნია წარმოსახვითი პროცესის წარმართვის უნარი. ამასთანავე, ტყუილი შეიძლება გულისხმებოდეს ალტერნატიული სცენარების წარმოსახვას და აღნიშნული ფუნქცია უზრუნველყოფილ იქნას ლინგვისტური დერივაციის მეშვეობით. ამ მოსაზრების მიხედვით, არსებობს პრო-სოციალური ტყუილები, რომლებიც ხელს უწყობენ ჯგუფის შიგნით თანამშრომლობის შენარჩუნებას (Levine & Schweitzer, 2015).

რადგანაც ხსენებული პროცესები წარმოიქმნა თანადროულად, ვერ ვამტკიცებთ, რომ ტყუილი აუცილებლად უნდა ყოფილიყო პრო-სოციალური ქმედების ხელისშემშლელი ფაქტორი ევოლუციურ პროცესში. რადგანაც ადამიანის ტვინმა განივითარა კონტრფაქტუალური აზროვნების, შესაძლებლის თაობაზე ვარაუდის უნარი, ამის პარალელურად, ლინგვისტური რეკურსიის მეშვეობით განვითარდა მანიპულაცია-სიცრუის უნარიც (Dor, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ საკითხის თანამედროვე გაგება მიიჩნევს, რომ ევოლუციური პროცესი უპირატესობას ანიჭებდა ინდივიდებში სიცრუის, ისევე როგორც მისი გამოცნობის უნარებს ინტერპერსონალური ურთიერთობების კონტექსტში, მაინც ვერ ჩაითვლება, რომ (დღეს) ადამიანები ფლობენ ტყუილების გამოცნობის ეფექტურ უნარს (Moi & Shanks, 2015).

ზოგადად, დისკურსი და მასთან დაკავშირებული ლინგვისტური სტრატეგიები შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ევოლუციური უპირატესობის ერთერთი საშუალება, როდესაც ინდივიდი ცდილობს გამოიყენოს საკუთარი ლინგვისტური შესაძლებლობები სხვებზე (ზე)გავლენისა და შესაბამისად - ევოლუციური უპირატესობის მოსაპოვებლად. ძირითადად კი ამგვარი სტრატეგიები გამოიხატება ძალაუფლებრივ ინტერაქციასა და მანიპულაციებში, სადაც ენობრივი თამაში გვევლინება უპირატესობის მოპოვების უმთავრეს საშუალებად.

დისკურსების მანიპულაციურობის კონტექსტში საინტერესო იქნება იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შეიძლება იგი მიჩნეული იქნას ერთგვარ ევოლუციური სტრატეგიად, რომელიც კონკრეტულ მიზანს ემსახურება.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ენის ფორმირებასთან ერთად მოხდა ამავე თვისების წარმოქმნა ადამიანში. კონტრფაქტუალური ლოგიკით აზროვნების შესაძლებლობა შეიძლება იყოს სიცრუის გამოხატულების მთავარი საფუძველი ადამიანში, როგორც სახეობაში. კონტრფაქტუალური აზროვნება ფოკუსირებდება იმ ფაქტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ მომხდარა, მაგრამ შეიძლება მომხდარიყო. ამგვარი აზროვნებისას ხდება ტვინის იმ ნაწილების ლოკალიზება, რომლებიც პასუხისმგებელია შემაკავებელ კონტროლზე და მუშა მეხსიერებაზე, ისევე როგორც ტყულიებისას. სიცრუესთან და კონტრფაქტუალურ აზროვნებასთან დაკავშირებული მექანიზმები გაძლიერდნენ ზოგადად ონტოგენეტიკური განვითარების პარალელურად. იგივე სახის კავშირი ვლინდება იმ პაციენტებში, რომლებსაც გააჩნიათ დაზიანებები ტვინის ფრონტალურ ფუნქციებში, რიგი დეგენერაციული დაავადების ჩათვლით. (S. Vasconcellos, M. Rizzatti, T. Barbosa, B. Schmitz, 2019)

ის მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ენას, შესაძლოა განვითარდნენ ჩვენი პრიმატი წინაპრების სოციალური უნარებიდან და ცოდნიდან. ცოდნა (მათ შორის სოციალური უნარები) წინ უსწრებს ენას, იგი არსებითად პრე-ლინგვისტური მოცემულობაა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ცნობიერება წინ უსწრებს ენას.

მიჩნეულია, რომ მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ენას, არ წარმოქმნილან ერთბაშად, არამედ დაეფუძნენ უკვე არსებულ კოგნიტურ უნარებს. მაგალითისთვის, ნეიმეიერი[1], პინკერი და ბლუმი [2] ვარაუდობენ, რომ თავისი წარმოქმნის პროცესში „გრამატიკამ გამოიყენა კონცეპტუალიზაციის უკვე არსებული მექანიზმები“ (R. Seyfarth, Dorothy L. Cheney and Thore J. Bergman, 2005).

აქ შევეხებით ტყუილის ფენომენს (პოლიტიკურ) დისკურსში, როგორც მის ერთერთ მახასიათებელს. ზემოთ უკვე ნახსენები იქნა, რომ აზროვნებას ახასიათებს ცდომილებანი, როგორც უნებლიე დამახინჯებანი მსჯელობაში. თუმცა, უნდა

შევეცადოთ გავარკვიოთ, არის თუ არა ცდომილებები მსჯელობაში და შესაბამისად - აზროვნებაში, ობიექტურად უნებლიე, თუ შეიძლება ისინი შეგნებულად იყოს დაშვებული (მომეტყველე) აგენტის მიერ.

ყოველივე აღნიშნულთან მიმართებაში უნდა დავსვათ შემდეგი სახის კითხვები: არის თუ არა ტყუილები (როგორც ფაქტობრივი შეუსაბამობანი პოლიტიკურ დისკურსში) შეგნებული ევოლუციური სტრატეგია, თუ გაუცნობიერებელი კოგნიტური ცდომილებანი?

დამახინჯება / გაუკუღმართება) (distortion) - ფაქტების, აღქმის, აზრების ან ზრახვათა იმგვარად შეცვლა, რომ ისინი არ შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ ახსნას, ან ზოგადად მიღებულ აღქმას. დამახინჯება შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი პროცესი, ან ორივეს შერწყმას წარმოადგენდეს.

როგორც მოყვანილი დეფინიცია გვიჩვენებს, დამახინჯებები შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი (უნებლიე). ჩვენ ამოვდივართ მეორე მტკიცებიდან და მისივე კონტექსტში განვიხილავთ დამახინჯებებს **(distortion)** პოლიტიკურ დისკურსთან მიმართებაში. მეტიც, მიმოხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მომეტყველე აგენტის მიერ ფაქტებისა თუ მსჯელობის შეგნებულ დამახინჯებებს ვუკავშირებთ ტყუილს, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ერთერთ ფუნქციას. მოცემულ შემთხვევაში კი ტყუილი/სიცრუე განისაზღვრება როგორც ენის მეორეული ფუნქცია, რომელსაც კონკრეტული ევოლუციური დანიშნულება გააჩნია.

ის, რაც წარმოადგენს ცდომილებებს აზროვნებაში ან შაბლონურ დამახინჯებებს მსჯელობაში, რომლებიც სისტემატიურად წარმოიშვება გარკვეულ სიტუაციებში, უნდა მივიჩნიოთ კოგნიტურ დამახინჯებებად. კოგნიტური დამახინჯებები წარმოადგენს ევოლუციურად ჩამოყალიბებული მენტალური ქცევის ტიპს. ზოგიერთი მათგანი ასრულებს ადაპტაციურ ფუნქციას, რამდენადაც ისინი იძლევიან უფრო ეფექტური ქმედებების და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. სხვანი კი, სავარაუდოდ წარმოიქმნებიან აზროვნების შესაბამისი

უნარების არარსებობის ან მანამდე სასურველი უნარების შეუსაბამო გამოყენების შედეგად.

2.9. ტყუილი/სიცრუე, როგორც ენის მეორეული ფუნქცია

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანური ენის პირველადი ბიოლოგიური ფუნქცია არის მოტყუება და კონკურენტების მანიპულაცია. ტყუილი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პროსოციალური (სოციალური კავშირების განმტკიცება), ასევე ანტისოციალური მიზნებისთვის.

ენის ევოლუციის კონტექსტში ეს განსხვავება ხშირად მოიხსენიება, როგორც განსხვავება **პირველად** და **მეორეულ ფუნქციებს** შორის (Origgi and Sperber, 2000). რიგი მკვლევარების მტკიცებით ცხოველთა კომუნიკაციის სისტემების უმეტესობა ვითარდებოდა ძირითადად მოტყუება/მანიპულაციის ფუნქციის მხრივ. (Dawkins and Krebs, 1978; Krebs and Dawkins, 1984).

ამ ჰიპოთეზის თანახმად, მოსაუბრემ (სიგნალის გადამცემი) შეიძლება ნახოს სარგებელი სიგნალის მიმღებსა და რეალობას შორის ნორმატიული ურთიერთმიმართების მოშლით, ხოლო თავად სიგნალის მიმღები კი ამგვარი ცდომილება-დამახინჯებების შედეგად მნიშვნელოვან დანაკლისს იღებს (Searcy and Nowicki, 2005). იმავე პერსპექტივის მიხედვით, კომუნიკაცია განიმარტება როგორც იმგვარი ურთიერთქმედება, რომლის ფარგლებშიც გადაცემული ინფორმაცია წარმოშობს ფუნქციონალურ შედეგებს ძირითადად მისი გადამცემისთვის: „კომუნიკაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინფორმაციის გადამცემი ზემოქმედებს ინფორმაციის მიმღების გრძნობის ორგანოებზე იმგვარად, რომ ამ უკანასკნელის (მიმღების) ქცევა იცვლება პირველის სასარგებლოდ“ (Dawkins and Krebs, 1978, p. 283).

ტაქტიკური ტყუილი - როდესაც ცდილობენ რაიმეს, ქმედებისა თუ გრძნობის დამალვას. ტაქტიკური ტყუილი განიმარტება როგორც „აგენტის ქცევის ჩვეული ტიპი, რომლის შედეგადაც მეორე ინდივიდი მცდარად აღიქვამს პირველის ქმედებებს, რასაც

სარგებელი მოაქვს აგენტისთვის (პირველისთვის)“. ტაქტიკური ტყუილის შემთხვევაში ცრუ (გამაფრთხილებელი) სიგნალები იგზავნება საკვებისა და რეპროდუქციული შესაძლებლობების ხელში ჩაგდების მიზნით (N. Oesch, 2016).

ამგვარად, არსებობს პროსოციალური ტყუილი (როგორც წესი, გამოიყენება სოციალური კავშირების გასამყარებლად/შესანარჩუნებლად) და ანტისოციალური ტყუილი. ტყუილის ფუნქციაა კონკურენტების მანიპულირება, მათზე ზემოქმედება. (ibid)

აქ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს პოლიტიკურ დისკურსში ანტისოციალური ტყუილების როლი, ზოგადად.

ლინგვისტური მანიპულაციების საბოლოო მიზანია (პოლიტიკურ) კონკურენტებზე უპირატესობის მოპოვება და ძალაუფლების გამტკიცება, ძალაუფლების გამტკიცებაში კი იგულისხმება მატერიალურ რესურსებზე წვდომა.

პოლიტიკოსებითვის ენა/დისკურსი წარმოადგენს განსაზღვული ტიპის რესურსს, რომელსაც ისინი იყენებენ ძალაუფლების/მატერიალური გავლენის მოპოვების მიზნით.

„ენათა ვარიაციები, ენობრივი გამოთქმები, აქცენტები და მათი მატერიალიზაციები ერთობ ჰგავს ბაზარს - ენობრივ ბაზარს. ბაზრის მეტაფორა გულისხმობს, თუ როგორც შეიძლება ეს ლინგვისტური რესურსები გამოყენებულ იქნას სხვა სახის მატერიალური თუ სიმბოლური სიკეთეების მოსაპოვებლად“ (Park & Wee 2012: 27)

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ცვლილებები რომელიმე კონკრეტულ დომინანტურ იდეოლოგიაში ყოველთვის არ ახდენენ გავლენას სხვა დისკურსებზე. მაგრამ, აქ სახეზეა აშკარა წინააღმდეგობა სტანდარტების დადგენის კუთხით, მეტადრე იმაში, თუ ვინ ადგენს სტანდარტებს და რამდენად ხდება მათი იმპლემენტირება ზოგად პრაქტიკაში („სახელთა რექტიფიკაცია“ - კონფუცი). ამ კონტექსტში, დისკურსი განხილულ უნდა იქნას ინსტიტუციონალური

განზომილების ფარგლებში. მაგალითისთვის, როგორც ბოლო მოვლენებმა აჩვენა, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის (რიგი) რელიგიური ინსტიტუციების მიერ დადგენილი სტანდარტები. სახეზეა დისკურსებს შორის დომინანტობისთვის დაპირისპირება, უფრო სწორად კი, ერთი დისკურსის მიერ მეორეს მხრიდან დადგენილი წესების მიუღებლობა, როდესაც პირველი (რელიგიური) საკუთარი დომინანტობის მიმართ საფრთხედ აღიქვამს მეორეს მიერ (ჯანდაცვის ორგანიზაცია) დადგენილ სტანდარტებს. აქ **დისკურსს** ვიყენებთ **ცხოვრების ფორმის** თანაფარდ ცნებად (ცხოვრების ფორმა - ეგზისტენცია). მაგალითად, პანდემიამ ცხადყო, რომ მეტა-მაგიური აზროვნება, როგორც ცხოვრების განსაზღვრული ფორმა უარყოფს ემპირიულ მონაცემებს და ამით, არსებითად, უარყოფს რეალობასაც. აქ მეცნიერულ დისკურსს (და აზროვნებას) უპირისპირდება რელიგიური დისკურსი და აზროვნება.

ამგვარ ვითარებაში ნებისმიერი ემპირიული მოცემულობა, ფაქტი, ხდება პოლიტიკური ინტერპრეტაციის ობიექტი. ჭეშმარიტება აღარ არის თავისთავად ცხადი რამ, არამედ იგი ექვემდებარება ინტერპრეტაციასა და გამრუდებას. თუმცა, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია ემპირიული მოცემულობის ინტერპრეტაცია სხვადასხვა დისკურსის მიერ, ამით დამდგარი შედეგები არ იცვლება, ისინი ყოველთვის ისეთია, როგორიც არის. რეალობა არ არის დამოკიდებული დისკურსულ ინტერპრეტაციაზე. აქ სიტყვა ვერ ქმნის რეალობას, იგი არ არის მისი (რეალობის) განმსაზღვრელ-მაკონსტრუირებელი. ამ შემთხვევაში ენა შეიძლება იყოს მხოლოდ აღმწერი რეალობისა. ისინი კი, ვინც თვლიან, რომ სიტყვით შეუძლიათ იმოქმედონ რეალობაზე, იმყოფებიან აზროვნების მეტა-მაგიურ ფაზაში. ეს კი არის აშკარა შეუსაბამობა რეალობასთან ადაპტირების მხრივ. ამგვარი უარყოფა, არცთუ იშვიათად შეიძლება გახდეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხიც კი.

ქვემოთ შევეცდებით განსხვავებული დისკურსები და მათი ერთმანეთთან ინტერაქცია წარმოვადგინოთ სქემატური სახით.



სქემა 4: პირველადი (დომინანტი) და მეორადი დისკურსები





იდეოლოგიური ნიშნის მიხედვით იყოფიან მემარცხენე/მემარჯვენე დისკურსები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ რომელიმე კონკრეტული ნარატივის გაგრძელებებს. იდეოლოგიური ნიშნის მიხედვით შეიძლება საუბარი შემდეგი სახის ნარატივებზე: სოციალისტურ/კომუნისტური, კონსერვატიული, ლიბერალურ/დემოკრატიული.

(კონკრეტული) ნარატივებისგან გამომდინარეობენ შესაბამისი დისკურსები: ლიბერალურ/დემოკრატიული ნარატივი წარმოშობს, საფუძველს უდებს მწვანე, ლგბტ, ფემინისტურ (ემანსიპატორულ) დისკურსებს. კონსერვატიული ნარატივიდან წარმოიშობა რელიგიურ-ნაციონალისტური დისკურსები. ამასთანავე, შესაძლებელია დისკურსებსა და შესაბამის ნარატივებს შორის ვარიაციების არსებობა. მაგალითად, ნაციონალისტური დისკურსი შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც კონსერვატიული, ასევე ლიბერალური ნარატივებისგანაც.

აქ მთავარი აზრი არის ის, რომ კონკრეტული ნარატივები შესაბამისი დისკურსების მეშვეობით იწარმოებიან.



იკვეთება ლოგიკური ბმა შესაბამის ელემენტებს შორის: იდეოლოგიები - ნარატივები - დისკურსები

ამასთანავე, თითოეულ დისკურსს საკუთარი ენობრივი თამაში გააჩნია, ანუ თითოეული დისკურსი ოპერირებს შესაბამისი ენობრივი თამაშის ფარგლებში და მისი მეშვეობით.

შევეცადოთ მაგალითების მეშვეობით ვაჩვენოთ ბმა კონკრეტულ დისკურსებს, ენობრივ თამაშებსა და ცხოვრების ფორმებს შორის.

მაგალითისთვის, რას წარმოადგენს სამართალი? განვიხილოთ აღნიშნული ცნება, როგორც კონკრეტული სოციალური პრაქტიკისა. სამართალი არის გარკვეული

სახის სოციალური პრაქტიკა. ამ კონტექსტში, ვიტგანშტაინისეულად სოციალური პრაქტიკები შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ენობრივი "თამაშები". ისინი თამაშებად ითვლება იმ გაგებით, რომ ჩვენ ვერთვებით მათში სხვებთან ერთად წინასწარ ნაგულისხმევი წესების მიხედვით (ესე იგი, ჩვენ შეიძლება არასოდეს მოვახდინოთ მათი ფორმულირება). ისინი არ არის უბრალოდ ისეთი თამაშები, რომლის მეშვეობითაც ვცდილობთ ოპონენტების დამარცხებას. ამასთანავე, თითოეულ ენობრივ თამაშს გააჩნია რაიმეს მტკიცების საკუთარი კრიტერიუმი ან სტანდარტი.

ყველა აღნიშნულ (ენობრივ) თამაშს გააჩნია განსაზღვრული დატვირთვა ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა ინდივიდები განსხვავებულ თამაშებს განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ (აქ მთავარია ის, თუ რომელ მათგანს მიენიჭება დომინანტური სტატუსი). ამას, როგორც წესი "ღირებულებითი პრეფერენცია" ეწოდება. მაგალითად, რელიგიური ინდივიდი უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს "ღვთისმოსაობას" - "სამართლიანობასთან" შედარებით. ფილოსოფოსთა უმრავლესობა კი ფიქრობს, რომ აუცილებელია უპირველესი ადგილი მივანიჭოთ მორალის ენობრივ თამაშს ყველა სხვასთან შედარებით.

იურისპუდენცია, როგორც ასეთი, წარმოადგენს ენას, თუმცა, არა მხოლოდ ენას, არამედ განსაკუთრებული სახის ენას, რადგანაც იურისპუდენცია არის სიტყვების მეშვეობით ადამიანური ქმედების/რეალობის სტრუქტურირების მცდელობა. როდესაც კანონმდებელი ქმნის კანონს, ან სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, ეს არის ინდივიდთა სტატუსის შეცვლა, სხვა ინდივიდებთან, ქონებასთან და ნივთებთან, სახელმწიფოსთან მიმართებაში მათი ურთიერთობის შეცვლა.

იურისპუდენციის ენა არა მხოლოდ აღწერს ქმედება-ურთიერთმიმართებებს. როდესაც შესაბამისი სამართლებრივი ლეგიტიმაციის მქონე პირი გამოთქვამს ფორმულას "ამიერიდან გაცხადებთ შეუღლებულებად", იგი რასაკვირველია აღწერს მის წინაშე მდგომ ორ პირს შორის დამყარებულ ურთიერთმიმართებას. მაგრამ, ამასთანავე, ეს არ არის მისი სიყვების ერთადერთი ინტენცია ან შედეგი.

ეს სიტყვები არა მხოლოდ აღწერენ ურთიერთობებს, ისინი მას ქმნიან კიდეც. შესაბამისად, სამართლებრივი ენა არ არის მხოლოდ აღწერითი; იგი ამასთანავე ინსტრუმენტულიცაა. საგულისხმოა, რომ ლეგალური ენის ეს ინსტრუმენტული თვისება, მისი სიტყვების ძალა მოახდინოს რეალობის სტრუქტურირება, საფუძვლად უდევს ყველა სამართლებრივ დავას და ამასთანავე, სიყვათა ეს ძალა სამართლის თეორეტიკოსების მიერ ასე იშვიათადაა განხილული. იურისპუდენციის ენა ტრადიციულად მიიჩნეოდა უფრო აღწერითად, ვიდრე ინსტრუმენტულად.

ენობრივი თამაში, როგორც ენისა და აქტივობის კომბინაცია, შეიძლება აგრეთვე განხილულ იქნას როგორც კონტექსტი ან წყობა, რომელშიც ენა გამოიყენება. თუკი სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა ნიშნავს იმის ცოდნას, თუ როგორ გამოვიყენოთ ის სიტყვა ენობრივ თამაშში ან გარკვეულ კონტექსტში. გამოდის, რომ სიტყვებს გააჩნიათ მნიშვნელობა მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციასა თუ წყობაში.

რეალური სიტუაციებისგან აბსტრაგირებული წინასწარგანსაზღვრული დეფინიციები ვერ მიანიჭებენ სიტყვებს მნიშვნელობებს. ეს მნიშვნელობები ვერც აბსტრაქტული აღწერით-დეკლამაციური ენობრივი თამაშით დაისწავლება. მაგალითად, ბავშვი ერთობ მცირე ოდენობის სიტყვას სწავლობს პირდაპირი მითითებით. იგი ენას სწავლობს მეტყველების პროცესში, როდესაც ზრდასრულები იყენებენ სიტყვებს რეალურ სიტუაციებში.

სიტყვები მნიშვნელობას იძენენ იმ ენობრივი თამაშებისგან, რომლებშიც ისინი გამოიყენებიან, ხოლო ენობრივი თამაშების გარეთ მყოფი სიტყვები მნიშვნელობისგან დაცლილ აბსტრაქციებს წარმოადგენენ.

როდესაც ენა შორდება იმ ენობრივ თამაშს, ან კონტექსტს, რომელშიც იგი ოპერირებადია, ასეთი ენა უბრალო აბსტრაქციად გადაიქცევა, რომელსაც არანაირი კავშირი აღარ გააჩნია რეალობასთან.

როდესაც იცვლება კონტექსტი, შეიძლება აგრეთვე შეიცვალოს მნიშვნელობაც. იურისპუდენციის განხილვა, როგორც ენისა, ხოლო თავის მხრივ კი ენის ვიტგენშტაინისეული პერსპექტივიდან აღქმა შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ

სამართლებრივი და კონსტიტუციური ცვლილებები, როგორც ნორმალური და მოსალოდნელი შედეგი იმისა, თუ როგორ ვიყენებთ კონკრეტულ სიტყვებს.

ის, ვინც წინასწარ განსაზღვრავს იმას, თუ როგორ გამოიყენებენ სამართლებრივ ენას სასამართლოები უშუალო სამართლებრივ ენობრივ თამაშებში, დაეუფლება ლეგალურ ენას.

ვიტგენშტაინი მოითხოვს, რომ არ მოხდეს სიტყვათა მნიშვნელობების მოძიება ფიქსირებულ განსაზღვრებებში. ნაცვლად ამისა, "სიტყვათა გამოყენებამ უნდა გვასწავლოს მათი მნიშვნელობა". სიტყვები არ წარმოადგენენ ცნებათა ხატებს ან ნიშნებს; სიტყვები ის ინსტრუმენტია, რომელთა მნიშვნელობაც უნდა იქნას გაგებული იმ კონტექსტიდან, რომელშიც ისინი გამოიყენება. (D. Stroup, 1984)

განსხვავებული სახის მტიკცებებს საფუძვლად უდევთ განსხვავებული დებულებები, აქედან გამომდინარე შეცდომაა გაანსხვავებულ მტკიცებათა შეფასება ერთსა და იმავე წესებზე დაყრდნობით, ერთი და იგივე პროცედურების მიხედვით. ამ მხრივ, ვიტგანშტაინი უფრო შორს მიდის ვიდრე კარნაპი. კარნაპის მოსაზრებით ნებისმიერი ლინგვისტური ფრეიმი თავის თავში მოიცავს კონკრეტულ ონტოლოგიებს და შესაბამის მტკიცებებს. ჭეშმარიტება იგივეობრივია ნებისმიერ ფრეიმში და თითოეულ მათგანს თანაბრად მიესადაგება ლოგიკის წესები. თუმცა, ვიტგენშტაინის მოსაზრებით, შეცდომაა ყველა ენობრივი თამაშის, როგორც მტკიცებითი სტრუქტურის განხილვა. მის მიერ ენის განსხვავებული გამოყენებების ჩამოთვლისას სიის ბევრი ელემენტი არ არის განსაზღვრული, როგორც მტკიცებითი სტრუქტურა, და სწორადაც. "როდესაც იცვლებიან ენობრივი თამაშები, ხდება ცვლილება შესაბამის ცნებებშიც, ცნებების ცვლილებასთან ერთად კი იცვლება სიტყვათა მნიშვნელობა".

მაგალითად, ვიტგენშტაინი განიხილავს რელიგიის ენას. მისი მოსაზრებით რელიგიის ენა წარმოადგენს ცალკე ენობრივ თამაშს (უფრო კონკრეტულად - თითოეული რელიგია განსხვავებული ენობრივი თამაშია) რომელიც განსხვავდება რეალობაზე ორდინალური საუბრისგან. ვინმე, ვინც რელიგიური ენობრივი თამაშის

გარეთაა, უბრალოდ ვერ უარყოფს მტკიცებას, რაც რელიგიური ენის შიგნით კეთდება. გარე-რელიგიური მტკიცება არ არის, და არც შეიძლება იყოს შიდა-რელიგიური მტკიცების უარყოფა.

რომლებია განსხვავებული ენობრივი თამაშები? ვიტგენშტაინი იძლევა ენის გამოყენების რამოდენიმე ფორმას, თუმცა არ არის ნათელი ის, რომ ისინი ქმნიან განსხვავებულ ენობრივ თამაშებს. თამაშების მეშვეობით ჩვენ ნათლად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ წესებიც და შესაბამისად, ცხადი ხდება, თუ როდის გვაქვს საქმე განსხვავებულ (ენობრივ) თამაშებთან. მაგრამ, არის თუ არა, მაგალითად, ლოცვა ასე მკაფიოდ განსხვავებული, ვთქვათ, თხოვნისაგან? ჩვენ ვერ ჩამოვწერთ მკაფიოდ ლოცვის და (მო)თხოვნის წესებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ენობრივი თამაშების მრავალფეროვნება ზოგადად ადექვატური ლინგვისტური თეორიაა, რელიგიური ენა მაინც ვერ მიიჩნევა განსაკუთრებულ და ცალკე ენობრივ თამაშად იმ დოზით, რითიც მას საკუთარი წესები გააჩნია. როგორც მინიმუმ, პირველი წყობის ლოგიკური კანონზომიერებები ისევე მიესადაგება რელიგიურ დისკურსს, როგორც ყველა სხვა ტიპის დისკურსებს.

თუკი რელიგიური დისკურსი არ არის ლოგიკური განსჯის საგანი ისე, როგორც არიან სხვა ტიპის დისკურსები, მაშინ რელიგიური დისკურსის ფარგლებში წამოყენებულ არგუმენტებს არ გააჩნიათ არანაირი გავლენა ამავე დისკურსის გარეთ მყოფებზე.

მასვე ეკუთვნის ავტონომიური ენობრივი თამაშის ცნება, რომელსაც საკუთარი წესები გააჩნია და ეს წესები მხოლოდ მისი მოთამაშეებისთვისაა გასაგები. ამის მიხედვით, ენობრივი თამაშის გარეთ მყოფი სუბიექტები ვერ გაიგებენ იმავე თამაშის წესებს მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანი იყენებს საერთო მნიშვნელობის მქონე ერთსა და იმავე სიტყვებს.

არსებობდეს შეთანხმება ცხოვრების ფორმებთან მიმართებაში ნიშნავს გარკვეული საბაზისო ასპექტების თავისთავად მიღებას.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რომელ ენობრივ თამაშშია ესა თუ ის წინადადება სვლა მანამ, სანამ იგი რაიმეს გვეტყოდეს. არის თუ არა იგი თხრობა, სიზმრის გადმოცემა, ბრძანება თუ დაკრძალვის სცენა - ცხოვრების რომელ ფორმას ეფუძნება კონკრეტული სიტყვის გამოყენება? (A. Barua, 2001)

ვიტგენშტაინი გვაჩვენებს, რომ ენობრივი თამაშები მრავალგვარია, ე.ი. ის ფორმები, თუ როგორ ვიყენებთ სიტყვებსა და წინადადებებს. მაგალითად, ესენია ლოცვა, წყევლა, ხუმრობა, ბრძანებების გაცემა, საგნის აღწერა და ა.შ. კითხვაზე, თუ რა არის თითოეული ამ ენობრივი თამაშის არსი, იგი პასუხობს, რომ არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ რთულია განვსაზღვროთ მსგავსებები და ურთიერთმიმართებები ენობრივ თამაშებს შორის, მათი დადგენა მაინც შესაძლებელია ენობრივ თამაშებზე დაკვირვებით და მათი ერთმანეთთან შედარებით.

ორივე - ენაც და თამაშებიც ეფუძნებიან წესებს - შემ(ა)დგენელს ან რეგულაციურს და მათი ტექნიკები შეიძლება დასწავლილ იქნას. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი თამაშები წარმოადგენენ პრაქტიკებს ან თუნდაც ჩვევებს, რომელთა დაუფლებაც შესაძლებელია.

მნიშვნელობა არ არის განსაზღვრული ინტერპრეტაციით, არამედ იგი პრაქტიკის შედეგია. ეს იმას გულისხმობს, რომ ჭეშმარიტება ან მცდარობა ენაში არ ეფუძნება მოსაზრებათა შორის კონსენსუსს, არამედ იმ ცხოვრებისეულ ფორმას, რომელშიც იგია (ენა) მოცემული.

ცხადია, რომ რელიგია და მისი ლინგვისტური აქტივობები, ისეთები როგორიცაა ლოცვა, სიმღერა, ქადაგება და ა.შ., შეიძლება ჩაითვალოს ენობრივ თამაშებად (ან სულაც - ცხოვრების ფორმად). რელიგია არის ენის სპეციფიკური გამოყენება თავისი ლექსიკონით და დამახასიათებელი წესებითა და ტექნიკებით. მიუხედავად იმისა, რომ რელიგია წარმოადგენს ენობრივ თამაშს, რომელიც შეიძლება აღწერილ და შედარებულ იქნას სხვა ენობრივ თამაშებთან და რომელშიც მონაწილეობენ მორწმუნეები, ყველას შეუძლია დაოსტატდეს რელიგიურ პრაქტიკებში და ჩაერთოს მათში. (J. Hengstmengel, 2010)

როგორც წესი გაუგებრობა წარმოიშვება მაშინ, როდესაც ერთი "ენობრივი თამაშის" მტკიცების ინტერპრეტირება ხდება სხვა "ენობრივი თამაშის" წესების მიხედვით.

ვიტგენშტაინი ამტკიცებდა, რომ სიტყვები მნიშვნელობას იძენენ "ენობრივ თამაშებში" გამოყენებისას და რომ სიტყვებს თავისთავად არ გააჩნიათ თანდაყოლილი მნიშვნელობა - "სიტყვის მნიშვნელობა არის მისი გამოყენება ენაში." თითოეულ სიტყვას იმდენად გააჩნია მნიშვნელობა, რამდენადაც იგი გამოყენებადია კონკრეტულ ენობრივ თამაშში. ენობრივი თამაშის გარეთ არ არსებობს მნიშვნელობა. შეცდომა იქნებოდა მნიშვნელობის ძიება ენის გარეთ, რადგანაც ენის გარეთ გასვლა ნიშნავს მნიშვნელობის გარეთ გასვლას. ჩვენ შეიძლება შევეცადოთ ამა თუ იმ წინადადების გაანალიზება მასში რაიმე კონკრეტული მნიშვნელობის მოძებნის მიზნით, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ იმას ვაღწევთ, რომ ვთარგმნით მას სხვა "ენობრივ თამაშზე". (R. Crowther, 2020)

ენობრივ თამაშებზე მის ერთერთ ყველაზე ციტირებად ფრაზაში ლიოტარი წერს: "ენობრივი თამაშების შესწავლა გამოავლენს და ამყარებს ენის სეპარაციას საკუთარი თავისაგან. არ არსებობს ერთიანობა ენისა; არსებობენ მხოლოდ ენის კუნძულები, თითოეული მათგანი მართული განსხვავებული რეჟიმით, რომლებიც არ ითარგმნება სხვა რეჟიმებზე. ეს გაფანტულობა კარგია თავისთავად და მას პატივი უნდა ვცეთ. ლეტალურია, როდესაც ერთი ფრაზის რეჟიმი მოიპოვებს უპირატესობას სხვებზე ".

ვიტგენშტაინი - ენის ფუნქცია არ შემოიფარგლება რეალობის უბრალო აღწერით, ანუ დებულებათა გადმოცემით, რომელთა ჭეშმარიტება და მცდარობა შეიძლება შემოწმდეს; ენა გამოიყენება ბევრი სხვა "თამაშის" მიზნით - ხუმრობა, ლოცვა, დაპირება და ასე შემდეგ - რასაც მოგვიანებით უწოდეს "სამეტყველო აქტები", რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ. სხვადასხვა ენობრივ თამაშებს განსხვავებული ფუნქციები გააჩნიათ და ხასიათდებიან განსხვავებული წესებით, თუმცა ისინი ერთსა და იმავე "ენაში" თანაარსებობენ მაშინაც კი, როდსაც უჭირთ იმის გაგება, თუ რომელი თამაშია ჩართული კონკრეტულ მომენტში ("ხუმრობაა ეს თუ

მუქარა?). გაუგებრობები განსხვავებულ ენობრივ თამაშებს შორის შესაძლებელია, თუმცა ასეთი გაუგებრობები შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ ინდივიდები ოპერირებენ ერთი კონკრეტული ენის ფარგლებში.

ენის ნებისმიერ ადეპტს გააჩნია ენობრივი თამაშების გარკვეული "რეპერტუარი", უნარების კომპლექსური ნაკრები რომელიც შეძენილ იქნა ენის დასწავლის და სოციალიზაციის პროცესში. ესენი წარმოადგენენ ყველა შესაძლებელი სოციალური თამაშის ქვეჯგუფებს რომლებზეც ინდივიდს გააჩნია წვდომა ურთიერთქმედებისას.

ლიოტარი:

ენები გადათარგმნადია, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არ არიან ენები. ენობრივი თამაშები კი არ ითარგმნება, რადგანაც, რომ ითარგმნებოდნენ, მაშინ ისინი არ იქნებოდნენ ენობრივი თამაშები. მაგალითად, ჭადრაკის წესები და სტრატეგიები ვერ ითარგმნება ტენისის წესებზე და სტრატეგიებზე. იგივე ითქმის ფრაზებზე, რომლებიც არიან სვლები ენობრივ თამაშებში; არ შეიძლება მათემატიკური მტკიცებულების "გადათარგმნა" ნარაციაში. გადათარგმნა უკვე თავისთავად არის ენობრივი თამაში.

ვიტგენშტაინისთვის ენობრივი თამაშები არსებობენ ერთსა და იმავე ენაში; ისინი სამეტყველო აქტებია, რომლებიც შეიძლება იყენებდნენ ერთსა და იმავე სიტყვებს, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობებითა და აზრით. აგენტები შეიძლება თამაშობდნენ რამოდენიმე ენობრივ თამაშს, მათ შორის - ერთობლივად; სხვადასხვა თამაშებს, აგენტებსა და ინდივიდთა ჯგუფებს შორის არ არსებობს პირდაპირი მიმართება. ლიოტარის "კუნძულის" მეტაფორა გულისხმობს, რომ როდესაც ინდივიდი ოპერირებს კონკრეტული ენობრივი თამაშის "ფარგლებში", იგი მოწყვეტილია ყველა სხვას; როდესაც ორი ინდივიდი საუბრობს საკუთარი ენობრივი თამაშების პერსპექტივებიდან, ისინი საუბრობენ შესაბამისი განსხვავებულობებიდან გამომდინარე.

რა სახის ენობრივ თამაშს ვთამაშობთ? ვის თამაშს ვთამაშობთ? ვინ წყვეტს, თუ რომელი თამაში უნდა ვითამაშოთ? რა არის კონკრეტულ თამაშში არასწორი ქცევა/სვლა? თუკი ერთდროულად რამოდენიმე თამაშს ვთამაშობთ, რომელია სხვებზე უფრო აქტუალური? ვინ იღებს მონაწილეობას კონკრეტულ ენობრივ თამაშში (ან თამაშებში)? ვინ წყვეტს, თუ როდის "სრულდება" ენობრივი თამაში და ვინ "მოიგო" ან "წააგო" - და საერთოდ, არის თუ არა მთავარი (ამ) ენობრივ თამაშში მოგება და წაგება? (G. Gietzen, 2010)

თუკი უარვყავით გრანდ ნარატივები, ის, რაც დაგვრჩა, არის მიკრო-ნარატივები. მიკრო-ნარატივები, არსებითად, წარმოადგენენ ვიტგენშტაინისეულ "ენობრივ თამაშებს" - ლიმიტირებულ კონტექსტებს, რომლებიც გასაგებ წესებს ექვემდებარებიან.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, თითოეული დისკურსი კავშირშია და თავის თავსი მოიცავს კონკრეტულ იდეოლოგიურ ასპექტს. ამ ნხრივ, დისკურსები განსაზღვრული იდეოლოგიების გამტარებელნი არიან. მაგალითისთვის, ა) მედიცინის სფერო/სამედიცინო დისკურსი ავრცელებს არსებული სოციალური წყობის გამამართლებელ იდეოლოგიურ გზავნილებს; ბ) მედიცინის სფეროს გააჩნია სოციალური კონტროლის ფუნქცია და გ) იგი ზოგადად გამორიცხავს სოციალური კონტექსტის კრიტიკულ შეფასებას. სამედიცინო კონტაქტის ტექნიკური სტრუქტურა, როგორც იგი ტრადიციულად აღიქმება ჯანდაცვის პროფესიონალების მხრიდან, ნიღბავს ისეთ კიდევ უფრო ღრმა სტრუქტურას, რომელსაც შეიძლება ცოტა რამ ჰქონდეს სამედიცინო დარგის პროფესიონალების მიერ მათივე დისკურსისა და ქმედებების გაცნობიერებულობასთან. კონტექსტუალურ საკითხებთან მიმართებაში კრიტიციზმის არარსებობით იდეოლოგია და სოციალური კონტროლი სამედიცინო დისკურსში წარმოადგენს თანხმობის მიღწევის მეტწილად გაუცნობიერებელ მექანიზმს. (H. Waitzkin, 1989)

მოყვანილი მოსაზრება ადასტურებს იმ დებულებას, რომ არსებობს განსაზღვრული ურთიერთმიმართება დომინანტ და მეორად/დაქვემდებარებულ დიკსურსებს შორის. როგორც წესი, დომინანტურ დისკურსს წარმოადგენს ამა თუ იმ

საზოგადოების მმართველი კლასის დისკურსი (როგორც შესაბამისი (გრანდ)ნარატივის გამოვლინება), ხოლო ყველა დანარჩენი სახის დისკურსები (ან, თუნდაც - ნარატივები) მის ინტერესებს ემსახურებიან. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ დისკურსზე - იგი ემსახურება და ატარებს მმართველი კლასის (პოლიტიკურ) ინტერესებს შესაბამისი იდეოლოგიური დისემინაციის მეშვეობით. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, რელიგიური დისკურსი იქვემდებარებს სხვა ტიპის დისკურსებს (მაგალითად, სამედიცინო ან განათლებისას). ლაკანისეული ტერმინოლოგიით კი ხსენებული შეიძლება ამგვარად გადმოიცეს: ბატონის დისკურსი (მაგ. რელიგიური) იმორჩილებს უნივერსიტეტის, მედიცინის დისკურსებს ან მათ გარკვეულ სფეროებს.

მოსაზრება, რომ სამედიცინო მეცნიერებები "სოციალურად კონსტრუირებულია", არ არის ახალი (ფუკოს "კლინიკის წარმოშობა")

ეს მოსაზრება კი ასახავს დისკურსის კონსტრუირებულობას, როგორც სოციალური პრაქტიკისა და როგორც ძალაუფლებრივი ურთიერთობების საშუალებისა. (ფუკო)

ნათელია ის, რომ სამედიცინო თუ პოლიტიკურ დისკურსს, ისევე როგორც ნებისმიერ პროფესიულ დისკურსს ექნება ფუნდამენტურად განსხვავებული ლინგვისტური წესები. (ნ. მსახურაძე, 2014)

სამედიცინო და განათლების დისკურსების ინსტიტუციონალური კონტექსტების კონტურები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სახის ტექნო-რაციონალური დისკურსების ინსტიტუციონალური კონტექსტების აღწერის მიზნით, რომელთაც ასე უხვად აწარმოებს გვიანდელი კაპიტალიზმის "ცოდნაზე დაფუძნებული" საზოგადოებები.

მაგალითად, ლაკანის მიხედვით უნივერსიტეტის დისკურსს, როგორც თანამედროვეობის ჰეგემონურ დისკურსს გააჩნია არსებობის ორი ფორმა, რომლებშიც ხდება მისი შიდა წინააღმდეგობის ექსტერნალიზაცია: კაპიტალიზმი, ინტეგრირებული ნამეტის ლოგიკა, სისტემის მიერ საკუთარი თავის უწყვეტი კვლავ-

წარმოება და ბიუროკრატიული “ტოტალიტარიზმი“ - ტექნოლოგიური მმართველობა, ბიოპოლიტიკა.

(ყოველი) დისკურსი შეიცავს განსაზღვრულ იდეოლოგიურ მრწამსებს. ამასთანავე, “დომინანტი დისკურსი“ შექმნილია ძალაუფლების მქონეთა მიერ და იგი ხდება საკითხებზე მსჯელობის საყოველთაოდ მიღებული ფორმა, რადგანაც ხდება მისი უწყვეტად განმეორება.

საზოგადოების წევრები შეიძლება ვერ აცნობიერებდნენ რიგ დომინანტ დისკურსებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინდივიდები პირდაპირ კავშირში არიან გარკვეულ პროფესიულ ჯგუფებთან. მაგალითად, რიგითმა ინდივიდებმა ნაკლებად იციან სამედიცინო და იურიდიული ტერმინების უდიდესი ნაწილის მნიშვნელობები.

შესაბამისად, დისკურსიული სტრატეგიების კონტექსტში შეიძლება გამოიკვეთოს მრავალი სახის ურთიერთმიმართება, რომელთა ფარგლებშიც სახეზეა კონფლიქტი დომინანტ დისკურსსა და ინდივიდუალურ ღირებულებებს შორის; დომინანტი დისკურსი არ ტოვებს ადგილს ალტერნატიული მოსაზრებებისთვის და ინდივიდს უწევს მასზე დამორჩილება; ინდივიდები გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ცდილობენ დომინანტ დისკურსს დაპირისპირებული დიკსურსის(ების) ჩახშობას; რიგი ინდივიდები ითავისებენ დომინანტ დისკურსს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვანი კი უპირისპირდებიან მას და ა.შ.

რაც შეეხება კაპიტალისტის დისკურსის ინტერპრეტაციას (ლაკანისეული ოთხი დისკურსის ტიპოლოგიის მიხედვით), იგი განისაზღვრება როგორც “პერვერტირებული ბატონის მეტყველება“ ანუ, იგი უკვე აღარ წარმოადგენს სოციალურ კავშირს, არამედ გადაიქცა პარა-დისკურსად. სავარაუდოდ, აღნიშნულ მოსაზრებაში უნდა ვიგულისხმოთ გაუცხოების ცნება (მსგავსად მარქსისეული კონცეპტისა, როდესაც სახეზეა შრომის, როგორც სუბიექტის მიერ განხორციელებული აქტივობის მისგანვე გაუცხოება; ჩვენს შემთხვევაში კი ხდება დისკურსის გაუცხოება მეტყველი სუბიექტისგან).

როგორც ზემოთ უკვე იქნა ნახსენები, არსებობენ განსხვავებული ტიპის დისკურსები, თუმცა ზოგიერთ მათგანს მეტი ძალა და ლეგიტიმაცია გააჩნია. ამასთანავე, დისკურსი უნდა დავუკავშიროთ ძალაუფლების ცნებასაც, როდესაც (დისკურსის) მეშვეობით ინდივიდები მოიპოვებენ რესურსებსა და ძალაუფლებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დისკურსი არის პოლიტიკური პროდუქტი/რესურსი. (R. Greaves, 2012)

ფუკო და სხვა პოსტსტრუქტურალისტები ამტკიცებდნენ, რომ ნებისმიერ მოცემულ საზოგადოებაში იარსებებენ ერთმანეთთან დაპირისპირებული დისკურსები. რიგ მოაზროვნეთათვის დისკურსი უფრო მოქნილი ცნებაა, ვიდრე იდეოლოგია, რადგან იგი არ ახდენს ფოკუსირებას განსაკუთრებით ძალაუფლებრივ ბრძოლაზე განსხვავებულ სოციალურ კლასთა და გენდერებს შორის, ან სახელმწიფოსა და ინდივიდებს შორის. ნაცვლად ამისა დისკურსის ცნება ამტკიცებს, რომ ძალაუფლება გაფანტულია და რომ ძალაუფლებრივი კონფლიქტები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა დონეებზე. დისკურსს იდეოლოგიასთან შედარებით სხვა უპირატესობაც გააჩნია. დისკურსის ცნება გულისხმობს, რომ იდეები ახდენენ სოციალური სივრცეების სტრუქტურირებას და შესაბამისად, იდეებს შეუძლიათ ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ისტორიულ ცვლილებებში.

რადგანაც იდეებს შეუძლიათ გამოიწვიონ ისორიული ტრანსფორმაცია და არა უბრალოდ ასახონ ისინი, დისკურსის თეორია ითვალისწინებს იმ მცირედ ძვრებს, თუ როგორაა გამოხატული ის იდეები ენაში. შესაბამისად, ენა, ისევე როგორც სიმბოლური ურთიერთგაცვლის სხვა სახეები, წარმოადგენს დისკურსის თეორიის შესწავლის საგანს. აღნიშნული თეორიის მიხედვით ენა შეიძლება დაყოფილ იქნას დებულებათა და გამოთქმათა განსხვავებულ ფორმებად, რომლებიც მართულია წესებისა და კონვენციების ისეთი ერთობლიობებით, რაც მეტწილად გაუცნობიერებელია აგენტების მიერ. დისკურსის მკვლევარები ენაში სწორედ იმ მცირე სხვაობებზე მიუთითებენ, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ განსხვავება მეცნიერსა და იურისტს, ჟურნალისტსა თუ მარკეტოლოგს შორის.

მაგალითისთვის, მომეტყველე აგენტის დისკურსის გაანალიზებით შეიძლება დადგინდეს მისი გენდერული კუთვნილება, სექსუალურობა, ეთნიკური კუთვნილება, კლასობრივი მდგომარეობა და უფრო სპეციფიკურად, მის მიერ ნაგულისხმევი მიმართება გარემომცველებთან.

მაგალითად, სამედიცინო დისკურსი აძლევს ექიმებს გარკვეული ფორმით მეტყველების უფლებამოსილებას, რითიც ისინი მოიპოვებენ ავტორიტეტს თავიანთ პაციენტებზე. სერთიფიცირებული ადვოკატი მოიპოვებს ლეგალური დისკურსით ოპერირების უფლებას კომპლექსური განათლების მიღების, გამოცდათა სერიების ჩაბარებისა და სახელმწიფო კონტროლის გავლის შედეგად.

რადგანაც გარკვეული ტიპის დისკურსები კონრეტულ ინდივიდებს აძლევს რიგ საკითხებზე მსჯელობის უფლებამოსილებას ან როგორც მინიმუმ მათ მსჯელობას სპეიფიკურ საკითხებთან მიმართებაში იჯერებენ სხვები, დისკურსები მათ აგრეთვე ანიჭებენ შესაბამის სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ძალაუფლებასაც კი. ზოგადად, ექიმებს უჯერებენ როდესაც ისინი საუბრობენ ფიზიკურ ან მენტალურ სიჯანსაღეზე და ეს მათ აძლევს იმის უფლებამოსილებას, რომ ურჩიონ სხვებს გარკვეული ქმედებები ან ქცევის ტიპები.

დისკურსები შეიძლება დაიყოს ქვეკატეგორიებად. მაგალითად, შეიძლება ვისაუბროთ "სამეცნიერო დისკურსზე", როგორც ერთ მთელზე, ისევე როგორც "ფსიქიატრიულ დისკურსზე", როგორც პირველის ქვეკატეგორიაზე. (C. Whisnant, 2012)

პოსტსტრუქტურალისტ თეორეტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ლინგვისტური და სოციალური სტრუქტურები განუყოფელია - (ენის ცვლილება სოციალური სტრუქტურის გარდაქმნასაც გამოიწვევს).

აქ მოგვყავს პროფესიული დისკურსების ერთგვარი სტრუქტურული კლასიფიკაცია:

(1) პროფესიის შიგნითა დისკურსი - მაგალითად, ურთიერთობა აკადემიური სფეროს ექსპერტებს შორის.

(2) პროფესიათა შორისი დისკურსი - მაგალითად, ურთიერთობა ექიმებსა და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებს, ბუღალტრებსა და ინჟინრებს შორის.

(3) პროფესიონალებსა და არაპროფესიონალებს შორის დისკურსი - ურთიერთობა ადვოკატებსა და მათ კლიენტებს, ექიმებსა და პაციენტებს შორის.

პროფესიონალების მიერ გამოყენებული ენა/მეტყველების სტილი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მათი პროფესიული როლებისა და იდენტობების სოციალიზაციაში.

პროფესიონალების მიერ გამოყენებული მეტყველება თამაშობს მნიშვნელოვან როლს მათივე პროფესიული როლებისა და იდენტობების სოციალიზაციაში და როგორც ბევრი ამტკიცებს, პროფესიული დისკურსი არის პროფესიისადმი "ლიცენზირებული მიკუთვნებულობა" ან/და "იდენტობის ბანერი". ხსენებულის მიხედვით, ადვოკატი ფიქრობს როგორც ადვოკატი იმდენად, რამდენადაც იგი მეტყველებს, წერს და კითხულობს, როგორც ადვოკატი. სხვა პროფესიონალების მსგავსად მეტყველების დასწავლა ყოველთვის წარმოადგენს პირველ ნაბიჯს კონკრეტულ პროფესიაში დამკვიდრების მხრივ. (K. Kong, 2014)

ასევე, ნებისმიერ დისკურსს გააჩნია საკუთარი ლინგვისტური სტრატეგიები. ამ კონტექსტში შეგვიძლია დიკსურსისა და ენობრივი თამაშის ცნებების იდენტურ ცნებებად წარმოჩენა. თავის მხრივ კი, ნებისმიერი ენობრივი თამაში ასევე არის განსსაზღვრული ლინგვისტური სტრატეგია.

ამ კონტექსტში, კონკრეტული მაგალითების მოყვანით საგულისხმოა ის, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან დაპირისპირებული დისკურსები, ცდილობენ რა მოიპოვონ დისკურსული უპირატესობა ერთმანეთთან მიმართებაში. ამ

მხრივ საინტერესო მაგალითად გვესახება თანამედროვე განათლების სისტემასთან წინააღმდეგობაში მოსული კრეაციონისტული დისკურსი, რომელსაც, როგორც მსოფლმხედველობის განსაზღვრულ ტიპს, რელიგიურ საფუძველი გააჩნია.

კერძოდ, სახეზეა განათლების თანამედროვე (მეცნიერულ) პარადიგმაში ფსევდო-მეცნიერული დისკურსის შეჭრის მცდელობა. ამგვარი ფსევდო-მეცნიერული სწავლების მომხრეებად კი, როგორც წესი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფები გვევლინებიან, რომლებიც ცდილობენ სწავლების არსებული მეცნიერული მეთოდის გადაფასება-დეკონსტრუქცია საშუალო სკოლებში როგორც დასავლეთის განვითარებულ, ასევე სხვა განვითარებად სახელმწიფოებშიც და შეცვალონ იგი ფსევდო-მეცნიერული (თუ ანტი-მეცნიერული) სწავლების მეთოდით. ხსენებული დაპირისპირება კი განხილულ უნდა იქნას დისკურსული სტრატეგიებისა და დომინაციის კონტექტში, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ბრძოლას ძალაუფლებისთვის.

ხსენებულ დაპირისპირებაში ერთი თეორია (ევოლუციის თეორია) წარმოადგენს დომინანტს დისკურსს განათლების სფეროში, ხოლო მეორე (კრეაციონიზმი) არის მეორადი. აქ სახეზე გვაქვს მეორადი დისკურსის (კრეაციონიზმი) მიერ დომინანტის (მეცნიერული) დისკურსის დეკონსტრუქციის მცდელობა, რაშიც იგულისხმება ევოლუციის თეორიის შეცვლა კრეაციონიზმის პარადიგმით საგანმანათლებლო სისტემებში. ამგვარი ლინგვისტური სტრატეგიების ფარგლებში, კრეაციონიზმის ფსევდო-მეცნიერული სწავლება იყენებს სპეციფიკურ დისკურსულ სტრატეგიებს, რომელიც გულისხმობს მეცნიერული ცნებებების და ტერმინოლოგიის იმგვარად გამოყენების მცდელობას, როდესაც ისინი ამყარებენ მისივე (კრეაციონიზმის) ცენტრალურ არგუმენტს. ამგვარად და შესაბამისად, კრეაციონისტები ეთანხმებიან მეცნიერული მეთოდის ძირითად ობიექტურ მოცემულობებს, თუმცაღა, იყენებენ მათ საკუთარი ცენტრალური დებულების მტკიცებისათვის.

ცნობილია, თუ რა ტიპის ლინგვისტურ სტრატეგიას მიმართავენ კრეაციონიზმის ადეპტები სამეცნიერო დისკურსისა და კონკრეტულად მეცნიერების

დახასიათებისას - მეცნიერებს ისინი ახასიათებენ, როგორც ყოველგვარი მორალური პრინციპებისგან დაცლილ ინდივიდებს, რომელთაც არ გააჩნიათ ძირითადი ადამიანური ღირსებანი, რასაც გადასცემენ და შთააგონებენ კიდეც უმცროს თაობებს.

ზოგადად, დისკურსი და მასთან დაკავშირებული ლინგვისტური სტრატეგიები შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ევოლუციური უპირატესობის ერთერთი საშუალება, როდესაც ინდივიდი ცდილობს გამოიყენოს საკუთარი ლინგვისტური შესაძლებლობები სხვებზე (ზე)გავლენისა და შესაბამისად - ევოლუციური უპირატესობის მოსაპოვებლად. ძირითადად კი ამგვარი სტრატეგიები გამოიხატება ძალაუფლებრივ ინტერაქციასა და მანიპულაციებში, სადაც ენობრივი თამაში გვევლინება უპირატესობის მოპოვების უმთავრეს საშუალებად.

აღნიშნულ კონტექსტში დისკურსი შეიძლება განიმარტოს, როგორც შეჯიბრული პროცესი, რომლის დროსაც ოპონენტები აკეთებენ ყველაფერს იმისათვის, რათა დაამარცხონ ერთმანეთი, ხოლო მოგება ნიშნავს იმას, თუ ვის აქვს უკეთესი არგუმენტი. სწორედ ამაზეა დაფუძნებული დებატები, სამართლებრივი სისტემა და მეცნიერული დავები.

დისკურსების მანიპულაციურობის კონტექსტში საინტერესო იქნება იმის გამოკვლევა, თუ რამდენად შეიძლება იგი იქნას მიჩნეული ერთგვარ ევოლუციური სტრატეგიად, რომელიც კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ამასთანავე, ჩვენივე კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, უნდა (შევეცადოთ), დისკურსის მანიპულაციურობის ასპექტი დავუკავშიროთ ენობრივი თამაშის ცნებას, როგორც ასევე ევოლუციურ სტრატეგიას.

ევოლუციურ ჭრილში არ არის შესაძლებელი იმის დადგენა, თუ როდის ჩამოუყალიბდა ტყუილის თვისება ჰომო საპიენსს, როგორც სახეობას. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ენის ფორმირებასთან ერთად მოხდა ამავე თვისების წარმოქმნა ადამიანში. კონტრფაქტუალური ლოგიკით აზროვნების შესაძლებლობა შეიძლება იყოს სიცრუის გამოხატულების მთავარი საფუძველი ადამიანში, როგორც სახეობაში. კონტრფაქტუალური აზროვნება ფოკუსირებდება იმ ფაქტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ

არ მომხდარა, მაგრამ შესაძლებელი იყო მომხდარიყო. ამგვარი აზროვნებისას ხდება ტვინის იმ ნაწილების ლოკალიზება, რომლებიც პასუხისმგებელია შემაკავებელ კონტროლზე და მუშა მეხსიერებაზე, ისევე როგორც ტყულიებისას. სიცრუესთან და კონტრფაქტუალურ აზროვნებასთან დაკავშირებული მექანიზმები გაძლიერდნენ ზოგადად ონტოგენეტიკური განვითარების პარალელურად. იგივე სახის კავშირი ვლინდება იმ პაციენტებში, რომლებსაც გააჩნიათ დაზიანებები ტვინის ფრონტალურ ფუნქციებში, რიგი დეგენერაციული დაავადების ჩათვლით (S. Vasconcellos, M. Rizzatti, T. Barbosa, B. Schmitz, 2019).

აქ ჩვენ შევეხებით ტყუილის ფენომენს (პოლიტიკურ) დისკურსში, როგორც მის ერთერთ მახასიათებელს. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ აზროვნებას ახასიათებს ცდომილებანი, როგორც უნებლიე დამახინჯებანი მსჯელობაში. თუმცა, უნდა შევეცადოთ და გავარკვიოთ, არის თუ არა ცდომილებები მსჯელობაში და შესაბამისად - აზროვნებაში, ობიექტურად უნებლიე, თუ ისინი შეიძლება შეგნებულად არიან დაშვებულნი (მომეტყველე) აგენტის მიერ.

2.10. დამახინჯება (გაუკუღმართება) (distortion)

ფაქტების, აღქმის, აზრების ან ზრახვათა იმგვარად შეცვლა, რომ ისინი არ შეესაბამება საყოველთაოდ მიღებულ ახსნას, ან ზოგადად მიღებულ აღქმას. დამახინჯება შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ისე არაცნობიერი პროცესი, ან ორივეს შერწყმას წარმოადგენდეს.

როგორც მოყვანილი დეფინიცია გვიჩვენებს, დამახინჯებები შეიძლება იყოს როგორც ცნობიერი, ასევე არაცნობიერი (უნებლიე). ჩვენ ამოვდივართ მეორე მტკიცებიდან და მისივე კონტექსტში განვიხილავთ დამახინჯებებს **(distortion)** პოლიტიკურ დისკურსთან მიმართებაში. მეტიც, მიმოხილულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, მომეტყველე აგენტის მიერ ფაქტებისა თუ მსჯელობის შეგნებულ დამახინჯებებს ვუკავშირებთ ტყუილს, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ერთერთ

ფუნქციას. მოცემულ შემთხვევაში კი ტყუილი/სიცრუე განისაზღვრება როგორც ენის მეორეული ფუნქცია, რომელსაც კონკრეტული ევოლუციური დანიშნულება გააჩნია.

ის, რაც წარმოადგენს ცდომილებებს აზროვნებაში ან შაბლონურ დამახინჯებებს მსჯელობაში, რომლებიც სისტემატიურად წარმოიშვება გარკვეულ სიტუაციებში, უნდა მივიჩნიოთ კოგნიტურ დამახინჯებებად. კოგნიტური დამახინჯებები წარმოადგენს ევოლუციურად ჩამოყალიბებული მენტალური ქცევის ტიპს. ზოგიერთი მათგანი ასრულებს ადაპტაციურ ფუნქციას, რამდენადაც ისინი იძლევიან უფრო ეფექტური ქმედებების და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. სხვანი კი, სავარაუდოდ წარმოიქმნებიან აზროვნების შესაბამისი უნარების არარსებობის ან მანამდე სასურველი უნარების შეუსაბამო გამოყენების შედეგად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნიშნავს თუ არა, რომ კოგიტურ დამახინჯებებს (ტყუილებს მსჯელობაში) გააჩნიათ ევოლუციური ადაპტაციის ფუნქცია?

ამ ჰიპოთეზის თანახმად, მოსაუბრემ (სიგნალის გადამცემი) შეიძლება ნახოს სარგებელი სიგნალის მიმღებსა და რეალობას შორის ნორმატიული ურთიერთმიმართების მოშლით, ხოლო თავად სიგნალის მიმღები კი ამგვარი ცდომილება-დამახინჯებების შედეგად მნიშვნელოვან დანაკლისს იღებს (Searcy and Nowicki, 2005). იმავე პერსპექტივის მიხედვით, კომუნიკაცია განიმარტება როგორც იმგვარი ურთიერთქმედება, რომლის ფარგლებშიც გადაცემული ინფორმაცია წარმოშობს ფუნქციონალურ შედეგებს ძირითადად მისი გადამცემისთვის: „კომუნიკაცია წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინფორმაციის გადამცემი ზემოქმედებს ინფორმაციის მიმღების გრძნობის ორგანოებზე იმგვარად, რომ ამ უკანასკნელის (მიმღების) ქცევა იცვლება პირველის სასარგებლოდ“ (Dawkins and Krebs, 1978, p. 283).

ტაქტიკური ტყუილი - როდესაც ცდილობენ რაიმეს, ქმედებისა თუ გრძნობის დამალვას (Whiten and Byrne, 1988b; Byrne and Whiten, 1990; Hauser, 1997; Whiten,

1997). ტაქტიკური ტყუილი განიმარტება როგორც „აგენტის ქცევის ჩვეული ტიპი, რომლის შედეგადაც მეორე ინდივიდი მცდარად აღიქვამს პირველის ქმედებებს, რასაც სარგებელი მოაქვს აგენტისთვის (პირველისთვის)“. ტაქტიკური ტყუილის შემთხვევაში ცრუ (გამაფრთხილებელი) სიგნალები იგზავნება საკვებისა და რეპროდუქციული შესაძლებლობების ხელში ჩაგდების მიზნით (Byrne and Whiten, 1985; Munn, 1986; Rüppell, 1986; Møller, 1988, 1990; Tramer, 1994; Tamura, 1995; Bugnyarf and Kotrschal, 2002; Bro-Jørgensen and Pangle, 2010).

ამგვარად, არსებობს პროსოციალური ტყუილი (როგორც წესი, გამოიყენება სოციალური კავშირების გასამყარებლად/შესანარჩუნებლად) და ანტისოციალური ტყუილი. ტყუილის ფუნქციაა კონკურენტების მანიპულირება, მათზე ზემოქმედება (N. Oesch, 2016).

თავი 3. ენობრივი თამაში, როგორც ცხოვრების ფორმა

ლინგვისტური მანიპულაციების საბოლოო მიზანია (პლიტიკურ) კონკურენტებზე უპირატესობის მოპოვება და ძალაუფლების გამტკიცება, ძალაუფლების გამტკიცებაში კი იგულისხმება მატერიალურ რესურსებზე წვდომა.

ყოველივე აღნიშნულთან მიმართებაში უნდა დავსვათ შემდეგი სახის კითხვები: არის თუ არა ტყუილები (როგორც ფაქტობრივი შეუსაბამობანი პოლიტიკურ დისკურსში) შეგნებული ევოლუციური სტრატეგია, თუ გაუცნობიერებელი კოგნიტური ცდომილებანი? აქედან გამომდინარე კი, არის თუ არა ენობრივი თამაში გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული ლინგვისტური სტრატეგია?

აღნიშნულის გასარკვევად უნდა ამოვიდეთ შემდეგი მოცემულობიდან. ნებისმიერ ენობრივ თამაშს გააჩნია გარკვეული მიზანი. როგორც ზემოთ უკვე იქნა ნახსენები, თითოეული ინტერეს ჯგუფი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ორგანიზების დონით გამოირჩევა, აწარმოებს მისთვის დამახასიათებელ კონკრეტულ დისკურსს, რომელიც მათი ინტერესების აქტუალიზებას ემსახურება. ამ გაგებით, ნებისმიერი ცალკე აღებული ჯგუფი, რომელიც აწარმოებს განსაზღვრულ დისკურსს ამა თუ იმ (პოლიტიკური) მიზნის მისაღწევად, ამასთანავე არის კონკრეტული ენობრივი თამაშის მწარმოებელიც. აღნიშნული მტკიცების ნათელსაყოფად მოვიყვანთ ზემოთ უკვე ნახსენები ლგბტ საზოგადოების მაგალითს. ლგბტ საზოგადოებას გააჩნია მეტყველების სპეციფიკური ფორმა, რომლითაც ისინი ცდილობენ საკუთარი იდენტობის აქტუალიზებას და მის მოქცევას ფორმალურ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ჩარჩოში. შესაბამისად, ისინი თამაშობენ თავიანთ, სხვებისგან განსხვავებულ ენობრივ თამაშს და წინააღმდეგობაში მოდიან სხვა ენობრივ თამაშებთან რადგან, როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, შეუძლებელია ერთი ენობრივი თამაშის წესების მეშვეობით მეორე ენობრივი თამაშის წესების გაგება, ეს კი თავისთავად ხდება კონფლიქტის წყარო. აქედან გამომდინარე, რთული არ იქნება იმის გაგება, თუ რატომ მოდიან ასეთ დიდ წინააღმდეგობაში ერთმანეთთან განსხვავებული დისკურსები

(იგულისხმება “ენობრივი თამაშები“). ამასთანავე, განსხვავებანი ენობრივ თამაშებს შორის არის ამავე დროს განსხვავება „ცხოვრების/ცნობიერების ფორმებს“ შორისაც.

“... ენობრივი თამაშის წარმოდგენა ნიშნავს ცხოვრების ფორმის წარმოდგენას“. ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ ფორმაზე საუბარი იმავდროულად ნიშნავს კონკრეტულ ლინგვისტურ აქტივობაზე საუბარს. თითოეული ენობრივი თამაში არის ერთგვარი აქტივობა, “ცხოვრების ფორმა“ რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანების ცხოვრებასთან, როგორც ენობრივი არსებებისა“, ამასთანავე, „ენაში არ არის არაფერი ისეთი, რაც განაპირობებს მის ღირებულებას თავისთავად: ღირებულია ენის ფენომენის კავშირი ძალაუფლების ფენომენთან, რაც განაპირობებს იმავე ენის მნიშვნელობას და ახდენს გარკვეულ სტანდარტიზაციას“ (H. Gerard, 2018.)

ნებისმიერ ენობრივ თამაშს გააჩნია გარკვეული მიზანი. როგორც ზემოთ უკვე იქნა ნახსენები, თითოეული ინტერეს ჯგუფი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური ორგანიზების დონით გამოირჩევა, აწარმოებს კონკრეტულ დისკურსს, რომელიც მათი ინტერესების აქტუალიზებას ემსახურება.ამ გაგებით, ნებისმიერი ცალკე აღებული ჯგუფი, რომელიც აწარმოებს განსაზღვრულ დისკურსს ამა თუ იმ (პოლიტიკური) მიზნის მისაღწევად, ამასთანავე არის კონკრეტული ენობრივი თამაშის მწარმოებელიც. აღნიშნული მტკიცების ნათელსაყოფად მოვიყვანთ ზემოთ უკვე ნახსენები ლგბტ საზოგადოების მაგალითს. ლგბტ საზოგადოებას გააჩნია მეტყველების სპეციფიკური ფორმა, რომლითაც ისინი ცდილობენ საკუთარი იდენტობის აქტუალიზებას და მის მოქცევას ფორმალურ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ჩარჩოში. შესაბამისად, ისინი თამაშობენ თავიანთ, სხვებისგან განსხვავებულ ენობრივ თამაშს და წინააღმდეგობაში მოდიან სხვა ენობრივ თამაშებთან რადგან, როგორც ზემოთ იქნა განმარტებული, შეუძლებელია ერთი ენობრივი თამაშის წესების მეშვეობით მეორე ენობრივი თამაშის წესების გაგება, ეს კი ხდება კონფლიქტის წყარო. აქედან გამომდინარე, რთული არ იქნება იმის გაგება, თუ რატომ მოდიან ასეთ დიდ წინააღმდეგობაში ერთმანეთთან განსხვავებული დისკურსები (იგულისხმება “ენობრივი თამაშები“). ამასთანავე, განსხვავებანი ენობრივ თამაშებს შორის არის ამავე დროს განსხვავება „ცხოვრების ფორმებს“ შორისაც.

როგორც უკვე აღინიშნა, ენობრივ თამაშებზე მსჯელობისას ვიტგენშტაინი დროგამოშვებით საუბრობს ცხოვრების ფორმებზე. იგი აფუძნებს ცხად კავშირს ამ ორ ფენომენს შორის. ტერმინი „ენობრივი თამაში„ აქ გამოყიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ამა თუ იმ ენით მეტყველება იმავე დროს არის გარკვეული აქტივობის, იგივე ცხოვრების ფორმის ნაწილი.

ენობრივი თამაში ასახავს მისი გამომყენებლების აღქმას იმისა, თუ რა არის (და არ არის) მნიშვნელოვანი. „ენობრივი თამაშები იცვლება, ამას მოჰყვება ცვლილებები ცნებებში, ხოლო ცნებების ცვლასთან ერთად კი იცვლება სიტყვების მნიშვნელობებიც“.

ვიტგენშტაინისთვის ენობრივი თამაშები მჭიდრო კავშირშია უფრო ფართო კონტექსტებთან - ისინი უკავშირდებიან ბუნებრივ და სოციალურ გარემოებს, მიზნობრივ აქტივობებს და თამაშობენ განსაზღვრულ როლს მათი გამომყენებლების ცხოვრების ფორმებში(თვის).

ვიტგენშტაინი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ვერ გავიგებთ ენას იმის გაგების გარეშე, თუ როგორ გამოიყენება და რა კავშირშია იგი ადამიანურ ქმნადობასთან და ცხოვრების ფორმასთან, ზოგადად.

„ენობრივი თამაშების“ ცნება ხაზს უსვამს ენის ერთგვარი აქტივობის კონტექსტში გაგებას. ვიტგენშტაინის მოსაზრებით ენობრივი თამაში წარმოადგენს „ცხოვრების ფორმის“ (ლინგვისტურ) გამოხატულებას. თავისთავად ცხოვრების ფორმა არის გაცილებით უფრო ფართო ფენომენი, ვიდრე ნებისმიერი ცალკე აღებული ენობრივი თამაში. იგი (ცხოვრების ფორმა) არის ის ფუნდამენტი, რომლისგანაც წარმოიქმნებიან ენობრივი თამაშები, ეს არის იმ კულტურული პრაქტიკების ერთობლიობა, რაც წარმოქმნის მათ (ენობრივ თამაშებს). ხოლო ენობრივი თამაშების პირველად საფუძველს ბიოლოგიური მოცემულობა წარმოადგენს. ვიტგენშტაინი ხშირად ადგენს ურთიერთმიმართებებს ადამიანის ბუნებრივ (ბიოლოგიურ) რეაქციებსა და ენობრივ თამაშებს შორის. როგორც ცხოვრების ფორმების ელემენტები,

ენობრივი თამაშები არ საჭიროებენ არანაირ ვერიფიკაციას. ისინი გამომდინარეობენ ბუნებრივი ადამიანური რეაქციებიდან და აქტივობებიდან.

თუმცა, „ცხოვრების ფორმის“ ცნება არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიურ ფაქტორამდე. ვიტგანშტაინის მიხედვით ენობრივი თამაშები არის ამა თუ იმ ერთობის რეპრეზენტაციის საშუალება.

ტყუილის ენობრივი თამაში დასწავლადია.

ენა/მეტველება, ისევე როგორც “თამაში“, არასოდესაა დაცლილი კონტექსტისგან. ენობრივი თამაშის კონტექსტში ტყუილი ახდენს გარკვეული მოცემულობისა და ფაქტების ინტერპრეტირებას სხვა ინტერპრეტირებათა ხარჯზე, სპეციფიკურ სოციალურ და კულტურულ კონტექსტებში. (R. Massé, 2002)

მომეტყველე სუბიექტმა უნდა დაიცვას თამაშის სტრატეგიული წესები ცვალებად გარემოებებში იმისთვის, რომ გახდეს წარმატებული როგორც მარტივ, ასევე რთულ ენობრივ თამაშებში რათა გამარჯვება მოიპოვოს კონკურენტებზე. (D. Jacquette, 2015)

ტყუილის განსაზღვრება: ნებისმიერი დებულება (A), რომელიც არის შეგნებულად მცდარი (B) და წარმოითქმება მოტყუების (C) მიზნით.

- ტყუილი არის გარკვეული დებულება
- ტყუილი არის შეგნებული სიმცდარე
- მისი დანიშნულებაა შეცდომაში შეყვანა
- შეცდომაში შეყვანის განზრახვა წარმოადგენს ტყუილისთვის აუცილებელ ელემენტს. მცდარი დებულება შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე არ არის ტყუილი (შეცდომა, წამოცდომა).

ტყულის ფუნქცია - სოციალური ბენეფიტების მიღება: კონფლიქტურ გარემოებებში სხვათა ექსპლუატირების უნარი.

ვიტგენშტაინი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ვერ გავიგებთ ენას იმის გაგების გარეშე, თუ როგორ გამოიყენება და რა კავშირშია იგი ადამიანურ ქმნადობასთან და

ცხოვრების ფორმასთან. ზოგადად, „ენობრივი თამაშების“ ცნება ხაზს უსვამს ენის გაგებას ერთგვარი აქტივობის კონტექსტში. ვიტგენშტაინის მოსაზრებით ენობრივი თამაში წარმოადგენს „ცხოვრების ფორმის“ (ლინგვისტურ) გამოხატულებას. თავისთავად ცხოვრების ფორმა არის გაცილებით უფრო ფართო ფენომენი, ვიდრე ნებისმიერი ცალკე აღებული ენობრივი თამაში. იგი (ცხოვრების ფორმა) არის ის ფუნდამენტი, რომლისგანაც წარმოიქმნებიან ენობრივი თამაშები, ეს არის იმ კულტურული პრაქტიკების ერთობლიობა, რაც წარმოქმნის მათ (ენობრივ თამაშებს). ხოლო ***ენობრივი თამაშების პირველად საფუძველს ბიოლოგიური მოცემულობა წარმოადგენს***. ვიტგენშტაინი ხშირად ადგენს ურთიერთმიმართებებს ადამიანის **ბუნებრივ (ბიოლოგიურ)** რეაქციებსა და **ენობრივ თამაშებს** შორის. როგორც ცხოვრების ფორმების ელემენტები, ენობრივი თამაშები არ საჭიროებენ არანაირ ვერიფიკაციას. ისინი გამომდინარეობენ ბუნებრივი ადამიანური რეაქციებიდან და აქტივობებიდან.

თუმცა, „ცხოვრების ფორმის“ ცნება არ დაიყვანება მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიურ ფაქტორამდე. ვიტგანშტაინის მიხედვით ენობრივი თამაშები არის ამა თუ იმ ერთობის რეპრეზენტაციის საშუალება.

ზემოთ უკვე ნახსენები იქნა მეტყველების, როგორც ბუნებრივი მოცემულობის გარეგანი გამოხატულების თავისებურება, რაც ამ კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში ნიშნავს შემდეგს: ენა ასახავს ინსტინქტს, იგი წარმოადგენს ბუნებრივი ფენომენის ლინგვისტურ რეფლექსიას. მოყვანილ შემთხვევაში კი: ლგბტ ლინგვისტიკა არის გარკვეული სექსუალური იდენტობის ენობრივი გამოხატულება. თავის მხრივ კი, ჰომოსექსუალიზმი არის გარკვეული ცხოვრების ფორმა (form of life), გამოხატული შესაბამისი ლინგვისტიკით.

ენობრივი თამაში არის გარკვეული ტიპის სოციალური აქტივობა რაც გულისხმობს ენის სპექციფიკური ფორმების გამოყენებას. ინდივიდები, რომლების მიეკუთვნებიან კონკრეტულ ენობრივ ერთობას, თანხმდებიან მოვლენების ინტერპრეტაციებისა და მნიშვნელობების მინიჭების ერთგვარობაზე. შესაბამისად, ისინი იზიარებენ საერთო „ცხოვრების ფორმას“. ეს მიუთითებს, რომ განსხვავებულ ცხოვრების ფორმებს გააჩნიათ რეალობის აღქმის და ინტერპრეტაციის განსხვავებული

გზები და გულისხმობენ ჭეშმარიტებისა და მცდარობის განსხვავებულ სტანდარტებს (P. Tonner, 2017).

თუმცაღა, მაგალითად, ლბგტ ერთობის (და ნებისმიერ სხვა) შემთხვევაში - მათი სპეციფიკური ენა განსაზღვრავს მათივე ცხოვრებისეულ რეალობას (ცხოვრების ფორმას) თუ პირიქით, მათი (ბიოლოგიური) იდენტობა განაპირობებს მათივე ლინგვისტიკას, ანუ „ენობრივ თამაშს“, როგორც სოციალურ პრაქტიკას? შეიძლება, და უნდა ვივარაუდოთ, რომ ენობრივი თამაში კი არ განსაზღვრავს ცხოვრებისეულ ფორმას, არამედ ცხოვრების ფორმა განაპირობებს ენობრივ თამაშს.

აქედან გამომდინარე, ცხოვრების ფორმა წარმოადგენს ცნებას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კულტურას, მსოფლმხედველობასა და ენას. ეს უნდა ნიშნავდეს, რომ ენობრივი თამაში შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც აღქმის ფორმა რომელიც შეიძლება დაფუძნებული იყოს მხოლოდ კულტურულ და არა უნივერსალურ რაციონალურობის ფაქტორზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ენობრივი თამაშის ანალოგია დაყვანილ უნდა იქნას მხოლოდ კულტურულ რელატივიზმამდე.

მაგალითისთვის, თუკი დავუშვებთ, რომ ჩვენ შევისწავლეთ რომელიმე კონკრეტული ენა, ჩვენ მაინც ვერ შევძლებდით იმ ენაზე მომეტყველე ინდივიდების გაგებას, რადგან ჩვენ არ ვიცით, რა მნიშვნელობით იყენებენ ისინი სიტყვებსა თუ გამოთქმებს. შესაბამისად, რადგან ენობრივი თამაშები წარმოადგენენ ცხივრების ფორმის გამოხატულებას, შეიძლება ითქვას, რომ თუკი გავიგებთ კონკრეტული ცხოვრების ფორმას, შესაბამისად დავეუფლებით იმ ენობრივ თამაშსაც, რომელიც მას გამოხატავს.

ჩვენ, როგორც ,,უბრალო” ადამიანები, პროფესიულ საქმიანობას თუ არ გავითვალისწინებთ, ვიყენებთ ენას, რომელსაც პირობითად ,,ყოველდღიურ'' დისკურსს ვუწოდებთ. მოცემული დისკურსისაგან განსხვავებით, პროფესიულ დისკურსში პროფესიონალები ურთიერთობენ ისევ პროფესიონალებთან ან საზოგადოების ,,ჩვეულებრივ'' წევრებთან. ნიკოლა ვუდსი განმარტავს, რომ ,,ყველა

პროფესიას აქვს საკუთარი წერისა და საუბრის მანერა: ენის განსაზღვრული სტილი (რეგისტრი) და დისკურსის მართვის საკუთარი წესები... როდესაც პროფესიონალი საუბრობს არაპროფესიონალთან, ენა შესაძლებელია ბარიერი აღმოჩნდეს'' (Woods

2006: xvi). ნიკოლა ვუდსი წიგნში Describing Discourse განიხილავს 5 სხვადასხვა პროფესიულ დისკურსს – სარეკლამო, პოლიტიკური, იურიდიული, სამედიცინო და განათლების. (ნ. მსახურაძე, 2014)

ასე რომ, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია განსხვავებული პროფესიული დისკურსები მიჩნეულ იქნას ენობრივი თამაშების ნაირსახეობებად.

მაგალითისთვის, შეიძლება ითქვას რომ სამართლებრივი აქტების ინტერპრეტაცია, თავის უპირველეს საფეხურზე არის ენობრივი თამაში, მნიშვნელობათა მინიჭება წესების გარკვეული ერთობლიობის მეშვეობით. აღნიშნულის მიხედვით, განსაზღვრული არგუმენტების მეშვეობით შედგენილი კონკრეტული კანონის კონკრეტული ინტერპრეტაცია იქნება საკანონმდებლო აქტების ინტერპრეტირების ენობრივ თამაშში სვლათა სერიები. მათ ამგვარ ინტერპრეტაციაში ივარაუდება უფლება-მოვალეობათა, შესაძლებლობათა, პასუხისმგებლობის, მოქმედების და ა.შ. ცნებები, რაც ქმნის (ამ) კონკრეტული ენობრივი თამაშის გრამატიკას.

ვიტგენშტაინის მოსაზრებით ისტორია (როგორც შესწავლის სფერო) აგრეთე შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ენობრივი თამაში: ეს არის მოვლენებისადმი მნიშვნელობების მინიჭების მცდელობა, რომელიც გარკვეულ წესებზეა დაფუძნებული.

თამაშის წესების უმრავლესობა დაისწავლება არა უშუალოდ პირდაპირი ფორმით, არამედ მათი ათვისება ხდება აპოსტერიორულად, უკვე პრაქტიკაში სვლების განხორციელებისას. სვლები იძენენ მნიშვნელობას იმ კონკრეტული დისკურსის და ქცევის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია გრამატიკის მიერ.

ამ კონტექსტში განვიხილოთ სექსუალურ უმცირესობათა დისკურსი (Lavender linguistics), როგორც ენობრივი თამაშების მაგალითი. ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ კონკრეტული ინდივიდის მეტყველების ტიპი იყო იმავე ინდივიდის იდენტობის შედეგი, მაგრამ პოსტმოდერნული მიდგომა აღნიშნულ საკითხს სხვაგვარად განიხილავს და ამტკიცებს, რომ ის, თუ როგორ ვმეტყველებთ, არის ჩვენივე იდენტობის ფორმაციის ნაწილი (მეტყველება/დისკურსი აყალიბებს იდენტობას) და განსაკუთრებულ ხაზგასმას ახდენს იმ გარემოებაზე, რომ გენდერული იდენტობა არის ცვალებადი და არა ფიქსირებული მოცემულობა.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელება ჰპოვა სქესთან დაკავშირებულმა ენობრივმა თეორიებმა (ფროიდი და ფსიქოანალიზი), რომელთა ფარგლებშიც თანამედროვე მიდგომებისგან ერთობ განსხვავებული მიდგომები გამოიყენებოდა. ერთერთი ასეთი ადრეული მიდგომათაგანი იყო მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალობა გახლდათ პათოლოგია, შესაბამისი სამეტყველო სტილებით, როგორც მისი გამოხატულებებისა. კიდევ ერთი მოსაზრება იყო ის, რომ ჰომოსექსუალი ინდივიდები იყენებენ ფარულ (სამეტყველო) კოდებს თავიანთი, როგორც ჰომოსექსუალთა იდენტობის მისანიშნებლად (იმავე) ჯგუფის სხვა წევრებთან მიმართებაში.

1980-იან წლებში დაიწყო ლგბტ სეგმენტის საზოგადოების ჩაგრულ ჯგუფად წარმოჩენა და მკვლევარები შეუდგნენ ჰომოსექსუალთა სამეტყველო პრაქტიკების სხვადასხვა ფორმით გამოყენების გამოკვლევას.

იქედან მოყოლებული გავრცელდა მოსაზრება, რომ ენა არის არა იდენტობის შედეგი, არამედ იგი თავად ქმნის გაზიარებულ სოციალურ იდენტობებს და მეტიც, იგი ქმნის სექსუალურ ან/და გენდერულ იდენტობებს.

homo economicus language game

…მნიშვნელობები ხშირად ფორმირდება ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ეკონომისტებისა და სოციალური თეორეტიკოსების მიერ წარმოებული

მალეგიტიმიზირებელი დისკურსებით, რომლებიც, თავის მხრივ, ზრდის მათი პროპონენტების ეკონომიკურ შესაძლებლობას.

რადგან - ისინი ამყარებენ კოგნიტურ იურისდიქციას (განსჯადობა) სხვადასხვა სახის საკითხებთან მიმართებაში (ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, მორალური...) - სპეციფიკური ენობრივი თამაშების მეშვეობით.

„ეკონომისტობა“ ნიშნავს იმ ენობრივ თამაშში ჩართვას, რომელსაც აწარმოებენ ასევე სხვა ეკონომისტები და იგი გულისხმობს ნეოკლასიკური ეკონიმიკური პარადიგმის საბაზისო აქსიომების დასწავლას და მათი გამოყენებით გარკვეული თეორემების შემუშავებას.

ამა თუ იმ პროფესიისა თუ (მეცნიერული) დისციპლინის ადეპტები ჩართულნი არიან საერთო ენობრივ თამაშში და შესაბამისად, ისინი შეიმუშავებენ კომუნიკაციის გარკვეულ კოდს.

(კონკრეტულ) ენობრივ თამაშში ახლადჩართული ადეპტი დაისწავლის იმავე ენობრივი თამაშის ზოგად წესებს. ენობრივი თამაშის წესების დაუფლება ნიშნავს, რომ ადეპტმა წარმატებით გაიარა აკულტურაციის პროცესი. იგი უკვე ხდება იმ კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი.

ადეპტებმა უბრალოდ უნდა გახადონ გასაგები თავიანთი თეორიები იმ თამაშის კონტექსტში, რომელშიც ისინი ჩაერთვნენ.

3.1. კონგიტური იურისდიქციის დამყარების მაგალითი

(სფეროს) პროფესიონალი (I), რომელიც (მეტნაკლები წარმატებით) იყენებს არა აქსიომატიზირებულ კოდს კლიენტთან (C) კომუნიკაციისას და კომუნიკაციაში ახლადჩართული პროფესიონალი (E), რომელიც იყენებს აქსიომატიზირებულ კოდს. ეს უკანასკნელი (E), შეეცდება გადაიბიროს (C), (I)-ს საკომუნიკაციო კოდის საკუთარ კოდამდე დაყვანით. ეს დაყვანა წარმატებული იქნება იმ შემთხვევაში, თუკი კლიენტი

(C) დაიწყებს საკუთარი პრობლემის გამოხატვა-გადმოცემას იმ ენის მეშვეობით, რომელსაც იყენებს (E). ამრიგად, სახეზეა (E)-ს მიერ (C)-ს პრობლემაზე) კოგნიტური იურისდიქციის დამყარება.

(მაგალითი ეხება ფსიქოლოგია-ფსიქიატრიის სფეროს, თუმცა იგი შეიძლება მოერგოს პოლიტიკის სფეროსაც - პოლიტიკოსების მიერ საკითხების ინტერპრეტირების მეშვეობით სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე დისკურსული იურისდიქციის/განსჯადობის დაწესება - დისკურსული დომინირება).

კომუნიკაციის წარმატებულობას განსაზღვრავს მასში ჩართულ ინდივიდებს შორის წარმოებული ენობრივი თამაშის ეფექტიანობა. ის ენობრივი თამაშები, რომლებიც შედარებით მეტი წარმატებით ახდენენ დებულება/არგუმენტების გადაცემას, უპირატესობას მოიპოვებენ სხვა ენობრივ თამაშებზე. შესაბამისად, არსებობენ შედარებით ეფექტური და ნაკლებად ეფექტური ენობრივი თამაშები.

პოლიტიკური მესიჯების გადაცემის მხრივ ენობრივი თამაშები უნდა იყოს მაქსიმალურად ეფექტური.

... სხვადასხვა პროფესიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ პოტენციურად მომგებიან საკითხებთან მიმართებაში.

მაგალითისთვის, ეკონომიკა, როგორც დისციპლინა/საექსპერტო სფერო, ამარაგებს პოლიტიკოსებს იმ ცოდნით, რომლის დახმარებითაც ეს უკანასკნელნი აწარმოებენ სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებულ დისკურსს. ეკონომიკისგან განსხვავებით კი სხვა პროფესიებს უწევთ მნიშვნელოვანი რესურსის გაღება იმისთვის, რომ შეინარჩუნონ შესაბამის საკითხებზე მონოპოლია.

პროფესიული დისკურსები წარმოადგენს ერთგვარ საკომუნიკაციო კოდებს, რაც არის შესაბამისი ენობრივი თამაშების შედეგი. (M. Moldoveanu, 2002)

ეკონომიკური თეორია წარმოადგენს ერთგვარ ენობრივ თამაშს, რომელსაც გადააქვს შესაბამისი ცნებები ყოველდღიური ენიდან ფორმალურ ენაში.

ენა ქმნის ახალ მნიშვნელობებს.

მნიშვნელობები იქმნება „ენობრივ თამაშებში.

3.2. ენა, როგორც პერფორმანსი

მეტყველების გაზიარებული ფორმები შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკე, შეკრული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად, რაც, თავის მხრივ შესაძლებელს გახდის პოლიტიკური ბრძოლის წარმოებას. სექსუალობა წარმოადგენს სოციალური იდენტობის ერთგვარ ფორმას, რომელიც იგება და რეპრეზენტირდება დისკურსიულად. ამ ტიპის იდენტობა შეიძლება რიგ შემთხვევებში გამყარებულ იქნას ენის გამოყენების საერთო ფორმებით, პოლიტიკური თვით-ორგანიზების მიზნით. ენა შეიძლება გამოყენებულ იქნას გენდერულ და სექსუალურ იდენტობებებთან დაკავშირებულ ურთიერთობათა და წინააღმდეგობათა მოსაგვარებლად და შეიძლება გახდეს იდენტობების მაჩვენებელი სხვადასხვაგვარად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს გეი თუ ლესბოსური მეტყველების სპეციფიკური კოდი.

გეი და ლესბოსელმა ინდივიდებმა, ენის გამოყენების სპეციფიკური ფორმებით შეიძლება შექმნან ენობრივი ჯგუფები (speech communities). ენობრივ ჯგუფს გააჩნია ლინგვისტური მახასიათებლები და ისეთი საზოგადოებრივი ჩარჩოები, რაც თავსებადობაშია შესაბამის სოციალურ ერთეულებთან. ასეთი ენობრივი ჯგუფების წევრობა ხშირად გაიგება, როგორც არა-ლინგვისტური ფაქტორებით განპირობებული რამ. ასეთი ტიპის ენობრივი ჯგუფების წევრები შეიძლება დაუპირისპირდნენ კულტურულად დომინანტ ენას და შეეწინააღმდეგონ დომინანტურ კულტურულ სტატუს ქვოს მეტყველების საკუთარი ფორმების კვლავწარმოებით.

გენდერული პერფორმატიულობა კავშირშია მეტყველებასთან იმ გაგებით, რომ ინდივიდები ცნობიერად ან არაცნობიერად ახდენენ თავიანთი მეტყველების სტილების მოდიფიცირებას თავიანთივე გენდერული როლებისადმი შესაბამისობის მიზნით. მაგ. გეი კაცების (“ქალური“) მეტყველება არ შეესაბამება მათ სქესს.

რადგანაც “მამაკაცურობასთან“ ასოცირებული მეტყველების ბევრი ფორმა დასწავლილია და არა ბიოლოგიურად მოცემული, ჰომოსექსუალი კაცების გარკვეული რაოდენობა შეიძლება იყენებდეს მეტყველების სხვადასხვაგვარ ფორმებს სტერეოტიპული “მასკულინური“ საუბრის სტილისგან განსხვავებით.

ეს სტილისტული ინოვაციები გამოიყენება იდენტობის იმ ელემენტების საჩვენებლად, რომლებიც, როგორც წესი არ შეესაბამება ინდივიდის გენდერს.

იდენტობის წარმოჩენა ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოყენებული ინდექსები კონვენციონალური ხასიათისაა და საზოგადოდ აღიარებული. ჯგუფის წევრებმა ჯგუფთან კავშირი შეიძლება დაამყარონ მეტყველების, მოქმედებისა და აზროვნების საერთო ფორმების მეშვეობით. ასეთი ტიპის დისკურსებმა, თავის მხრივ, შეიძლება კვლავაწარმოონ ან გარდაქმნან სოციალური ურთიერთქმედებები. თუმცა, ზოგჯერ ასეთი კოდები ხმარებიდან გადიან და ეს ხდება მაშინ, როდესაც ისინი საზოგადოდ ცნობადი ხდებიან და უკვე აღარ წარმოადგენენ კომუნიკაციის ექსკლუზიურ ფორმას.

ენობრივი ჯგუფის წევრებს შეიძლება ჰქონდეთ საერთო ინტერესები და გარემო პირობებს პასუხს სცემდნენ ერთნაირად და უწყვეტი კომუნიკაციის შედეგად განავითარონ მეტყველების გრკვეული ფორმები. მეტყველების ინოვაციური ფორმები, მაგალითად ისეთი, რომელსაც იყენებენ ლგბტ ჯგუფების წევრები, შეიძლება გავრცელდეს ისეთ ინსტიტუციებში, როგორიცაა სკოლა, სადაც ერთ სივრცეში წარმოდგენილია განსხვავებული კლასობრივი, რასობრივი და გენდერული მიკუთვნებულობის ინდივიდები.

თითოეულ იდეოლოგიური პლატფორმას საკუთარი მორალურ-ეთიკური ღირებულებები გააჩნია, რომლებიც ზოგადად მათივე მსოფლმხედველობებს გამოხატავენ, რაც ასახვას ჰპოვებს მათ მიერ წარმოებულ სპეციფიკურ დისკურსებში. ამ კონტექსტში მნიშვნელობას იძენს მათ მიერ გამოყენებული (პოლიტიკური) მეტაფორები, რომლებიც მოიაზრება როგორც კოგნიტური ფრეიმები, რაც გვაძლევს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ იწარმოება და ოპერირებს დისკურსი, ზოგადად.

აქ უნდა მოვახდინოთ მეტაფორისა და ფრეიმის ცნების ზოგადი განსაზღვრება. ჯორჯ ლაჯოფის მიხედვით მეტაფორა არის ერთი რამის (ან *იდეის*) აღქმა და განცდა მეორე რამის საშუალებით. მეტაფორები გამოიყენება ჩვენს მიერ არა მხოლოდ ყოველდღიურ ურთიერთქმედებაში და მეტყველებაში, არამედ ჩვენივე ცნობიერ პროცესებში და ქმედებებშიც. არებითად, მთელი ჩვენი კონცეპტუალური სისტემა არის ძირეულად მეტაფორული ხასიათისა (Lakoff, 1980).

მეტაფორული აზროვნება მნიშვნელოვანია პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრეფერენციების ფორმირებისათვის და შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსისთვისაც, ზოგადად. პოლიტიკური მეტაფორები ფორმირდება და აქტუალიზირდება სპეციფიკური მენტალური ფრეიმების ფარგლებში, რომლებიც შეიძლება მიჩნეულ იქნან იდეოლოგიურ პლატფორმებად. თითოეულ იდეოლოგიურ პლატფორმას გააჩნია საკუთარი კონცეპტუალური ფრეიმი და შესაბამისი ტიპის მეტაფორები, რომლებიც გამოიყენება ძირითადი დებულებების გადაცემის მიზნით. ამასთანავე, თითოეულ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ პლატფორმას გააჩნია თავისივე მორალური პრინციპები რომელთა მეშვეობითაც ისინი ახდენენ თავიანთი დებულებების ლეგიტიმაციას. შესაბამისად, იდეოლოგიური განსხვავებები, ამასთანავე ასახავენ განსხვავებებს მორალურ-ეთიკურ წანამძღვრებშიც.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შემდეგი ფუნდამენტური ასპექტების დადგენა ნებისმიერი სპეციფიკური ტიპის პოლიტიკური დისკურსის ანალიზისას ზოგადად:

- დისკურსებს შორის მსოფლმხედველობრივი განსხვავებები
- რა მორალური საფუძვლები გააჩნიათ კონკრეტულ პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პლატფორმებს?
- როგორ ხორციელდება ფრეიმინგი პოლიტიკური დისკურსების ფარგლებში?

მსოფლმხედველობრივი განსხვავებები დისკურსებს შორის

ჯორჯ ლაკოფი ახდენს ორი ძირითადი იდეოლოგიური ფრეიმის იდენტიფიცირებას ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში. ესენია ორი ძირითადი

ამერიკული პარტიის - რესპუბლიკელთა და დემოკრატთა მიერ წარმოებული და აქტუალიზებური დისკურსები. შესაბამისად, შესაძლებელია ვისაუბროთ რესპუბლიკური (კონსერვატიული) და დემოკრატიული კონცეპტუალური ფრეიმების შესახებ, სადაც თითოეულს გააჩნია საკუთარი მორალური საფუძველი რომლის მეშვეობითაც ისინი ახდენენ თავიანთი წანამძღვრების ლეგიტიმაციას. ლაკოფი ფრეიმინგის თეორიას უსადაგებს აღზრდის ორ ძირითად სტილს და შემდეგ იმავე ცნებას არგებს პოლიტიკის სფეროს. მისი მიხედვით თითოეული პარტიის მორალურ-იდეოლოგიური პლატფორმა ეფუძნება აღზრდის განსაზღვრულ სტილს, რომელიც აისახება კონკრეტული პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაში. ესენია „მკაცრი მამის“ და „ლმობიერი მშობლის“ აღზრდის/ოჯახის მოდელები. „ამერიკული კულტურა შედგება ორი შეპირისპირებული მსოფლმხედველობისგან, რომლებიც ზოგადად შეესაბამებიან მშობლის „მკაცრ“ და „ლმობიერ“ როლებს. პირველი მოდელი ამტკიცებს, რომ ადამიანური ბუნება სუსტია და აქედან გამომდინარე საჭიროა „მკაცრი მამა“, რომელიც მიმართავს დისციპლინირებისა და დასჯის მეთოდს, რათა უზრუნველყოს შვილის სტაბილური მომავალი. „მკაცრი მშობლის“ პოზიცია კავშირშია მთავრობის შეზღუდული როლისა და ფუნქციების შეხედულებასთან - მაშინ, როდესაც მთავრობა და მმართველობა აუცილებელია წესრიგისა და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, რათა საზოგადოება დაცული იქნას გარეშე საფრთხეებისაგან, შიდა/ოჯახური საკითხების უმეტესობა არის და უნდა იყოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საგანი. თუკი ადამიანები არიან ღარიბები და წარუმატებლები, ეს იმიტომ, რომ ისინი არ იჩენენ საკმარის ინიციატივას; მათ, ვინც უმუშევარია, შეუძლიათ ჰქონდეთ სამსახური, თუკი შესაბამის ძალისხმევას გაიღებენ. ამ ლოგიკით სოციალური დაცვის პროგრამები უკუპროდუქტიულია, რადგან ისინი ინდივიდებში იწვევენ სახელმწიფოზე დამოკიდებულებას, საკუთარი თავში დარწმუნებულობის ნაცვლად. ამის საწინააღმდეგოდ დემოკრატები და სხვა პროგრესული ჯგუფები ემხრობიან პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს „ლმობიერი მშობლის“ პერსპექტივიდან. ეს მიდგომა ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან მეტ ჩართულობას სოციალური პრობლემების მოგვარების მხრივ (S. Iyengar, 2005).

ყველა ეს ასპექტი ამერიკულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს ხდის წინასწარ განსაზღვრადს მათი მორალური წანამძღრებიდან და არგუმენტებიდან გამომდინარე. ცნობილია, თუ რომელ კონკრეტულ პოლიტიკურ შეხედულებებს/იდეებს უჭერენ მხარს პარტიები მემარჯვენე-მემარცხენე იდეოლოგიური სპექტრის კონტექსტში.

მთავარი ქართული პოლიტიკური პარტიების ანალიზისას კი რთულია იმის გამორკვევა, თუ რომელ იდეოლოგიურ პლატფორმებზე დგანან ისინი. პოლიტიკის ექსპერტთა უმრავლესობა ქართულ პარტიებს განსაზღვრავს, როგორც მემარჯვენე-ცენტრისტულს, თუმცა ისინი (პარტიები) ხშირად ატარებენ მემარცხენე პოლიტიკას სპეციფიკური პოლიტიკური მიზნებისთვის.

ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ამგვარი იდეოლოგიური შეუსაბამობები სხვადასხვა სახით ვლინდება. როგორც ზოგადად მიიჩნევა, პარტიათა იდენტობები ფორმირდება მათი ლიდერების მიერ. როგორც წესი, ინდივიდები მხარს უჭერენ ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიას არა იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი ასახავენ მათ მიერ გათავისებულ განსაზღვრულ პოლიტიკურ პრინციპებსა თუ ინტერესებს, არამედ იმიტომ, რომ ენდობიან პარტიების ლიდერებს. ამასთანავე, პარტიები არ ცდილობენ მისდიონ მათივე მხირდან დეკლარირებულ იდეოლოგიურ ხაზებს.

„შეიძლება არსებობდეს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა პარტიების მხრიდან ფორმალურად დეკლარირებულ პრინციპებსა და გატარებულ რეალურ პოლიტიკებს შორის. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია მხარს უჭერს ტიპიურ მემარცხენე სახის პოლიტიკებს. რაც შეეხება ამერიკულ პოლიტიკურ პარტიებს, ისინი არ სცდებიან თავიანთ იდეოლოგიურ თუ მორალურ პრინციპებს (Scholtbach & Nodia, 2006).

როგორც უკვე იქნა ნახსენები, თითოეულ იდეოლოგიას გააჩნია საკუთარი მენტალური ფრეიმი, რაც იმას გულისხმობს, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრები აზროვნებენ სპეციფიკური ფრეიმების ფარგლებში და მათი მეშვეობით სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებისას. ჯ. ლაკოფის

მიხედვით დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს გააჩნიათ ორი განსხვავებული მენტალური ფრეიმი, რომელთა ფარგლებშიც ისინი ოპერირებენ.

3.3. ცნობიერების მიმართება ყოფიერებასთან

მოცემული ნაწილი განიხილავს ცნობიერების მიმართებას ყოფიერებისადმი, რომელიც სხვა ტერმინებით გამოიხატება როგორც არსისა და აზრის ურთიერთმიმართება. ფუნდამენტური კითხვა, რომელიც უნდა დაისვას აღნიშნული ურთიერთმიმართების კონტექსტში შეიძლება შემდეგი სახით ფორმულირდეს: რომელია ამ ორს შორის პირველადი და მეორადი, რომელია განმსაზღვრელი და როგორ ხდება ყოფიერების ასახვა ცნობიერებაში; როგორ გამოიხატება-აისახება ყოფიერება (არსი) ენაში, რომელიც წარმოადგენს ცნობიერების გარეგან გამოხატულებას. შევეცდებით აღნიშნული საკითხის განხილვა დავიწყოთ ანტიკური ფილოსოფიური მოსაზრებების მოშველიებით და შევუპირისპიროთ ისინი თანამედროვე მოსაზრებებს ენის ფილოსოფიაში.

პირველი დებულება, რომელიც მოგვყავს ანტიკური ბერძნული ფილოსოფიური ნააზრევიდან, ესაა პარმენიდეს ცნობილი დებულება: “არსი არის და არარსი არ არის”; “არარსს ვერც გამოვთქვამ და ვერც მოიაზრებ, რადგანაც გამოუთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის”. მოცემული დებულებიდან იკვეთება ის ფუნდამენტური აზრი, რომ ცნობიერებამ შეიძლება მოიაზროს მხოლოდ ობიექტურად არსებული საგნები თუ ფენომენები.

შემდეგი ფუნდამენტური კითხვა, რომელიც უნდა დაისვას საკითხთან მიმართებაში შემდეგნაირად ფორმულირდება: თუკი ცნობიერება მხოლოდ ჭეშმარიტად არსებულს/არსს აღიქვამს, გამოდის რომ ყველა სახის აღქმა ცნობიერებაში თავისთავად ჭეშმარიტია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ცნობიერება აღქმისას მიდრეკილია ცდომილებებისადმი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი, რასაც ცნობიერება აღიქვამს და შესაბამისად გადმოსცემს ენის მეშვეობით, არ არის თავისთავად ჭეშმარიტი,

წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა ცდომილებები ცნობიერ-კოგნიტურ პროცესებში.

არსისა და არარსის დიხოტომიის კონტექსტში, განვიხილოთ შემდეგი მოსაზრება: „ონტოლოგიაში ერთერთ ყველაზე მისტიკურ და სპეკულაციურ საკითხად ითვლება საკითხი იმის შესახებ, არსებობენ თუ არა არ-არსებული საგნები. იმის მტკიცება, რომ არიან (არსებობენ) არ-არსებული საგნები ნიშნავს იმის აღიარებას, რომ სინამდვილე შედგება ორი სახის რამისაგან - არსებულისა და არ-არსებულისგან. არსებული მოიცავს ყველაფერს, რაც არის სივრცესა და დროში, პლუს აბსტრაქტული ობიექტები, თუკი ასეთები საერთოდ არსებობენ. მართებული იქნება იმის თქმა, რომ ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს არის ყველაფერი, რაც ნამდვილად არსებობს. ონტოლოგიისთვის კი ერთადერთ ჭეშმარიტ საკითხად შეიძლება იყოს ის, თუ როგორი სახის საგნები არსებობენ. თუმცაღა, მეინონგ-ის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ ეს არ არის ყველაფერი ის, რაც არსებობს. არსებობენ აგრეთვე სხვა სახის რამეები – ისეთები, რომლებიც არ არსებობენ - და ამის აღიარებით ისინი ამტკიცებენ აგრეთვე იმასაც, რომ რეალობა დაყოფილია ორი სახის რამედ – არსებულად და არ-არსებულად. შეიცავს თუ არა სინამდვილე ორი კატეგორიის რამეებს- არსებულსა და არ-არსებულს, თუ მხოლოდ ერთს – არსებულს, წარმოადგენს მთავარ საკითხს არ-არსებულ საგანთა შესახებ კამათში და როგორც ასეთი, ეს საკითხი წარმოადგენს ყველაზე სპეკულაციულ კამათს ონტოლოგიაში“.

მოყვანილი მოსაზრებიდან შეგვიძლია გამოვკვეთოთ ფუნდამენტური კითხვა: შეიცავს თუ არა სინამდვილე ორი კატეგორიის რამეებს- არსებულსა და არ-არსებულს, თუ მხოლოდ ერთს – არსებულს? აღნიშნულ კითხვას კი მივუსადაგოდ შემდეგი: რა არის ის, რასაც აღიქვამს ცნიბიერება: მხოლოდ არსებული, თუ მას შეუძლია აგრეთვე ისეთი ფენომენების აღქმა (ან/თუ პროეცირება), რაც არარსებულია? – „როგორიც არ უნდა იყოს ურთიერთმიმართების მექანიზმი, სიტყვები რაღაცნაირად აღნიშნავენ საგნებს, თუმცაღა მათ შეიძლება მარცხი განიცადონ, რადგანაც ჩვენ ვართ მცდარობისაკენ მიდრეკილების მქონე არსებები და როგორც არ უნდა მოვახერხოთ ის, რომ ჩვენმა სიტყვებმა აღნიშნონ საგნები სინამდვილეში, ჩვენ ვცდებით შემთხვევებისა

და მოვლენების აღწერისას. ასე რომ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ვცდილობთ მუდმივად არსებულ კონკრეტულ რამეებზე საუბარს, აქაც კი შეიძლება ჩართული იყოს ისეთი შეცდომები, რომლებიც არღვევენ მიმართებით კავშირებს და ჩვენ ვამთავრებთ იმით, რომ ვიწყებთ საუბარს არარაზე.

ზოგჯერ ჩვენ უბრალოდ ვთხზავთ რაღაცას და არც კი ვცდილობთ ვისაუბროთ იმაზე, რაც სინამდვილეშია. რა თქმა უნდა, ჩვენ შეიძლება ვაკეთებდეთ იმას, რასაც არც კი ვცდილობთ, მაგრამ ეჭვგარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ნამდვილი საოცრება იქნებოდა ის, რომ სინამდვილე უკვე შეიცავდეს ყველაფერ იმას, რასაც ჩვენ ვთხზავთ და რომ ჩვენ ვიწყებდეთ საუბარს ნამდვილად არსებულზე მაშინაც კი, როდესაც არც კი ვცდილობთ ამას“ (T. Hofweber & A. Everett; 2000).

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების (არ-არსებული ობიექტების არსებობის მტკიცება) საპირისპირო პარმენიდესეული დებულებაა: “რაკიღა ფიქრობს, რომ არსის გვერდით საერთოდ არ არის არავითარი არარსი, პარმენიდეს მიაჩნია, რომ აუცილებლობით არსებობს მხოლოდ ერთი, კერძოდ, არსი და სხვა არაფერი.” (არისტოტელეს კომენტარი).

თუკი დავეთანხმებით პარმენიდესეულ დებულებას, მაშინ გამოდის, რომ არსის აღქმისას ცნობიერება ან აღიქვამს, ან ვერ აღიქვამს მას სწორად, სხვა ტერმინებით – არსებობს მხოლოდ არსი, მისი ცნობიერი აღქმა კი ან სწორია ან არასწორი.

მსჯელობას ვაგრძელებთ ფაქტისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების კონტექსტში, სადაც კითხვა უნდა დაისვას შემდეგი სახით: როგორია ცნობიერების მიმართება ფაქტისადმი. ზოგიერთი მოაზროვნე აზრს (ცნობიერ-კოგნიტიურ პროცესს) აიგივებს არსთან: ”თუ ასეა, მაშინ ჭვრეტა იგივე უნდა იყოს, რაც ჭვრეტის საგანი, გონება კი იგივე, რაც გონით საწვდომი. არადა, მიუღწეველი დარჩება ჭეშმარიტება. არსის ნაცვლად მას დარჩება ჭეშმარიტება. არსის ნაცვლად მას ექნება მხოლოდ მათი ანაბეჭდი, რომელიც განსხვავდება არსთაგან და არ არის ჭეშმარიტება, რადგანაც ჭეშმარიტება არ უნდა იყოს გონებისაგან განსხვავებული საგნის ცოდნა; რასაც ის გვაუწყებს, უნდა იყოს არსი; ერთი და იგივეა გონებაც, გონით საწვდომიცა და

არსიც; ესაა პირველი გონებაც, რომელიც ფლობს არსთ, ან უფრო ზუსტად, იგივეა რაც არსნი.” (პლოტინი) აზრისა და არსის სრული ერთიანობა. მხოლოდ ჭეშმარიტი არსია აზრის ერთადერთი საგანი. მეტიც, აზრი იგივეა, რაც არსი: “ერთი და იგივეა აზრი და ის, რასაც აზრი იაზრებს. არსის გარეშე ვერ ჰპოვებ არზრს; აზრი არსში გამოითქმის. სხვა რამ არ არის და არც იქნება.” (პლატონი, “ტიმეოსი“)

აქ ხაზი ესმება გონების ორადობას, აზროვნებისა და არსებობის ერთგვარ დუალიზმს. მაგრამ ეს დუალიზმი უფრო ნომინალურია, ვიდრე რეალური. გონების არსი აზროვნებისა და არსებობის ერთიანობაა, ან უფრო ზუსტად, მათი იგივეობა.

ქვემოთ მოგვყავს ანტიკურ მოაზროვნეთა დებულებები არსისა და აზრის ერთიანობასთან დაკავშირებით:

პარმენიდეს ფორმულა- „ერთი და იგივეა აზრი და არსი“;

- „გონების ქმედითობა ესაა ჭვრეტა თუ აზროვნება, რომლის ერთადერთი საგანიც შეიძლება იყოს მხოლოდ გონება“;

- „გონების აზროვნება არის აზროვნების აზროვნება“ (ნოესის ნოესეოს)- არისტოტელე;

პროკლე დიადოხოსი: „გონება მხოლოდ თავის თავს იაზრებს“;

მოაზროვნე გონება და მისი აზროვნების საგანი აქ მთლიანად ემთხვევა ერთმანეთს. აზროვნება თვით აზროვნების პროცესშივე ქმნის თავის საგანს, ასე რომ, გონების მთელი სამყარო, ერთსა და იმავე დროს, სუბიექტიცაა და ობიექტიც. (შემმეცნებელი და შემეცნებული).

მოყვანილი დამოწმებების გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების, როგორც მენტალურ-კოგნიტური პროცესის გაიდეალება და მისთვის რეალობის წარმომქმნელი ატრიბუტის მინიჭება მეტადრე იხრება სოლიფსიზმისკენ, რომელიც გონებას ანიჭებს უპირატეს და განმსაზღვრელ როლს რეალობასთან მიმართებაში.

მსგავსი აზრია განვითარებული გორგიასა და პროტაგორას მსჯელობებში, სადაც ისინი მიდიან იმ დასკვნებამდე, რომ: „ყოველი ჩვენი წარმოდგენა, ყოველი ჩვენი მსჯელობა ერთნაირადაა ჭეშმარიტი. ყოველი აზრი არის ჭეშმარიტი“; „არ

შეიძლება არსებობდეს ერთდროულად ორივე – არსი და არარსი“; “თუ ის, რაც წარმოიდგინება, არის თვით არსი, მაშინ არსებობს ყველაფერი ის, რაც წარმოიდგინება; მაგრამ არავის შეუძლია თქვას, რომ თუ წარმოვიდგენთ მფრინავ კაცს ან ზღვაზე მოძრავ ეტლს, მაშინ ისინი ასევე კიდეც არსებობენ“; “საგანი სხვაა, აზრი – სხვა და სიტყვა კიდევ – სხვა“.

ქვემოთ კი გადმოცემულია კოგნიტური პროცესი თავად ცნობიერებაშივე, სადაც ჩანს დუალიზმი შემეცნებასა და შემმეცნებელს შორის:

„... კი მაგრამ, გონება თავისი ერთი ნაწილით ჭვრეტს მეორე ნაწილს? მაშინ ცალცალკე გვექნება მჭვრეტელი და ჭვრეტის საგანი; ეს კი აღარ არის თვითჭვრეტა, მაგრამ თუ მისი ნაწილები სავსებით ერთგვაროვანია, ასე რომ, ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, არაფრით არ განსხვავდება მეორე ნაწილისაგან, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? მაშინ იმ ნაწილს ჭვრეტისას, რომელიც იგივეა, რაც თვითონ, ის თავის თავსვე ჭვრეტს, რადგან მჭვრეტელი არაფრით არ განსხვავდება ჭვრეტის საგნისგან. – ჯერ ერთი, უაზრობაა მისი ასე დანაწევრება. მაინც, როგორ დანაწევრდება იგი? ყოველ შემთხვევაში, არა ისე როგორც ჩვენ მოგვეპრიანება. ანდა ვინ დაანაწევრებს? ნაწილი, რომელიც ჭვრეტს, თუ ნაწილი, რომელიც ჭვრეტის საგნად გვევლინება? ეგეც არ იყოს, როგორ შეიცნობს მჭვრეტელი თავის თავს ჭვრეტის საგანში, რაკიღა თავი თვითონვე დასახა მჭვრეტელად? რადგან ჭვრეტა ჭვრეტის საგანში როდია. ან იქნებ, თუკი შეიცნობს, მჭვრეტელად კი არა, ჭვრეტის საგნად შეიცნობს თავს? ასე რომ, მთლიანად როდი შეიცნობს. რასაც ის ხედავს, ჭვრეტის საგანია და არა მჭვრეტელი, მაშასადამე, სხვაა და არა თვითონ. ან არადა, იქნებ თვითონვე უმატებს მჭვრეტელს, რათა მთლიანად შეიცნოს თავი? მაგრამ თუ ის თავის თავს აღიქვამს როგორც მჭვრეტელს, იმავდროულად აღიქვამს ჭვრეტის საგანსაც. რაკი ყველაფერი, რასაც ჭვრეტით აღიქვამს, ჭვრეტაშივე ეძლევა მას, ამიტომ ორში ერთია: ან ყოველივე ეს ჭვრეტის საგანთა ანაბეჭდებია და გონება არ ფლობს მათ, ან პირიქით, ფლობით კი ფლობს, მაგრამ თავისი განწილულობის გამო ვერ ხედავს მათ; ისინი გონების, როგორც მჭვრეტელისა და მფლობელის ყოველგვარ განწილულობამდეც იქ იყვნენ. თუ ასეა, მაშინ ჭვრეტა იგივე უნდა იყოს, რაც ჭვრეტის საგანი, გონება კი იგივე, რაც გონით

საწვდომი. არადა, მიუღწეველი დარჩება ჭეშმარიტება. არსის ნაცვლად მას დარჩება ჭეშმარიტება. არსის ნაცვლად მას ექნება მხოლოდ მათი ანაბეჭდი, რომელიც განსხვავდება არსთაგან და არ არის ჭეშმარიტება. რადგანაც ჭეშმარიტება არ უნდა იყოს გონებისაგან განსხვავებული საგნის ცოდნა; რასაც ის გვაუწყებს, უნდა იყოს არსი; ერთი და იგივეა გონებაც, გონით საწვდომიცა და არსიც; ესაა პირველი გონებაც, რომელიც ფლობს არსთ, ან უფრო ზუსტად, იგივეა რაც არსნი.” (პლოტინი).

გონების თვითჭვრეტა უკვე არსია, ხოლო არსი - ქმედითი თვითჭვრეტა: გონება - აზრისა და არსის სრული ერთობაა. მაგრამ არსი ან თვითონვე აზროვნებს, ან აზროვნების საგნად გვევლინება. გონების აზროვნება აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ამიტომ აზროვნების საგანი არ შეიძლება განსხვავდებოდეს მოაზროვნე გონებისაგან, ვინაიდან აბსოლუტური ჭეშმარიტება ნიშნეულია მხოლოდ აზროვნების იმ სუბიექტისთვის, რომელიც უშუალოდ ფლობს თავის ობიექტს. ამიტომაა, რომ ობიექტი არ შეიძლება მოაზროვნე გონების მიმართ რაღაც გარეშე, რაღაც გარეგნული იყოს. გონება არის აზროვნება, რომელიც თავის თავს იაზრებს. როგორც მოაზროვნე, ის გონებაა, როგორ აზროვნების საგანი - არსი. – მასში შეუძლებელია ნამდვილისა და შესაძლებლის გარჩევა-განსხვავება. გონებაში ყველაფერი ნამდვილია და რეალური. როგორც მისი ქმედითობის ნაყოფი, გონების ქმედითობა კი აზროვნებაა, მაგრამ ეს არაა მაძიებელი აზრი, ლოგიკური სილოგიზმების მეშვეობით რომ გადადის ერთი მსჯელობიდან მეორეზე. (პლატონი, “ტიმეოსი“).

რეალობისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების მხრივ საინტერესოა პოლიტიკური დისკურსის ფაქტის სუბიექტურად ინტერპრეტაციის ზემოხსენებული თვისება (რაც არ გამორიცხავს მის ობიექტურ აღქმა-ინტერპრეტაციას). ამისათვის შესაძლებელია ახლანდელი გლობალური მოვლენის მაგალითად გამოყენება კოვიდ-19-ის პანდემიის სახით. აღნიშნულ გლობალურ ინფექციასთან მიმართებაში გამოვლინდა არაერთგვაროვანი რეაქციები გლობალური მასშტაბით, შესაბამისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური იმპლიკაციებით. როგორც ცხადი გახდა, თავად ამ ლეტალური ინფექციის არსებობის ფაქტი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანთა დიდ ნაწილს დაეჯერებინა მისი არსებობა და შესაბამისად, იგნორირებულ

იქნა მისი რეალური საფრთხე, რამაც კონკრეტულ ქვეყნებში მძიმე შედეგები მოიტანა. ჩვენთვის კი საინტერესოა ამ ფაქტის (პანდემიის) დისკურსულ-იდეოლოგიური ინტერპრეტაციების ნაწილი, სადაც იგი გადაიქცა იდეოლოგიურ პარადიგმებს შორის დაპირისპირების საგანი. მაგალითისთვის, აღმოჩნდა, რომ პანდემიას არსებულად და შესაბამისად - რეალურ საფრთხედ აღიქვამენ მემარცხენე იდეოლოგიის მიმდევრები, ხოლო არარსებულად და ფაბრიცირებულად კი მიიჩნევენ მემარჯვენე-კონსერვატიული მენტალობის მქონენი. თუკი ზემოთმოყვანილ თეორიულ ნაწილს ხსენებულ ფაქტს მოვარგებთ, შეგვიძლია ვთქვათ რომ ფაქტი (პანდემია) არის თავისთავადი მოცემულობა, ხოლო განსხვავებულია მისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური ინტერპრეტაციები, სადაც ერთნი არ უარყოფენ მის არსებობას და ცდილობენ ადექვატურად იმოქმედონ მასთან მიმართებაში (დემოკრატები), ხოლო მეორე მხარე კი ახდენს მის იგნორირებას და არ არის ადექვატური რეაგირების მხრივ (კონსერვატორები).

შეგვიძლია მოვიყვანოთ ობიექტური მოცემულობის განსხვავებული ინტერპრეტაციის კიდევ ერთი მაგალითი. აღსანიშნავია, რომ იგივე ტიპის რეაქციით გამოირჩა რელიგიური დისკურსი ფაქტის ინგორირების მხრივ და როგორც დისკურსი, იგი დაუპირისპირდა მედიცინის (მეცნიერულ) დისკურსს, რაც, თავისთავად მისი ერთერთი მთავარი მახასიათებელია, ზოგადად.

აქ აშკარაა ერთი რამ: ერთნი ობიექტურად აფასებენ რეალურ მოცემულობას, მეორენი კი ახდენენ ფაქტის ინგორირებას და არაადექვატურნი არიან (ფაქტის) შეფასებაში. ეს ყველაფერი კი აისახება და გამოიხატება მათ მიერ წარმოებულ დისკურსებში, რასაც ჩვენ ენობრივი თამაშის სახით განვიხილავთ.

თუკი ვაღიარებთ, რომ არსებობს რეალობის სწორი და დამახინჯებული აღქმა-ინტერპრეტაცია, ეს ავტომატურად ნიშნავს იმასაც, რომ არსებობენ ობიექტური და არაადექვატური დისკურსები. მაგრამ დისკურსები და მათი ობიექტურობა-მცდარობა არ შეიძლება აღებულ იქნას როგორც ცალკე, დამოუკიდებელად არსებული ფენომენი, რადგანაც მეტყველება, როგორც ასეთი (რაც მოცემულ კონტექსტში ჩვენს მიერ აღინიშნება განზოგადებული ტერმინით *დისკურსი*) ვერ იქნება გაგებული

ცნობიერებისგან დამოუკიდებლად, რადგანაც მეტყველება (იგივე *დისკურსი*) არის ცნობიერი პროცესის შედეგი, მისი პროდუქტი და შესაბამისად, იგი არის მეორადი აზროვნებასთან, კოგნიტურ აქტივობასთან მიმართებაში. აქედან გამომდინარეობს, რომ მართებული აზროვნება, როგორც ცნობიერი პროცესი, წარმოშობს ასევე მართებულ, ობიექტურ მეტყველებას (გაგებულს, როგორც *დისკურსი*), ხოლო არა-ფაქტობრივი, რეალობას მოწყვეტილი აზროვნება კი წარმოშობს მცდარ, დამახინჯებულ დისკურსს. ჩვენ ამოვდივართ იმ მტკიცებიდან, რომ შეუძლებელია არსებული ყველა დისკურსი/მსჯელობა იყოს თავისთავად მართებული და სწორად ასახავდეს არსებულს. ბევრი მსჯელობა (დისკურსი) შეიძლება დამახინჯებულად ასახავდეს არსებულს ან საერთოდ, შეიძლება არარსებულსაც კი.

როგორც ვხედავთ, ცნობიერ-კოგნიტური პროცესისას ხდება სუბიექტ-ობიექტის ცნებების აღრევა-გაერთიანება. აღნიშნულის თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანთ ცნობიერების სინამდვილისადმი მიმართების კონტექსტში ცნობიერების ფარგლებში მენტალური დანაწევრების გაუცხოების მაგალითს: („მე“ - „ჩემს თავს“).

აქ განსახილველად ვიღებთ ორდინალურ ფრაზებსა და გამონათქვამებს რომლებიც გამოხატავენ ცნობიერების დანაწევრება-გაუცხოებას: “მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ”, “მე ჩემს თავს ვფლობ”... აქ იკვეთება წინააღმდეგობა: “მე” და “ჩემს თავს” ორი სხვადასხვა სუბიექტია ერთსადაიმავე ცნობიერებაში. აქ “ჩემს თავს” წარმოჩნდება როგორც “მე”-ს რეფლექსია, მისგან გაუცხოებული. უფრო სწორად, პირველი წარმოადგენს სუბიექტს, ანუ ის, რაც ახორციელებს მოქმედებას რაღაცის მიმართ, ხოლო მეორე წარმოადგენს ობიექტს, ანუ იმას, რის მიმართაც ხორციელდება მოქმედება. არის თუ არა ამ ორი ნაწილის ურთიერთ მიმართება ობიექტური თუ ნომინალური? (“მე” და “ჩემს თავს”).

ზემოთ მოყვანილი დებულების გასამყარებლად მოგვყავს ჰეგელისეული ნააზრევი, სადაც ის განასხვავებს ცნობიერებასა და თვით-ცნობიერებას - “ცნობიერების სინამდვილეა თვით-ცნობიერება და ეს უკანასკნელი არის პირველის საფუძველი, ამის გამოხატულებაა: მე=მე.

თუკი შევადარებთ ჰეგელისებურ დუალიზმს (მე=მე) ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითს დანაწევრებული მენტალური პროცესის შესახებ, იგი შეიძლება გამოიხატოს შემდეგი ფორმით: მე=ჩემს თავს.

პოლიტიკური აზროვნების კონტექსტში კი ეს უნდა ნიშნავდეს: პოლიტიკური აზროვნება არის "მე"-სა და "ჩემს" შორის თვით-კონტროლისა და თვით-რეგულაციის საშუალება, "როდესაც აზროვნება საკუთარ თავში ქმნის უცხო, განსხვავებულ ობიექტს და საბოლოოდ სუბიექტის თვითობა გარდაიქმნება სხვაობაში" (დოლიძე, 2007),

შემდეგი ფუნდამენტური საკითხია არსის ასახვა ცნობიერებაში (მენტალური წარმოდგენა/რეპრეზენტაცია მასზე) და მისი ლინგვისტური გამოხატულება – ენობრივი ნიშანი. აქ ძირითადი აცენტი კეთდება ენობრივი ნიშნის პირობითობაზე. საკითხის ფარგლებში საინტერესოა ენობრივი ნიშნის (მნიშვნელობის) სტოელთა ცნება (Lecton) და თანამედროვე ლინგვისტიკაში აქტუალური სემანტიკური სამკუთხედის ცნებების ერთმანეთთან შედარება და მათ შორის პარალელების გამოვლენა.

სტოელთა მიხედვით სამი ელემენტი უკავშირდება ერთმანეთს - აღნიშნული (აზრი), აღმნიშვნელი (ბგერები) და საგანი. აღმნიშვნელი არის სიტყვა, როგორც მაგალითად სიტყვა „დიონ". აღნიშნული არის თვით საგანი, რომელიც გამოიხატება სიტყვის მეშვეობით - და ჩვენ აღვიქვამთ მას როგორც ჩვენს შემეცნებაში დაფუძნებულს, ბარბაროსები კი ვერ არჩევენ მას, თუმცაღა, ესმით სიტყვა. საგანი კი ცნოებიერების გარეთ მყოფია. ამ ელემენტთაგან ორს ფორმა გააჩნია- ესენია ბგერითი აღმნიშვნელი და საგანი. ერთი კი უფორმოა - (lecton).

ვგებულობთ, რომ "Lecton" სტოიკოსების მიხედვით პირველ რიგში არა მატერიალური ბუნებისაა, რომ ის არის გააზრებული გამოთქმის საგანი რომელიც არ დაიყვანება ფიზიკურ საგნამდე რომელიც გამოითქმის, არც სიტყვიერ ბგერებამდე, რომელთა მეშვეობითაც იგი გამოითქმის. აგრეთვე იმასაც, რომ პირველ რიგში

„Lecton“-ს ახასიათებს თავისი იმანენტური სინამდვილე, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება მატერიალური საგნების ობიექტურ სინამდვილეს.

არისტოტელეს მიხედვით არსებობს მხოლოდ ორი ნაწილი, რომელიც ურთიერთკავშირშია- ადამიანური სუბიექტის გარეთ მყოფი ობიექტი და სუბიექტი თავისი ცნობიერებითა და ენით, რომლის მეშვეობითაც ადამიანი შეიცნობს საგნებს და აღნიშნავს მათ. სტოიკოსებს კი აქ არა ორი, არამედ სამი სრულიად განსხვავებული ნაწილი აქვთ: ობიექტი, სუბიექტი (შემმეცნებელი და აღმნიშვნელი სუბიექტი) და რაღაც შუალედური ობიექტსა და სუბიექტს შორის, კერძოდ კი გამოთქმისა და შემეცნების საგანი; სწორედ მხოლოდ ამ მესამეს მეშვეობით ხდება საგანთა შემეცნება და აღნიშვნა. ამონიუსი?? წერს: არისტოტელე გვასწავლის, თუ რა არის მათ მიერ (სახელები და სიტყვები) აღნიშნული და რომ ერთის მხრივ სახეზეა აზრობრივი წარმოდგენები (Noemata), და რომ მეორეს მხრივ, მისი (აღმნიშვნელი) და საგნის მეშვეობით ხორციელდება სახელდებისა და აღნიშვნის პროცესი და რომ არ გვმართებს აზრსა და საგანს შორის არავითარი შუალედურის მიმატება. სწორედ ამ მესამე ელემენტს უწოდეს სტოიკოსებმა ლექტონი (Lecton).

ამგვარად, „აღნიშნული“ არისტოტელეს სულაც არ ესმოდა როგორც გარკვეული სახის დამოუკიდებელი ინსტანცია აღმქმელ და აგრეთვე აღმნიშვნელ სუბიექტსა და ობიექტს შორის. სტოიკოსები კი სრულიად საპირისპიროდ, აღიარებდნენ ამ მესამე ინსტანციას და მას მკვეთრად უპირისპირებდნენ როგორც აღმნიშვნელ სუბიექტს, ისევე აღნიშნულ საგანსაც.

პირველ რიგში, “Lecton“ წარმოადგენს აღნიშნულს გააზრებულ მეტყველებაში. მეორეც - იგი ყოველთვის არამატერიალური ბუნებისაა და ბოლოს, იგი შეიძლება იყოს მცდარი ან ნამდვილი, თუმცაღა, ეს მისთვის აუცილებელი არაა.

„კატონი სეირნობს“ - სენეკას მიხედვით სტოიკოსი ამტკიცებს, რომ „სულაც არ წარმოადგენს სხეულს ის, რასაც მე ამ მომენტში გამოვთქვამ, არამედ იგი არის რაღაც, რაც მიანიშნებს მასზე“.

საგანი

მნიშვნელობა	ენობრივი ნიშანი (სიტყვა)

აქ მოცემულია ძირითადი კომპონენტი - საგანი (1), რომელიც იძენს მნიშვნელობას (2), რომელიც თავის მხრივ გადმოიცემა ენობრივი ნიშნის მეშვეობით (3). იგივე სტრუქტურა და იგივე სამი კომპონენტი ქმნიან სტოელთა ცნებას: მნიშვნელობა (აზრი), ბგერები (სიტყვა) და საგანი. სტოელთა აღნიშნული ცნების კომპონენტები თანამედროვე სემანტიკური სამკუთხედის ცნების იდენტურია. სამი ელემენტი ქმნის ერთ მთელ სისტემას. სტოელთა მიხედვით ამ კომპონენტთაგან ორი (ბგერები და საგნები) მატერიალური ბუნებისაა და ერთი კომპონენტი კი არა-მატერიალურისა (მნიშვნელობა/აზრი). აღნიშნული სამ კომპონენტიანი სისტემის ბოლო კომპონენტს სტოელებმა უწოდეს "ლექტონი".

სექსტუს ემპირიკუსი აღნიშნავს, რომ: "საგნის (გამოთქმის) ბგერა მატერიალურია, საგანიც თავისთავად, მატერიალურია, მაგრამ აღმნიშვნელი, ანუ - ლექტონი - არამატერიალურია. ლექტონის კავშირი მატერიალურ პროცესთან იყო და ყოველთვის დარჩება გადაულახავ წინააღმდეგობად" (Mortley, 1986).

არამატერიალური შუალედური კომპონენტის კავშირი სემანტიკური სამკუთხედის დანარჩენ ორ მატერიალურ კომპონენტთან ახსნილია შემდეგ დამოწმებაში: "თუკი ნიშანთა სისტემა არის მატერიალური შუამავალი ორ სხვა მატერიალურ სისტემას შორის, ასეთ შემთხვევაში ნიშანიც თავისთავად იქნება მატერიალური: თუმცაღა, კომპლექსურ ნიშანთა სისტემებში - ენებში - ნიშანი აგრეთვე წარმოადგენს კომპლექსურ ელემენტს. მთავარი აზრი აქ არის ის, რომ ორივე სისტემის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც პირდაპირ კავშირში არიან ნიშანთან, ამავე დროს აქვთ კავშირი ერთმანეთთანაც და სამივე აღნიშნული კომპონენტი ქმნის სპეციფიკური სახის კავშირს - სამკუთხედს" (Stepanov, 2011).

არისტოტელემ შენიშნა, რომ “არ შეიძლება იყოს არანაირი ბუნებრივი კავშირი რომელიმე ენის ბგერებსა და იმავე ენაში აღნიშნულ საგნებს შორის“ (Chandler, 2009). იგივე აზრი - პლატონის ინტერპრეტაციით: “კრატილში“ ჰერმოგენესმა დაარწმუნა სოკრატე ეღიარებინა, რომ “ნებისმიერი სახელი, რომელსაც არქმევ ამა თუ იმ საგანს, არის ჭეშმარიტი სახელი იმავე საგნისა; და იმ შემთხვევაში, თუკი შეცვლი ამ სახელს ნებისმიერი სხვა სახელით, ის ახალი სახელიც ისეთივე მართებული იქნება, როგორც პირველი, სწორედ ისე, როგორც ჩვენ ვუცვლით ჩვენს მონებს სახელებს სურვილისამებრ; რადგან მე ვფიქრობ, რომ არცერთი სახელი არ მიეკუთვნება ბუნებრივად და თანდაყოლილად არცერთ საგანს“ (Ibid.)

სტოიკოსთა აღნიშნულ სამ საფეხურიან აღქმით პროცესს კავშირი აქვს ფრეგეს მიერ აღწერილ სამ საფეხურიან აღქმის აქტთან:

“ესე იგი, მთვარის ერთიდაიგივე მხარე წარმოადგენს ტელესკოპში მოხვედრილი იგივე გამოსახულების განსხვავებულ ანარეკლს და არა ზუსტად მთვარეს თავისთავად. აქ სახეზეა სამ საფეხურიანი აქტი. პირველი: თავად მთვარე, რასაც მიუთითებს სახელი “მთვარე”; იგი არის სახელ “მთვარის” გამოხატულება (და არა მნიშველობა). აღნიშნულ პირველ საფეხურზე სუბიექტურობაზე საუბარი ჯერ კიდევ არ შეიძლება. ენის ყოველი სწორად გამომყენებლისათვის სახელ “მთვარის” წარმოთქმისას ის ობიექტი, რასაც აღნიშნული სახელი გამოხატავს, ყოველთვის იგივეა. მეორე საფეხურს წარმოადგენს ტელესკოპისეული გამოსახულება, ანუ “მნიშვნელობად” წოდებული მთვარის კონკრეტული ანარეკლი. ეს კონკრეტული ანარეკლი არ წარმოედგენს მთვარეს თავისთავად, არამედ იმას, რაც ამ კონკრეტული დაკვირვების ფარგლებში “მთვარედაა” აღქმული და გაგებული (Stepanov, 2011).

ნიშნის აგების მოდელები:

ოგდენ-რიჩარდსის სამკუთხედი (აზრი-სიტყვა-საგანი: ნიშანი - სიტყვა ბუნებრივ ენაში; რეფერენტი - საგანი, რომელსაც ეკუთვნის ნიშანი; აზრი - შუამავალი საგანსა და სიტყვას შორის).

სოსიური: აღსანიშნი (ცნება); აღმნიშვნელი (აკუსტიკური ხატი).

პირსი: რეფერენტი (ობიექტი); ნიშანი (რეპრეზენტატი); ინტერპრეტანტი (ობიექტის მნეტალური ხატი).

ნიშნის სოსერისეულ გაგებასთან დაკავშირებით არსებობენ განსხვავებული მიდგომები - "ნიშნის პირობითობის ცნება წარმოადგენს რადიკალურ ცნებას რადგანაც იგი გვთავაზობს ენის ავტონომიურობას მის კავშირში რეალობასთან". სოსერისეული მოდელი ნიშანთა სისტემის ფარგლებში შინაგან სტრუქტურებზე თავისი ხაზგასმით შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას ისე, რომ თითქოს იგი მხარს უჭერს იმ მოსარებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ენა კი არ "ასახავს" რეალობას, არამედ ახდენს მის კონსტრუირებას, ქმნის მას. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ენა იმ მიზნით, რომ "გამოვთქვათ ის, რაც არ არსებობს რეალობაში, ისევე როგორც გამოვთქვათ ის, რაც არსებულია, და რადგანაც ჩვენ შევიმეცნებთ გარე სამყაროს იმ ენის მეშვეობით, რომლის მატარებლებიც ჩვენ ვართ, ლეგიტიმურია ის არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენივე ენა განსაზღვრავს რეალობას და არა პირიქით, რეალობა განსაღვრავს ჩვენს ენას".

საგნებსა და მათ აღმნიშვნელებს შორის კავშირი გაანალიზებულია ნეტარი ავგუსტინეს "De Doctrina Christiana" - ში: "საგნები არაფერს არ აღნიშნავენ, ისინი თავისთავადი მოცემულობებია. ნიშნები კი წარმოადგენენ იმას, რომელთა მეშვეობითაც აღინიშნება სხვა რამეები (საგნები). ამასთანავე, ყოველი ნიშანი ამავე დროს საგანია (ფაქტია), რადგანაც, თუკი ის არაფერია (არამატერიალურია), მაშინ ის არარსია" (Augustine, De Doctrina Christiana). - აქ ავგუსტინე არ ამატებს მესამე კომპონენტს - მნიშვნელობას "ლექტონს" / არისტოტელეს მსგავსად.

ლინგვისტური ნიშნის სამი განზომილება (ტიპი) ლოსევის მიხედვით: არსებობს ობიექტური რეალობა რომელიც მატერიალური ბუნებისაა და რომელიც ქმნის ყველაფერს თავის თავში. იგი საკუთარ თავში მოიცავს საგნებსა და ფენომენებს რომლებიც არსებობენ ჩვენი ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად თუმცა, შესაძლებელია ჩვენს მიერ მათი აღნიშვნა-გადმოცემა ჩვენივე აღქმის ფარგლებში. მეორეც, არსებობს იმავე სახის რეალობა მაგრამ ასახულ-რეპრეზენტირებული ჩვენს ცნობიერებაში. ეს იგივე სახის რეალობაა ე.ი. იგივე საგნები და ფენომენები აღებული

არა თავისთავად, არამედ აღებული როგორც გარკვეული ფორმები და იდეები/შეხედულებები. მესამეც, არსებობს მესამე სახის რეალობა/ეგზისტენცია რომელიც არსებობს ობიექტურ რეალობასა და ცნობიერ-სემანტიკურ არსებობა/ეგზისტენციას შორის. ამ სახის ეგზისტენცია არის ლინგვისტური ხასიათისა რომელიც განსხვავდება ცნობიერ-სემანტიკური ეგზისტენციისაგან შემდეგი ნიშნით: იგი არ წარმოადგენს რეპროდუქციას არამედ იგი არის რეალობის ტრანსფორმაციის სპეციფიკური ფორმა მისი (რეალობის) გაგების მიზნით და იგი არ წარმოადგენს ამ რეალობის მექანიკურ და პირდაპირ რეპროდუქციას. იგი არის რეალობის აღქმის თავისებური ფორმა. ეს არის სემანტიკური ეგზისტენცია (Losev, 1982). ლოსევს მიაჩნია, რომ მესამე (ლინგვისტური) სახის ეგზისტენცია ქმნის თავისივე წესებს რომლებიც შეიძლება ყოველთვის არ შეესაბამებოდეს ლოგიკას.

"როდესაც მე მეძლევა ნიშანი, მისი მეშვეობით მე ვერ გავიგებ ვერაფერს, თუკი არ ვიცი ის საგანი, რომელსაც ის ნიშანი აღნიშნავს; ნიშანი არ აღიქმება ასეთად, თუკი უცნობია მის მიერ აღნიშნული საგანი; სხვა სიტყვებით, საგანთა ცოდნა (გამოცდილება) წინ უსწრებს ნიშნის ცოდნას (10.34). შესაბამისად, ნიშანი შეიმეცნება მაშინ, როდესაც ცნობილია საგნის შესახებ და არა პირიქით, საგანს არ შევიმეცნებთ მას შემდეგ რაც მოცემულია ნიშანი" (10.33). De Doctrina Christiana

ყოველივე ზემოთმოყვანილიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი დებულებები:

1. "არ შეიძლება იყოს არანაირი ბუნებრივი კავშირი რომელიმე ენის ბგერებსა და იმავე ენაში აღნიშნულ საგნებს შორის" (არისტოტელე). 2. ნიშანი პირობითია (სოსერი) 3. საგნის ენობრივი ნიშანი არ არის მისი ბუნებრივი/თადნაყოლილი თვისება (ლოსევი) 4. საგანთა ცოდნა (გამოცდილება) წინ უსწრებს ნიშნის ცოდნას (ავგუსტინე).

რაც შეეხება ენა/ცნობიერებისა და რეალობის ურთიერთმიმართებას თანამედროვე ენის ფილოსოფიაში, აქ დავიმოწმებთ ვიტგენშტაინისეულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ როგორ აისახება ობიექტური რეალობა ცნობიერებაში: "ნებისმიერი ბუნებრივი ენა წარმოადგენს ყოფიერების ამა თუ იმ

ნაწილის პროექციას, რითიც ახორციელებს გარკვეული სახის ერთიანობას მასთან. ენა საზღვრავს ყოფიერების ფარგლებს ისევე, როგორც მხედველობა საზღვრავს თვალსაწიერის ფარგლებს. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია იმის გააზრება, რაც ენის ფარგლებს გარეთ იმყოფება – ენის შინაგანი ლოგიკისა, სწორედ ისე, როგორც არ შეგვიძლია დავინახოთ ის, რაც მხედველობის არეალის ფარგლებს გარეთ იმყოფება“. (L.Witgenstain)

შეიძლება მსგავსება დავინახოთ პარმენიდესეულ და ვიტგენშტაინისეულ შემდეგ დებულებებში: ყველაფერი, რისი გამოხატვაც შეიძლება, შეიძლება გამოიხატოს ნათლად, ხოლო ყველაფერ დანარჩენზე მართებულია დუმილი (ვიტგენშტაინი); “არარსს ვერც გამოთქვამ და ვერც მოიაზრებ, რადგანაც გამოუთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის” (პარმენიდე).

აქედან გამომდინარეობს შემდეგი: შეუძლებელია “არარსზე” (Non-existence) საუბარი, უფრო სწორად “არარსის” შესაძლებლობის დაშვება.

დავუბრუნდეთ დისკურსს არსისა და არარსის შესახებ და განვიხილოთ იგი ვიტგენშტაინისეული ინტერპრეტაციით. მაგალითად, კითხვაზე, “არსებობს თუ არა შესაძლო სამყაროები?” გაიცემა შემდეგი პასუხი: “არსებობს ან არ არსებობს”. რადგანაც შესაძლებლობა თავისთავად გულისხმობს ერთერთს ორს შორის. ან ერთია, ან მეორე. (წინააღმდეგობა) შესაბამისად, ჩვენ არაფერი ვიცით შესაძლო სამყაროთა შესახებ, როცა ვიცით, რომ ისინი ან არსებობენ, ან არ არსებობენ. ტავტოლოგიები და წინააღმდეგობები არ ასახავენ არსს.

განვიხილოთ რამოდენიმე პუნქტი ლოგიკო-ფილოსოფიური ტრაქტატიდან:

5. 153. ესა თუ ის ფაქტი ხდება, ან არ ხდება: არ არსებობს სხვა დაშვება.

2.05 არსებულ მდგომარეობათა ერთობა განსაზღვრავს აგრეთვე იმას, თუ რომელი მდგომარეობები არ არსებობენ.

2.06 მდგომარეობათა არსებობა და არ-არსებობა არის სინამდვილე. ჩვენ ვეძახით მდგომარეობათა არსებობას პოზიტიურ, ხოლო არ-არსებობას ნეგატიურ ფაქტს.

2.062 რომელიმე მდგომარეობის არსებობიდან ან არ-არსებობიდან შესაძლებელია დავასკვნათ სხვა მდგომარეობის არსებობა ან არ-არსებობა. (L.Witgenstain).

წინადადებათა ვიტგენშტაინისეული ტიპოლოგია მნიშვნელოვანია ობიექტური და მცდარი მსჯელობების გამოვლენის მხრივ:

1. წინადადება, რომელიც აღწერს ფაქტს. იგი არის სინთეზური წინადადება. (მას ცდისეული, ემპირიული ხასიათი აქვს)

2. წინადადება, რომელიც არ აღწერს ფაქტს. ამ წინადადების ლოგიკური სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ იგი არის მუდამ ჭეშმარიტი. ამ წინადადების ჭეშმარიტება გაიგება ცდისაგან დამოუკიდებელი ენის ლოგიკური სტრუქტურის საფუძველზე; იგი არის ანალიზური წინადადება. მას არაცდისეული, აპრიორული ხასიათი აქვს. მას ტავტოლოგიას უწოდებენ.

3. წინადადება, რომელიც არავითარ ფაქტს არ აღწერს. ეს არის მეტაფიზიკური წინადადება.

ამასთანავე, აუცილებელია გვქონდეს: 1) პირობები, აუცილებელი იმისათვის, რომ სიმბოლოების კომბინაციები გამოხატავდეს საზრისს და არა უაზრობას. 2) პირობები სიმბოლოებსა ან მათ კომბინაციებში გამოხატული მნიშვნელობის ან აღნიშვნის ერთმნიშვნელობის უზრუნველსაყოფად. ლოგიკურად სრულყოფილ ენას აქვს სინტაქსის წესები, რომლებიც გამორიცხავს უაზრობას და მარტივი სიმბოლები, რომლებსაც მუდამ აქვს განსაზღვრული და ერთადერთი მნიშვნელობა. Eენის არსობრივი ამოცანაა, რომ დაადასტუროს ან უარყოს ფაქტები.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია სინამდვილის (ფაქტების) ცნობიერებაში რეპრეზენტაცია (2.1): „ჩვენ ვქმნით ფაქტების ხატებს“. ხატი არის სინამდვილის

მოდელი, და სინამდვილეში მოცემულ ობიექტებს შეესაბამება ხატის ელემენტები; თვითონ ხატი კი არ არის ფაქტი. „ხატსა და გამოხატულს რამე იდენტური უნდა ჰქონდეს, რათა პირველმა საერთოდ შეძლოს, რომ იყოს მეორეს ხატი. ის, რაც ხატს სინამდვილესთან საერთო უნდა ჰქონდეს, რომ სინამდვილე გარკვეული ხერხით – სწორად ან მცდარად – გამოხატოს, არის გამოხატვის ფორმა“. (2.161.. 2.17).

ფაქტის ლოგიკური ხატი არის Gedanke (აზრი). ხატი შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს ფაქტს და აქედან გამომდინარე იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ხატსა და ფაქტს საერთო ლოგიკური ფორმა აქვს.

- ის, რასაც ვერ გავიფიქრებთ, ჩვენ ვერ გავიფიქრებთ, შესაბამისად ჩვენ ვერ ვიყვით იმას, რისი გაფიქრებაც არ შეგვიძლია. (ვიტგენშტაინი)
- “არარსს ვერც გამოვთქვამ და ვერც მოიაზრებ, რადგანაც გამოუთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის” (პარმენიდე).

წინადადებანი ლაპარაკობენ სინამდვილის შესახებ, აღწერენ ფაქტებს. წინადადებებსა და ფაქტებს აქვთ რაღაც იგივეობრივი, კერძოდ ლოგიკური სტრუქტურა, რომლის გამოთქმა ახალი წინადადებებით არ შეიძლება. ეს ლოგიკური სტრუქტურა მჟღავნდება მხოლოდ წინადადებაში, წინადადება ავლენს მას, იგი ახალი წინადადებით არ გამოითქმება.

ცნობიერების ფაქტზე მიმართების კონტექსტში (უნდა მოხდეს) განსხვავება ლოგიკურ ჭეშმარიტებასა და ფაქტიურ რეალობას შორის.

3.4. ვიტგენშტაინი: ფაქტიური და ლოგიკური ჭეშმარიტება

ფაქტიური ჭეშმარიტება ახასიათებს სინთეზურ წინადადებას და იგი აღწერს სინამდვილის ამა თუ იმ ფაქტს. ხოლო ლოგიკური ჭეშმარიტება ახასიათებთ ანალიზურ წინადადებებს. ასეთი სახის ჭეშმარიტება არ არის სინამდვილის სახე, რადგანაც უშვებს საგანთა არა რომელიმე, არამედ ყოველ შესაძლებელ მდგომარეობას.

ლოგიკური ჭეშმარიტება ფაქტზე არ არის დამოკიდებული. იგი მუდამ ჭეშმარიტი წინადადებაა, რომელსაც ძალა აქვს საგანთა ყოველი შესაძლებელი მდგომარეობისათვის. (დასავლური ფილოსოფიური აზროვნება...).

აღწერითი გამოთქმები - ახდენენ ფაქტის კონსტატაციას.

გამოთქმა მოქმედებები - ლინგვისტური აქტის მეშვეობით ხდება საგნზე ან მოვლენაზე კონტროლის დამყარება.

გამოთქმა მოქმედებების მაგალითი: რომლის დროსაც ფაქტებსა და საგნებზე მყარდება კონტროლი. გამოთქმა-მოქმედება და აღწერითი წინადადებები: "ეს საათი ჩემია" შეიძლება იყოს როგორც აღწრითი, ისე გამოთქმა-მოქმედებითიც.

ვიტგენშტაინისეული გამოუთქმელი/მისტიკურის ცნების იდენტური აზრია განვითარებული ერთერთი ძველ ჩინურ ფილოსოფიურ ტექსტში, სადაც ალეგორიული ფორმით გადმოიცემა ცნობიერ-კოგნიტური პროცესი: შედარებით გვიანდელი ჩინელი ფილოსოფოსი ჯუან ძი თავისი თხზულების ოცდამეორე თავში, რომელსაც "ცოდნის ჩრდილოური მოგზაურობა" ეწოდება, იგავის ფორმით, პოეტურად აგვიწერს უმოქმედობის არსსა და მნიშვნელობას. "ცოდნა, ჩრდილოეთში მდინარე შავი წყლის აღმა მგზავრობისას იდუმალი ბორცვის მთას რომ მიაღწია, იქ მდუმარე უმოქმედობას გადაეყარა. პირისპირ წარუდგა და ჰკითხა: "მე მსურდა გამეგო შენგან: რანაირად ვიაზროვნო, რანაირად ვიფიქრო, რომ შევიმეცნო დაო? სად არის მისი ძირი, რანაირად ვიმოქმედო, რომ უშფოთველად მივწვდე დაოს? რას მივყვე, რა გზას დავადგე, რომ დავეუფლო დაოს? "ცოდნამ სამი შეკითხვა დასვა, მდუმარე უმოქმედობას არც ერთ მათგანზე არ უპასუხია. არათუ არ უპასუხია, არც კი უწყოდა რა ეპასუხა. პასუხი რომ ვერ მიიღო, ცოდნა მდინარე თეთრი წყლის სამხრეთ სანაპიროს აუყვა, იჭვის დასასრულის ბორცვს ააღწია და იქ აღმავალ შეშლილს შეეჩეხა. ცოდნამ მასაც იმავე კითხვებით მიმართა, რაზეც აღმავალმა შეშლილმა ბრძანა: ო! ეს მე ვიცი და ყოველივეს ახლავე მოგახსენებ!" ის იყო თქმა დააპირა, რომ დაავიწყდა რა უნდა ეთქვა. ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ცოდნა ხელმწიფეთა სასახლეს დაუბრუნდა, ხუან დის წარუდგა და მასაც იმავე კითხვებით მიმართა. "არც იაზროვნო

და არც იფიქრო – აი, დასაბამი დაოს შეცნობისა. ნურც ნურსად იქნები და ნურც ნურაფერში იგულმოდგინებ – ეს არის დასაბამი დაოს უშფოთველი წვდომისა. არაფერს მისდიო და არც გზას არ დაადგე – ეს არის დასაბამი დაოს ფლობისა". მაშინ ცოდნამ ჰკითხა ხუან დის: " მე და შენ ვუწყით ეს, მხოლოდ მათ ორმა არ უწყიან. მაშ ვინ არის მართალი?" ხუან დიმ უპასუხა,- "ჭეშმარიტად მართალია მდუმარე უმოქმედობა, აღმავალი შეშლილი კი უახლოვდება ჭეშმარიტებას, ხოლო მე და შენ ვერასდროს მივწვდებით ჭეშმარიტებას, "ბრძენი დუმს, უმეცარი ქადაგებს". (ლაო ძი; დაო დე ძინი, ანუ წიგნი გზისა და სათნოებისა).

ყველაფერი, რისი გამოხატვაც შეიძლება, შეიძლება გამოიხატოს ნათლად, ხოლო ყველაფერ დანარჩენზე მართებულია დუმილი. (ლუდვიგ)

"არარსს ვერც გამოვთქვამ და ვერც მოიაზრებ, რადგანაც გამოუთქმელი და აზრით მიუწვდომელია ის, რაც არ არის" (პარმენიდე).

3.5. დისკურსის ჟანრები

ჟანრის ცნება, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა პოეტიკასა (ლიტერატურული ჟანრები) და რიტორიკაში (ორატორული ჟანრები), ნაკლები ყურადღების ცენტრში იყო ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ბახტინმა შესძინა ჟანრის ცნებას აქტუალობა დისკურსში. აქედან გამომდინარე, დისკურსის ანალიზის თეორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჟანრის ცნებასაც, რადაგან, როგორც 41 პრაქსემატიკოსები აღნიშნავენ « La production du discours, oral, comme écrit, est structurée par les genres du discours » (Detrie, Siblot, Verine, 2001 : 129). „დისკურსის პროდუცირება, ზეპირი იქნება ეს თუ წერილობითი, დისკურსის ჟანრებით არის აგებული". რადგანაც ადამიანის საქმიანობა მრავალფეროვანი და ამოუწურავია, შესაბამისად, დისკურსის ჟანრებიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მათ შესასწავლად ერთი საერთო ნიადაგის მოძებნა. მაგალითად, ეს იქნება ყოველდღიური ბანალური რეპლიკა თუ მრავალტომიანი რომანი. რადგანაც ჩვენი თემის კორპუსად ავირჩიეთ დისკურსის

ჟანრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტიპი, პოლიტიკური დისკურსი, არ შეიძლება ზოგადად, არ შევეხოთ, კერძოდ კი, ბახტინის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დისკურსის ჟანრების შესახებ. ბახტინი თავის ნაშრომში « Esthétique de la création verbale », აღნიშნავს: „Pour parler nous nous servons toujours des genres du discours…Dans la pratique nous en usons avec assurance et adresse… Ces genres du discours nous sont quasiment donnés autant que nous est donnée la langue maternelle … Les genres du discours organisent notre parole de la même façon que l'organisent les formes grammaticales » (Bakhtine, 1984: 268). „საუბრისას ჩვენ ყოველთვის დისკურსის ჟანრებს ვიყენებთ....პრაქტიკაში ჩვენ მათ დარწმუნებითა და მოხერხებით ვიყენებთ.... ეს დისკურსის ჟანრები ჩვენ თითქმის ისევე გვაქვს ბოძებული, როგორც ჩვენი მშობლიური ენა... ჩვენი მეტყველება ისევეა დისკურსის ჟანრებით აგებული, როგორც ამას გრამატიკული ფორმები ახერხებენ". ამრიგად, ბახტინის ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენ ჩვენს აზრებს გამოვხატავთ ჟანრების საშუალებით, ისე რომ ამას ვერც ვგრძნობთ და გაცნობიერებულიც არ გვაქვს. დისკურსული ჟანრების ფლობისა და ცოდნის გარეშე უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა, ყოველგვარი კომუნიკაცია რადგან ვერბალურ ინტერაქციაში მეტყველების ორგანიზება დისკურსული ჟანრებისა და, ამავდროულად, ენის სინტაქსური სტრუქტურების დახმარებით ხდება. ბახტინი აქვე გამოყოფს პირველად (მარტივ) და მეორად (რთულ) დისკურსის ჟანრებს. დისკურსის პირველად ჟანრს მიეკუთვნება სპონტანური ვერბალური გაცვლები. ხოლო, დისკურსის მეორადი ჟანრები - რომანი, თეატრი, მეცნიერული დისკურსი - თავს იჩენს კულტურული (ძირითადად წერილობითი) გაცვლის გარემოებებში, როგორიცაა მხატვრული, მეცნიერული, სოციო-პოლიტიკური, რომლებიც უფრო რთული და მეტად ღირებულნი არიან. შექმნის პროცესში ეს მეორადი ჟანრები შთანთქავენ და გარდაქმნიან პირველად ჟანრებს, რომლებიც, თავის მხრივ, სპონტანური, ვერბალური გაცვლის დროს შეიქმნა. პირველადი ჟანრები, ხდებიან რა მეორადი ჟანრების შემადგენელი ნაწილები, გარდაიქმნებიან და განსაკუთრებულ მახასიათებლებს იძენენ, კარგავენ პირდაპირ კავშირს არსებულ და სხვისი გამონათქვამების რეალობასთან, რომლებიც რომანის ნაწილს შეადგენენ. მაგალითად, ყოველდღიური დიალოგის რეპლიკა, ან წერილი არსებული რეალობის ნაწილს

შეადგენს იმდენად, რამდენადაც რომანის ნაწილია. რომანი თავის მთლიანობაში არის გამონათქვამი იმავე დონეზე, როგორც ყოველდღიური დიალოგის რეპლიკა ან პირადი წერილი, ხოლო მათგან განსხვავებით, რომანი მეორად ჟანრს განეკუთვნება. (Bakhtine 1984 : 267-284) განსხვავებას დისკურსის პირველად და მეორად ჟანრებს შორის მეტად დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ საჭიროა თავიდანვე გაირკვეს და განისაზღვროს გამონათქვამის ტიპი, ბუნება ამ ორი ტიპის ჟანრის ანალიზის მიხედვით. ლინგვისტიკისა და ფილოლოგიისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს გამონათქვამთა ჟანრების მრავალფეროვნებასა და გამონათქვამის ბუნების შესწავლას. ბახტინის აზრით: „ენა ცხოვრებაში იჭრება კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით (რომლებიც მას 43 გამოხატავენ) და ცხოვრებაც ასევე ამ კონკრეტული გამონათქვამების საშუალებით იჭრება ენაში“. (Bakhtine, 1984: 268) რაც შეეხება სტილს, ბახტინის აზრით, იგი განუყოფელია გამონათქვამისა და დისკურსის ჟანრებისაგან : « იქ რომელშიც არის სტილი, არის ჟანრიც …სტილი უცილობლად დაკავშირებულია გამონათქვამთან და გამონათქვამის ტიპიურ ფორმებთან, ანუ დისკურსის ჟანრებთან“ (Bakhtine, 1984:271). ასევე აღსანიშნავია, რომ ვერბალურ გაცვლაში (échange verbal) ნებისმიერი გამონათქვამი (ზეპირი თუ წერილობითი) ინდივიდუალურია და, ამრიგად, იგი ასახავს მოლაპარაკე სუბიექტის ინდივიდუალოურობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას გააჩნია ინდივიდუალური სტილი. ასევე, დისკურსის ჟანრების მრავალფეროვნება ნათლად წარმოაჩენს ინდივიდუალურობის ასპექტებს, ხოლო ინდივიდუალურ სტილს შეუძლია თავისი საერთო კავშირი აჩვენოს ენასთან. ამდენად, მოცემულ პარაგრაფში შევეცადეთ, გადმოგვეცა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული მოსაზრებანი, დისკურსის ჟანრთებთან მიმართებაში და გვეჩვენებინა, თუ რამდენად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს იგი დისკურსის ანალიზისა და გამონათქვამის თეორიისათვის. (თ. მშვენიერაძე, 2014)

ახდენს თუ არა ენა/დისკურსი რეალობის კონსტრუირებას (სახელდება/ფაქტ-მნიშვნელობების ინტერპრეტირების მეშვეობით) თუ იგი მხოლოდ ასახავს რეალობას პოსტ-ფაქტუმ მას შემდეგ, რაც დადგება ესა თუ ის მოცემულობა?

დისკურსის (და ამ კონტექსტში - ენობრივი თამაში) ინტენციონალურობა და სპეციფიკური მიზნით მისი წარმოება მიმართულია კონკრეტული შედეგის დადგომისკენ.

რამდენად შეესაბამება პოლიტიკურ დისკურსში აღმნიშვნელი აღნიშნულს და პირიქით? აღნიშნულ-აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება დისკურსში.

Master signifier - მთავარი აღმნიშვნელი

„მთავარი აღმნიშვნელები“ განსაზღვრავენ და ზღუდავენ ცნებების მნიშვნელობებს და ამასთანავე ისინი შეიცავენ იდეოლოგიურ შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა იფუნქციონიროს საზოგადოებამ. მთავარი აღმნიშვნელები არამტკიცებადი, თუმცა (ჩვენი) საქციელის წარმმართავი და გამმართლებელი იდეებია.

3.6. აღმნიშვნელის ნაკლოვანება

აღმნიშვნელი არ იძლევა სინამდვილის ახსნის პრინციპს არამედ გვაწვდის უთვალავ ურთიერთმიმართებას ასევე სხვა აღმნიშვნელებთან. იგი ვერ აფიქსირებს გარკვეულ მნიშვნელობას და ცნებიდან ცნებაზე გადასვლით ხდება ახალი კავშირების დადგენა. მეტიც, კონკრეტული აღმნიშვნელი, თავის მხრივ განსაზღვულია სხვა აღმნიშვნელების მიერ, ყველა სხვა აღმნიშვნელებთან მისი ურთიერთმიმართების მეშვეობით (Miller, 2016).

- “რისთვის მისცემდით საკუთარ სიცოცხლეს?
- “შვილებისთვის” “ეკლესიისთვის” “ჩემი ქვეყნისთვის” “მეცნიერებისთვის” “კაცობრიობისთვის” და ა.შ. – **მთავარი აღმნიშვნელი/მთავარი იდეა**

- აქ აღმნიშვნელი ამეტებს იმას, რასაც აღნიშნავს და ამით ასრულებს განსხვავებულ დისკურსულ ფუნქციას: ავლებს ხაზს, წერტილს უსვამს შეუსაბამო ინტერპრეტაციების ჯაჭვს მთავარი აღმნიშვნელის დაფუძნებით (“We know it is true because *science* tells us so”).

ამგვარად, ასეთი ტიპის პასუხები ახდენენ (მნიშვნელობა-ღირებულების) დროებით ფიქსაციას, აფუძნებენ მათ. კომუნიკაციის მონაწილენი მიმართავენ მთავარ აღმნიშვნელებს როგორც საბოლოო სიტყვას მნიშვნელობათა ურთიერთგაცვლის პროცესში რომლებიც ამყარებენ, ხსნიან და ამართლებენ გადაცემულ გზავნილში მოცემულ მტკიცებებს. გზავნილის მიმღებნი კი თავის მხრივ იმავე სახით რეაგირებენ მთავარ აღმნიშვნელებზე. მაშინ, როდესაც ის სხვა ცნებები და ღირებულებები, რომლებსაც ისინი აღიარებენ, შეიძლება გადაიხედოს და მათთან მიმართებაში დაისვას კითხვები, მთავარი აღმნიშვნელები მიიღება თავისთავად, ყოველგვარი რეინტერპრეტირების გარეშე. არავინ კამათობს მთავარი აღმნიშვნელების მნიშვნელობების თაობაზე - ისინი თავისთავადი, აბსოლუტური ღირებულებებია. (M. Bracher, 1994).

ამგვარ აღმნიშვნელებს ენიჭებათ გაცილებით მეტი ღირებულება სხვა აღმნიშვნელებთან შედარებით. ისინი იძლევიან მნიშვნელობათა და ღირებულებათა უმაღლეს სტანდარდტს.

მთავარი აღმნიშვნელი აერთიანებს განსხვავებულ/დაპირისპირებულ შეხედულებებს?

დომინანტური დისკურსი იყენებს მთავარ (ჰეგემონურ) აღმნიშვნელებს, რითიც მოიპოვებს უპირატესობას სხვა ტიპის დისკურსებზე. იგივე შეიძლება ითქვას

ენობრივ თამაშებზეც - დომინანტ დისკურსს გააჩნია მისთვის მახასიათებელი სპეციფიკური ენობრივი თამაში, რომელიც ახდენს მთავარი აღმნიშვნელის არტიკულაციას, რითიც აღწევს დისკურსიულ დომინანტობას. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოხდეს არსებული მთავარი აღმნიშვნელების იდენტიფიცირება ამა თუ იმ დისკურსულ ველში, რაც, თავის მხრივ არის პოლიტიკურ-იდეოლოგიური ველი (რომელიც შედგება მრავალი ენობრივი თამაშებისგან).

შესაბამისად, იკვეთება შემდეგი სქემატური კავშირი:

იდეოლოგია - დისკურსები - ენობრივი თამაშები.

ენობრივი თამაში არის რეალობის ინტერპრეტირების მცდელობა (შესაბამისი იდეოლოგიური აღმნიშვნელებით), მაგრამ იმასთანავე თავადვე ქმნის რეალობას, რაშიც იგულისხმება დისკურსული ფორმაციის პოლიტიკურ-იდეოლოგიური განზომილება.

დომინანტი დიკსურსები ახდენენ საკუთარი მთავარი აღმნიშვნელების აქტუალიზაციას და სხვა დისკურსების მთავარ აღმნიშვნელებზე მათი უპირატესობის დამყარებას.

მთავარი აღმნიშვნელები საფუძველს უდებენ სხვადასხვა ნარატივებს რომელთა მეშვეობითაც წარმოიქმნება ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მნიშვნელობები.

იდეოლოგიურ ასპექტში მთავარი აღმნიშვნელების დატვირთვა ის გახლავთ, რომ მათ შეუძლიათ განსხვავებული მოსაზრებების გაერთიანება და მათ შორის შეხების წერტილის პოვნა, რომლებიც სხვაგვარად ერთმანეთთან დაპირისპირებულ მდგომარეობაში არიან. (D. Hook, S. Vanheule, 2015)

ნებისმიერი კონკრეტული ენობრივი თამაში ემსახურება მათივე ადეპტების უტილიტარულ მიზნებს და მათი მიღწევის გზებს. ამ გაგებით ენობრივი თამაშები ფუნქციონალური კოგნიტური სტრატეგიებია.

- დემოკრატების, რესპუბლიკელების, ლგბტ-ს, რელიგიური ჯგუფების, ნაციონალისტების ენობრივი თამაშები.
- დომინანტი ენობრივი თამაში არის ხელისუფლებაში მყოფი ჯგუფის დისკურსი?

დომინანტი დისკურსი = დომინანტი ენობრივი თამაში - რომელიც სხვებზე უფრო ოსტატურად იყენებს/მანიპულირებს მთავარი აღმნიშვნელებით. (წართმეული ღირსების დაბრუნება...)

აღნიშნულიდან გამომდინარე ენობრივ თამაშებს განვსაზღვრავთ, როგორც ევოლუციური უპირატესობის მოპოვების საშუალებას რესურსებზე წვდომის მეშვეობით, რადგან პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება და მისი განხორციელება თავისთავად უდრის რესურსებზე წვდომასაც.

ენობრივ თამაშებში გაწაფულობა ქმნის პოლიტიკური გავლენის მოპოვების წინაპირობას. ამასთანავე, კომუნკაციის აგენტს უნდა შეეძლოს მთავარი აღმნიშვნელებით ოსტატურად ოპერირება ფართო აუდიტორიაზე გავლენის მიზნით.

იდეოლოგია → დისკურსი → ენობრივი თამაში → მთავარი აღმნიშვნელი → (პოლიტიკური) ძალაუფლება

მთავარი აღმნიშვნელი - როგორც აბსოლუტი.

იგი არის სუბლიმირებულ იდეათა ერთობლიობა (სუპერეგო).

იგი არის წარმმართავი ფიქცია (ადლერი). - ფიქციური იდეალი

იგი არის რეალობისგან აბსტრაგირების საშუალება და მისი შედეგი.

- მნიშვნელობათა უნიფიცირების და საერთო, ყოვლის მომცველი და განმსაზღვრელი საბოლოო იდეის გამოყვანა.

რაც უფრო ძლიერია დაუცველობის გრძნობა, მით უფრო მეტად ხდება ფიქციის აქცენტირება რეალობიდან აბსტრაგირების ზრდით და მით უფრო უახლოვდება იგი დოგმას.

ენობრივი თამაშების ტიპოლოგია/კლასიფიკაცია დისკურსების ტიპოლოგიის მსგავსად, მათი ჩამოთვლა, მათი იდეოლოგიური საფუძვლების დადგენა, შესაძლებელია მემარცხენე-მემარჯვენე დისკურსების მსგავსად მათი კლასიფიცირებაც. მათი მიმართება მთავარ აღმნიშვნელებთან. იმის დადგენა, თუ ვინ ოპერირებს (და შესაბამისად - მანიპულირებს) მთავარი აღმნიშვნელებით. დომინანტი-დაქვემდებარებული დისკურსების კონტექსტში.

მაგალითისთვის, პოლიტიკოსების მიერ (პოლიტიკური) მიზნების მიღწევის მიზნით გამოყენებულ კიდევ ერთ დისკურსიულ სტრატეგიად შეიძლება ჩაითვალოს საკუთარი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების გამოყენება მათ მიერ წარმოებულ საჯარო დისკურსში. ხსენებული განხილულ უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ფსიქო-ლინგვისტური მოვლენა. ამ მხრივ, პოლიტიკოსების მიერ საჯარო/ფორმალურ დისკურსში თავიანთი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების გამოყენება შეიძლება განვიხილოთ როგორც ***ენობრივი თამაშის*** განსაზღვრული კომპონენტი, როგორც კონკრეტული დისკურსიული სტრატეგია, რასაც კონკრეტული სარგებელი მოაქვს (უნდა მოჰქონდეს) მათი გამომყენებლებისთვის. ზოგადი განმარტებით, საკუთარი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების საჯარო-ფორმალურ დისკურსში გამოყენებით პოლიტიკოსები ცდილობენ საზოგადოების თვალში შეიქმნან დადებითი იმიჯი, როგორც „ერთერთი მათგანისა“, საზოგადოების „რიგითი წევრისა“. ეს კი, თავის მხრივ, განისაზღვრება როგორც **შთაბეჭდილების მართვის** ერთგვარი ტაქტიკა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი სახელის (ფორმის) შეცვლას პრაგმატული თვალსაზრისით გარკვეული ფუნქცია/უპირატესობა უნდა ჰქონდეს. შეიძლება ვამტიკოცთ, რომ ასეც არის: „სახელის შეცვლის გადაწყვეტილება შეიძლება ნაწილობრივ იქნას განპირობებული იმ სავარაუდო სარგებლიანობით, რომელიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ გაცვლასთან. მაგალითად, დადგინდა, რომ

სახელის შემოკლების სურვილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული კეთილგანწყობასთან, საკუთარი გამოცდილებით კმაყოფილებასთან“ (Darrel, Drury, McCarthy, 1980).

როგორც წესი, ფორმალური და არაფორმალური დისკურსების ფარგლებში საკუთარი სახელების ოფიციალური და კნინობითი ფორმების გამოყენება უნდა ექვემდებარებოდეს მკვეთრ გამიჯვნას, ესეიგი, სახელთა ოფიციალური ფორმა უნდა გამოიყენებოდეს ფორმალურ-ინსტიტუციონალურ დისკურსებში (როგორიცაა პოლიტიკური დისკურსი), ხოლო მათი კნინობით-მოფერებითი ფორმები კი უნდა გამოიყენებოდეს არაფორმალურ დისკურსში (არაფორმალურ-ინტერპერსონალური კომუნიკაციისას): „... ოფიციალური სახელი უნდა იყოს ერთი, **მოფერებითი სახელების ოფიციალურ სახელებად გამოყენება დაუშვებელია,** მაგრამ მოფერებით სახელთა მოწესრიგებაცაა საჭირო.

ყოველგვარი მოფერებითი სახელის ხმარებაც არ ვარგა. ამიტომ სარეკომენდაციო სიაში ოფიციალური სახელების (არა ყველას) გვერდით ფრჩხილებში მოთავსებულია სათანადოდ შერჩეული შინაური, მოფერებითი სახელებიც. მაგალითად: **ანა (ანიკო, ანო, ანუკა), ეკატერინე (ეკა, კატო), მარიამი (მარო, მარიკო), სოფიო (სოფო, სოფიკო), ალექსანდრე (სანდრო), გრიგოლი (გიგა, გიგო, გიგოლი, გიგლა), გიორგი (გიო, გია, გოგი, გოგიტა), ზაქარია (ზაქრო, შაქრო), მიხეილი (მიხა, მიხო, მიხაკო)** და სხვა. ფრჩხილებში ჩასმული სახელები რეკომენდირებულია ოფიციალურ სახელთა შესაბამის არაოფიციალურ სახელებად. ოფიციალურ დოკუმენტებში (პასპორტში, პარტბილეთში, პირადობის მოწმობაში, ატესტატში, დიპლომში...), დაწესებულებებსა და სკოლებში სახმარებლად, ოფიციალური სიების შედგენისას და სხვა მსგავს შემთხვევებში **მათი ხმარება დაუშვებელია.**“ (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები : პირველი კრებული/ რედაქტორი: ივ. გიგინეიშვილი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია გვ. 238-240).

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ხსენებული ტენდენცია შეიმჩნევა არა მხოლოდ პოლიტიკოსებში, არამედ სხვა საჯარო პროფესიის ინდივიდებშიც.

მაგალითად, ჟურნალისტების დიდი ნაწილი მედია სივრცეში (საჯაროდ) იყენებს თავიანთი სახელების კნინობით-მოფერებით ფორმებს. იგივე შეიძლება ითქვას საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულების მიმართაც, როდესაც ოფიციალური კორესპონდენციისას იყენებენ სახელების მოფერებით ფორმებს.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკოსების მიერ ხსენებული წესი უგულებელყოფილია საჯარო დისკურსის წარმოებისას, რაც, როგორც ზემოთ უკვე იქნა ხაზგასმული, წარმოადგენს ენობრივი თამაშის შემადგენელ ნაწილს, ერთგვარ დისკურსიულ სტრატეგიას, რაც, თავის მხრივ მოაზრებულ უნდა იქნას როგორც შთაბეჭდილების მართვის ტაქტიკა. შესაბამისად, პოლიტიკოსების მიერ წარმოებულ ამ სახის ენობრივ თამაშში ხდება ფორმალური და არაფორმალური დისკურსიული ელემენტების ერთმანეთში აღრევა (ცალკე მსჯელობის საგანია როგორ ხდება ეს - გაცნობიერებულად, თუ გაუცნობიერებლად) - სახეზეა დისკურსიული შეუსაბამობა, როდესაც ხდება ერთი დისკურიული ელემენტის მეორეში გამოყენება.

შეიძლება თუ არა, პოლიტიკოსების მიერ საჯარო დისკურსში მაში სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების გამოყენება მიჩნეულ იქნას იდენტობის კრიზისის ერთგვარ ინდიკატორად, თუ ეს მხოლოდ მათი დისკურიული სტრატეგიის ერთერთი შემადგენელი ნაწილია? თუ მეორე დაშვებაა მართალი, ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ინდივიდთა მიერ თავიანთი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმების გამოყენება წარმოადგენს ცნობიერ აქტს, რაც მიზნად ისახავს განსაზღვრული (პოლიტიკური) მიზნების მიღწევას.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში გამოვლინდა შემდეგი ურთიერთმიმართებები: (პოლიტიკური) დისკურსი, განისაზღვრა როგორც დისკურსულ ,,პრაქტიკებში" განხორციელებული ურთიერთობა, რომელიც აღნიშნავს აზროვნების ისეთ ფორმალურ სახეს, რომელიც გამოიხატება ენის მეშვეობით; ამასთანავე დისკურსი წარმოადგენს ისეთ სოციალურ ზღვარს, რომელიც ადგენს, თუ რისი თქმაა შესაძლებელი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

არსებობენ დაპირისპირებული დისკურსები მრავალ საკითხთან მიმართებაში. შესაბამისად, დისკურსები შეიძლება იყოს როგორც შეთანხმებული, ისე კონფლიქტური. დისკურსი არა მხოლოდ ქმნის (ან აღწერს) სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასაფუძნებლად. ერთმანეთთან დაპირისპირებული დისკურსები იბრძვიან საბოლოოდ, რომელიმე კონკრეტული დისკურსი იკავებს დომინანტურ პოზიციას. ეს მოვლენა ცნობილია დისკურსული დომინირების სახელით. ამასთანავე, პოლიტიკური დისკურსი არა მხოლოდ აღწერითი, არამედ მოქმედებითი დისკურსია რომლის დროსაც ფაქტების შეფასების პარალელურად ხდება მოვლენებზე ლინგვისტური კონტროლის დაწესება. მნიშვნელოვანია ის,თუ რომელი დისკურსი აღმოჩნდება უფრო ქმედითუნარიანი მოვლენების ინტერპრეტირებისა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭების მხრივ.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკური მსჯელობა განიმარტება როგორც *ლინგვისტური მანიპულაცია,* რომლის მიზანია ფაქტებისათვის (სასურველი) **მნიშვნელობის** მინიჭება და ამით მათზე (ფაქტებზე/პროცესებზე) კონტროლის მოპოვება. დისკურსის კონტექსტში კი პოლიტიკური პრობლემა წარმოადგენს დისკურსულ სხვაობას, ესეიგი, როდესაც ერთიდაიგივე ფაქტს აფასებენ და განიხილავენ სხვადასხვა ენით. თავის მხრივ, დისკურსული განსხვავება ნიშნავს განსხავებული მნიშვნელობის მინიჭებას ფაქტებისადმი. თუკი არ არსებობს უთანხმოება ამა თუ იმ *მოვლენის მნიშვნელობის* თაობაზე, ესე იგი საკითხი არ არის პოლიტიკური თავისთავად. შესაბამისად, პოლიტიკური პრობლემა არის კონფლიქტი **მოვლენათა მნიშვნელობის შესახებ**.

გამოიყო პირველადი (დომინანტი) და მეორადი დისკურსები, მოვახდინეთ დისკურსების კლასიფიკაცია იდეოლოგიური ნიშნის მიხედვით.

ამა თუ იმ (პოლიტიკური) დისკურსის წარმოება ემსახურება საკუთარი ინტერესების არტიკულაცია-დაცვას, ხოლო სხვა(თა) ინტერესების დაკნინება-დეკონსტრუქციას. შესაბამისად, მყარდება კავშირიც: იდეოლოგია, გამოხატული დისკურსის მეშვეობით, ემსახურება მატერიალურ მიზნებს.

ენობრივი თამაშები წარმოადგენენ იმ საურთიერთო მინიმუმს, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ ამა თუ იმ კონკრეტულმა საზოგადოებამ იარსებოს. თავად სოციალური კავშირი თავისთავად უკვე არის ენობრივი თამაში. ყველა ენობრივი თამაშის სოციალური ურთიერთობები წარმოადგენს ძალაუფლებრივ ურთიერთობებს და ენობრივი თამაშების წესები მეტნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია ძალაუფლების შესაბამის სფეროებში.

ენობრივი თამაში უპირველეს ყოვლისა არის ინდივიდის ლინგვოკრეატიულობის გამოხატულება, რაც, როგორც წესი, კავშირშია ენობრივი სისტემის ნორმებისა და წესების შეგნებულად დარღვევასთან. ენობრივი თამაში წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ინდივიდები მანიპულირებენ ენის ფორმებითა და ფუნქციებით.

პოლიტიკურ დისკურსში კი ენობრივ თამაშს უტილიტარული დატვირთვა გააჩნია - იგი გათვლილია გარკვეული ეფექტის მიღწევაზე, პოლიტიკური დისკურსის წარმოების მიზანი - ძალაუფლების მოპოვება, შენარჩუნება და განხორციელებაა.

სამეტყველო აქტები შედარებულია ცხოვრების ფორმებთან. სხვადასხვა ენობრივი დონეები შეესაბამება ცხოვრების განსხვავებულ და ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმებს.

ცხოვრების ფორმები, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულია სამეტყველო აქტებით. როგორც ასეთი, ადამიანი ინფორმაციას გადმოსცემს დისკურსის მეშვეობით.

სიცოცხლის ფორმები (და შესაბამისად - ენობრივი თამაშები) კონფლიქტური ხასიათისაა (ნიშნავს - ისინი ერთმანეთს დომინაციისთვის ებრძვიან).

დისკურსის მანიპულაციურობის ასპექტი დაკავშირებულია ენობრივი თამაშის ცნებასთან, როგორც ევოლუციურ სტრატეგიასთან. ხაზგასმულია ის, რომ აზროვნებას ახასიათებს ცდომილებანი, როგორც უნებლიე დამახინჯებანი მსჯელობაში. პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში ტყუილი/სიცრუე განისაზღვრება როგორც ენის მეორეული ფუნქცია, რომელსაც კონკრეტული ევოლუციური დანიშნულება გააჩნია. ის, რაც წარმოადგენს ცდომილებებს აზროვნებაში ან შაბლონურ დამახინჯებებს მსჯელობაში, რომლებიც სისტემატიურად წარმოიშვება გარკვეულ სიტუაციებში, უნდა მივიჩნიოთ კოგნიტურ დამახინჯებებად. კოგნიტური დამახინჯებები წარმოადგენს ევოლუციურად ჩამოყალიბებული მენტალური ქცევის ტიპს. ზოგიერთი მათგანი ასრულებს ადაპტაციურ ფუნქციას, რამდენადაც ისინი იძლევიან უფრო ეფექტური ქმედებების და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. ტყუილი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პროსოციალური (სოციალური კავშირების განმტკიცება), ასევე ანტისოციალური მიზნებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hall S. (1997) Representation. Cultural Representations and Signifying Practices London: Sage & Open University Press
2. მ. ბალაძე, ევფემიზმების და დისფემიზმების გამოყენების თავისებურებები ინგლისურენოვანი და ქართული პრესის დისკურსში, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
3. ს. ომიაძე, ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2006
4. Rose, G.(2007). Visual Methodologies, SAGE
5. ნ. მსახურაძე, პოლიტიკური დისკურსის ლინგვოსემანტიკური ასპექტები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014
6. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004 - 351გვ. ; 20სმ. - (სოციალურ მეცნ. სერია/რედ.: მარინე ჩიტაშვილი). - ISBN 99928-926-9-2 : [ფ.ა.]
7. http://mediapedia.ge/term/dominant%20discource
8. მ. დოლიძე, ფენომენოლოგიური აზროვნება მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში, კულტურა და ფილოსოფია, გვ. 17, 2009
9. В. Маслова, политический дискурс: языковые игры или игры вслова? 2008
10. M. Dolidze, Interpretation of Transcendental Phenomenology in Existential Manner, Culture and Philosophy, p. 110, 2007
11. G. Amaglobeli, Political problem: Natural or conventional? IBSU Scientific Journal (IBSUSJ), ISSN 1512-3731, International Black Sea University, Tbilisi, Vol. 3, Iss. 1, pp. 21-34, 2009

12. van Dijk, T.A. (2006). Ideology and discourse analysis. Journal of Political Ideologies, 11(2), p. 115-140.
13. Gee, J.P. (1989). Literacy, discourse and linguistics: Introduction. Journal of Education, 171, 1, p. 5-17.
14. van Dijk, T.A. (2006). Ideology and discourse analysis. Journal of Political Ideologies, 11(2), p. 8.
15. Whisnant, C. (2012). Foucault and Discourse. A Handout for HIS 389. P.8
16. თ. ლომაძე, საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2016
17. Кейдер В. Е. Понятие конфликта и конфликтного дискурса. Молодой ученый. 2019. № 24. С. 486–. 488.
18. Н.А. Белоус, СТЕПЕНИ КОГНИТИВНОГО ДИССОНАНСА ПРИ РЕАЛИЗАЦИИ МОДЕЛЕЙ КОНФЛИКТНОГО ДИСКУРСА, Мир лингвистики и коммуникации: электронный научный журнал. 2018. № 1. С. 51–79
19. G. Amaglobeli, Political problem: Natural or conventional? IBSU Scientific Journal (IBSUSJ), ISSN 1512-3731, International Black Sea University, Tbilisi, Vol. 3, Iss. 1, pp. 21-34, 2009
20. C. Whisnant, Foucault and Discourse, 2012
21. Rodney H. Jones, Discourse in Action: Introducing Mediated Discourse Analysis, Publisher: Routledge ISBN: 0-415-36617-8
22. G. Amaglobeli, Types of Political Discourses and Their Classification, Journal of Education in Black Sea Region Vol. 3, Issue 1, 2017
23. Kaufman, S., Elliott, M., & Shmueli, D. Frames, framing and reframing. (2013)
24. Nelson, T, Oxley, Z., & Clawson, R. (1997). Toward a psychology of framing effects. Political Behavior, 19(3), p. 221- 246.
25. L. Wallis, Smashing the Gates of Academic Discourse: Part 1; 2015

26. თ. ლომაძე, საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, 2016
27. Jean-François Lyotard, The Postmodern Condition (1979) publ. Manchester University Press, 1984)
28. ბიჭაშვილი მამუკა. პოლიტიკური თეორია და ანალიზის პრაქტიკა: ინტენსიური სემინარი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / მამუკა ბიჭაშვილი; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ.: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006
29. https://iep.utm.edu/lyotard/#SH4b
30. Lilie Chouliaraki, Discourse analysis, Bennett, T; Frow, J. (eds.), The SAGE handbook of cultural analysis. London, UK: SAGE Publications, 2008
31. А. Королькова, Языковая игра как форма жизни в произведениях Витгенштейна, 2009
32. И. В. Цикушева, ФЕНОМЕН ЯЗЫКОВОЙ ИГРЫ КАК ОБЪЕКТ ЛИНГВИСТИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ, 2009
33. O Crystal, Language play and linguistic intervention, 1996
34. А. Алексеев, Языковая игра в политическом дискурсе, Вестник НГУ. Серия: Лингвистика и межкультурная коммуникация, Том 16, № 1 (2018)
35. А. Коршунова, Языковая игра: лингвистический поворот в философии, 2008
36. А. Грицанов, ЯЗЫКОВЫЕ ИГРЫ, 2020
37. N. Enfield, We all play language games - but the boundaries are getting dangerously blurred, 2018
38. R. Seyfarth, Dorothy L. Cheney and Thore J. Bergman, Primate social cognition and the origins of language, 2005
39. Michael K. Mauws and Nelson Phillips, Understanding Language Games, Organization Science, Vol. 6, No. 3 (May - Jun., 1995), pp. 322-334
40. C.D. Scott, Understanding beyond language: Perceiving meaning in reality, 2011
41. Roger Koppl, Language Games and Economic Theory, 2002

42. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწილი 2. თბილისი, 1971, გვ. 79.
43. Jesús Padilla Gálvez and Margit Gaffal, Forms of Life and Language Games, 2011
44. C. Beristain, Our 'Form of Life' Revealed in the Action of Language, 2009
45. (ibid)
46. N. Xanthos, Wittgenstein's Language Games, 2020
47. Lilie Chouliaraki, Discourse analysis, Bennett, T; Frow, J. (eds.), The SAGE handbook of cultural analysis. London, UK: SAGE Publications, 2008
48. Jennifer J. Jones, "Talk like a man" The linguistic appeal of Hillary Rodham Clinton, 2015
49. Kerstin Severinson Eklundh, The Notion of Language Game - A Natural Unit of Dialogue and Discourse, SIC 5 1983, University of Linköping, Studies in Communication
50. Nelson, T, Oxley, Z., & Clawson, R.. Toward a psychology of framing effects. Political Behavior, (1997)
51. G. Yancy, Lyotard and Irigaray: Challenging the (White) Male Philosophical Metanarrative Voice, 2002, Journal of Social Philosophy
52. P. Fairfield, McMaster University, Habermas, Lyotard and Political Discourse, 1994
53. Lilie Chouliaraki, Discourse analysis, Bennett, T; Frow, J. (eds.), The SAGE handbook of cultural analysis. London, UK: SAGE Publications, 2008
54. M. Marinelli. Names and Reality in Mao Zedong's Political Discourse on Intellectuals. 2009, Journal of Global Cultural Studies. http: https://journals.openedition.org/transtexts/268
55. Logic and Language in Early Chinese Philosophy. First published Tue Sep 13, 2016; substantive revision Tue Nov 6, 2018. Stanford Encyclopedia of Philosophy. http: https://plato.stanford.edu/entries/chinese-logic-language/#ConfOrdeName
56. Language in Classical Chinese Philosophy. The Internet Encyclopedia of Philosophy. https://iep.utm.edu/home/about/

57. Y. Sharma. Ideological „rectification“ hits social sciences research. 2019. https://www.universityworldnews.com/post.php?story=20191212160548739
58. D. Hook; S. Vanheule. Revisiting the Master-Signifier, or, Mandela and Repression. Frontiers in Psychology. 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fpsyg.2015.02028/full
59. Bracher, M. (1994). “On the psychological and social functions of language: Lacan's theory of the four discourses,” in Lacanian Theory of Discourse, eds M. Bracher, M. W. Alcorn, R. J. Corthell, and F. Massardier-Kenney (New York, NY: New York University Press), 107–128.
60. Bracher, M. (1997). On the psychological and social functions of language: Lacan’s theory of the four discourses. In F. Massardier-Kennedy, M. W. Alcorn, R. J. Corthell, & M. Bracher (Eds.), Lacanian Theory of Discourse: Subject, Structure, and Society. NYU Press.
61. Bracher, M. (1993). Lacan, discourse, and social change: a psychoanalytic cultural criticism. Cornell University Press
62. Parker, I. (2005). Lacanian discourse analysis in psychology: Seven theoretical elements. Theory & Psychology, 15(2), 163–182.
63. E.Stanizai. Lacan’s Theory of Four Discourses. 2018. https://www.nida.edu.au/__data/assets/pdf_file/0005/41783/March-Seminar-2018-Lacans-Theory-of-Four-Discourses.pdf
64. D.Chandler. Modality and Representation. Semiotics for Beginners. 2021. http://visual-memory.co.uk/daniel/Documents/S4B/sem02a.html
65. Joseph T. Rebello, (Why) Do Empty Signifiers Matter to Political Economy? Hegemony, Non-Commodity Money and Part One of Capital. New School - Umass Graduate Workshop in Economics. 2008 http://peri.umass.edu/fileadmin/pdf/UM-NS_Workshop/NewSchool2008/rebello_nsumass_2008.pdf
66. Herder's Essay on Being: A Translation and Critical Approaches. Edited and translated by John K. Noyes. 2018 https://www.jstor.org/stable/j.ctv6jmbfk

67. Laclau E and Mouffe C (1985) Hegemony and Socialist Strategy: Towards a Radical Democratic Politics. London/ New York: Verso.
68. Laclau E (ed) (1996b) Emancipation(s). London: Verso.
69. T. Szkudlarek, Semiotics of Identity: Politics and Education. Studies in Philosophy and Education volume 30, pages113–125. 2011
70. Lewis, Michael. Derrida and Lacan: Another Writing. Edinburgh: Edinburgh University Press, 2008.
    1. Ecrits: A Selection. Trans. Alan Sheridan, London: Routledge Classics, 2001.
71. Ecrits: A Selection. Trans. Alan Sheridan, London: Routledge Classics, 2001.
72. Li Tang, Signifying Chain, Split Subject & on-transcendental Truth: Similarities between the Thoughts of Derrida & Lacan. Comparative Literature: East & West Series 1. 2011 https://www.tandfonline.com/doi/pdf/10.1080/25723618.2011.12015401
73. C. Drummond, Deception in the language game. Tracing the natural roots of the vice of lying. Scriptura vol.119 n.2 Stellenbosch 2020.
74. Levine, E. E., & Schweitzer, E. M. (2015). Prosocial lies: When deception breeds trust. Journal of Experimental Social Psychology, 126, 88-106. doi: 10.1016/j.obhdp.2014.10.007
75. Vrij, A. (2008). Detecting lies and deceit: Pitfalls and opportunities (2nd ed.). New York: Wiley.
76. Briazu, R. A., Walsh, C. R., Deeprose, C., & Ganis, G. (2017). Undoing the past in order to lie in the present: Counterfactual thinking and deceptive communication. Cognition, 161, 66-73. doi: 10.1016/j.cognition.2017.01.003
77. Debey, E., Schryver, M., Logan, G. D., Suchotzki, K., & Verschuere, B. (2015). From junior to senior Pinocchio: A cross-sectional lifespan investigation of deception Evelyne. Acta Psychologica, 160, 58-68. doi: 10.1016/j.actpsy.2015.06.007
78. Abe, N. (2009). The neurobiology of deception: Evidence from neuroimaging and loss-of-function studies. Current Opinion in Neurology, 22(6), 594-600. doi: 10.1097/WCO.0b013e328332c3cf

79. Dor, D. (2017). The role of the lie in the evolution of human language. Language Sciences, 1-16. doi: 10.1016/j.langsci.2017.01.001
80. Levine, E. E., & Schweitzer, E. M. (2015). Prosocial lies: When deception breeds trust. Journal of Experimental Social Psychology, 126, 88-106. doi: 10.1016/j.obhdp.2014.10.007
81. Moi, W. Y., & Shanks, D. R. (2015). Can lies be detected unconsciously? Frontiers in Psychology, 6, 1221. doi: 10.3389/fpsyg.2015.01221
82. R. Seyfarth, Dorothy L. Cheney and Thore J. Bergman, Primate social cognition and the origins of language. 2005 PMID: 15925802 DOI: 10.1016/j.tics.2005.04.001
83. Origgi and Sperber, Evolution, communication and the proper function of language. Evolution and the Human Mind (pp.140-169). 2000
84. Dawkins and Krebs, Animal signals: mind-reading and manipulation. 1978
85. Searcy and Nowicki, The Evolution of Animal Communication: Reliability and Deception in Signaling Systems. 2005 DOI:10.1641/0006-3568(2006)56[849:WAASH]2.0.CO;2
86. Byrne, R. W., and Whiten, A. (1985). Tactical deception of familiar individuals in baboons (Papio ursinus). Anim. Behav. 33, 669–673. doi: 10.1016/S0003-3472(85)80093-2
87. N. Oesch, Deception as a Derived Function of Language, Front. Psychol., 27 September 2016 | https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.01485
88. Park & Wee, Markets of English: Linguistic Capital and Language Policy in a Globalizing World. New York: Routledge. 2012
89. Lyotard, J-F. (1984). The Postmodern Condition: A report on knowledge, Harmondsworth: Penguin
90. Koji Tanaka, The limit of language in daoism, Australian National University, Asian Philosophy 14 (2):191 – 205 (2004)
91. D. Stroup, Law and Language: Car Law and Language: Cardozo's Jurisprudence and Wittgenstein s Jurisprudence and Wittgenstein's Philosophy, Valparaiso University Law Review, volume 18, number 2, 1984

92. A. Barua, Wittgenstein, Language-Games, and Religion, (2001) Papers of the 24th IWS (eds. R. Haller, K. Puhl)
93. J. Hengstmengel, Philosophy to the glory of God'. Wittgenstein on God, religion and theology, 2010
94. R. Crowther, Wittgenstein's concept of 'language games' and/or 'language as tool', 2020
95. G. Gietzen, Jean-François Lyotard and the Question of Disciplinary Legitimacy, Policy Futures in Education, Volume 8, Number 2, 2010
96. H. Waitzkin, A Critical Theory of Medical Discourse: Ideology, Social Control, and the Processing of Social Context in Medical Encounters, Journal of Health and Social Behavior, Vol. 30, No. 2 (Jun., 1989)
97. ნ. მსახურაძე, პოლიტიკური დისკურსის ლინგვოსემანტიკური ასპექტები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014
98. R. Greaves, Power and its influence through discourse - an essay, 2012
99. C. Whisnant, Foucault & Discourse, 2012
100. K. Kong, What is Professional Discourse? Cambridge University Press, 2014
101. S. Vasconcellos, M. Rizzatti, T. Barbosa, B. Schmitz, Understanding Lies Based on Evolutionary Psychology: A Critical Review, 2019
102. N. Oesch, Deception as a Derived Function of Language, University of Oxford, 2016
103. Herk, Gerard Van. What Is Sociolinguistics? John Wiley & Sons, 2018
104. R. Massé, Gadè deceptions and lies told by the ill: The Caribbean sociocultural construction of truth in patient-healer encounters, Anthropology and Medicine 9(2):175-188, 2002
105. D. Jacquette, LATER WITTGENSTEIN ON THE INVENTION OF GAMES, Linguistic and Philosophical Investigations (Linguistic and Philosophical Investigations), issue: 14/2015, pages: 19-38. 2015
106. P. Tonner, Wittgenstein on forms of life: a short introduction, E-LOGOS – Electronic Journal for Philosophy 2017, Vol. 24(1) 13–18

107. ნ. მსახურაძე, პოლიტიკური დისკურსის ლინგვოსემანტიკური ასპექტები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014

108. M. Moldoveanu, Language, games and language games, Journal of Socio-Economics 31 (2002) 233–251

109. S. Iyengar, Speaking of Values: The Framing of American Politics, Stanford University, The Forum, olume 3, Issue 3 2005 Article 7

110. Scholtbach & Nodia, The Political Landscape of Georgia, Eburon Delft, 2006

111. T. Hofweber & A. Everett; Quantification and non-existent objects, Empty Names, Fiction, and the Puzzles of Non-Existence. CSLI Publications (2000)

112. ტიმეოსი / პლატონი, თბილისი : ირმისა, 1994, ძვ. ბერძნ. თარგმნა...ბაჩანა ბრეგვაძემ.

113. M. Dolidze, Interpretation of Transcendental Phenomenology in Existential Manner, Culture and Philosophy, p. 110, 2007

114. Mortley, R. (1986). “Appendix I.”, (accessed on 28 No-vember 2011). http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1014&context=word_to_silence_I

115. Stepanov, Y. S., Znak. Treugolnik Frege (accessed on 10 Septem-ber 2011). Available from World Wide Web: http://lib.vvsu.ru/books/semiotika1/page0007.asp

116. Chandler, D. Semiotics for Beginners. (accessed on 25 Septem-ber 2011). Available from World Wide Web: http://www.aber.ac.uk/media/Documents/S4B/sem02.html

117. Stepanov, Y. S., Znak. Treugolnik Frege (accessed on 10 Septem-ber 2011). Available from World Wide Web: http://lib.vvsu.ru/books/semiotika1/page0007.asp

118. ლაო ძი; დაო დე ძინი, ანუ წიგნი გზისა და სათნოებისა, მთარგმნელი : ლერი ალიმონაკი

119. თ. მშვენიერაძე, დიალოგიზმი, პოლიფონია და ინტერტექსტუალურობა პოლიტიკურ დისკურსში, სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014

120. Miller, M. J. (2016). “Psychoanalysis and its Teaching,” in Reading the Écrits – A Guide to Lacan's Works, eds C. Neill, D. Hook, and S. Vanheule (London: Routledge)

121. M. Bracher, (1994). “On the psychological and social functions of language: Lacan's theory of the four discourses,” in Lacanian Theory of Discourse, eds M. Bracher, M. W. Alcorn, R. J. Corthell, and F. Massardier-Kenney (New York, NY: New York University Press), 107–128.

122. Derek Hook, Stijn Vanheule, Revisiting the Master-Signifier, or, Mandela and Repression, Front. Psychol., 2015

123. Darrel W. Drury and John D. McCarthy, The Social Psychology of Name Change: Reflections on a Serendipitous Discovery, 1980.